ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება

მეთოდური სახელმძღვანელო

თბილისი, 2017

მეტი შეგვიძლია!

ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება

მეთოდური სახელმძღვანელო

თბილისი, 2017

ავტორები!

მაქსიმ ივანცოვი, ინიციატივა „სასკოლო პროექტების“ კოორდინატორი, sdvigni@gmail.com(ნაწილი I, მეცადინეობა 1,2,3,4; ნაწილიIII : მეცადინეობა 1, 5)

ირინა ივანიუკი, პედაგოგიურ-მეცნიერებათა კანდიდატი, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უკრაინის პედაგოგიურ- მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელის მოადგილე irinaivanyuk72@gmail.com(ნაწილიI: მეცადინეობა 6,7; ნაწილიI : მეცადინეობა 1)

ტინო რაშე, ფასილიტატორი, არაფორმალური განათლების ტრენერი, მოდერატორი, თეოდორ ჰოისას სახ. კოლეგიის კურატორი, ფიზიკოსი,tinorasche@gmx.de(ნაწილიII : მეცადინეობა 2, 4, 6)

ცირა თავშავაძე, ფსიქოლოგიურ -მეცნიერებათა მაგისტრი, სამოქალაქო განათლების ექსპერტი, სიქა-საგანამანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის დამფუძნებელი და პროგრამების კოორდინატორი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ასოცირებული ტრენერი, tsirata@gmail.com(ნაწილიI: მეცადინეობა 5; ნაწილიII: მეცადინეობა 2, 3; ნაწილიIII: მეცადინეობა 3)

საავტორო ჯგუფის კოორდინატორები:

ირინა ბუხარკინა, საერთაშორისო პროექტის „მეტი შეგვიძლია! - ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის გაზრდისათვის აღმოსავლეთ ევროპაში“ კოორდინატორი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია DRAთანამშრომელი ბერლინშიirina.bukharkina@austausch.org

ლუდმილა პარაშენკო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელი, კიევის ბიზნესის ლიცეუმის დირექტორი, საერთაშორისო პროექტის „მეტი შეგვიძლია! - ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის გაზრდისათვის აღმოსავლეთ ევროპაში“ ხელმძღვანელი უკრაინაში, U 18 ქსელის ეროვნული კოორდინატორი უკრაინაში, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, info@m18.org.ua, parashchenko@yahoo.com

შინაარსი

წინასიტყვაობა 5

ნაწილი I. „ვსწავლობთ ხელისუფლების სწორად არჩევას“ 10

მეცადინეობა 1. სამაგიდო თამაში „პოლიტოპოლი“ 10

მეცადინეობა 2. პოლიტიკური იდეოლოგიები 14

მეცადინეობა 3. თანამედროვე პოლიტიკა 29

მეცადინეობა 4. საარჩევნო უფლების პრინციპები 32

მეცადინეობა 5. ვაანალიზებთ კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს 36

მეცადინეობა 6. საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობა „არჩევნები U 18”: ტრენინგი 41

მეცადინეობა 7. ბავშვებისა და ახალგაზრდების არჩევნების „U 18“ ჩატარება 50

ნაწილი II ვზემოქმედებთ გადაწყვეტილების მიღებაზე და ვიცავთ საზოგადოების ინტერესებს 64

მეცადინეობა 1. „U 18: მეტი შეგვიძლია!“ საბავშვო-ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება. 64

მეცადინეობა 2. ადვოკატირება 71

მეცადინეობა 3. ახალგაზრდული პროექტების განხორციელება ადგილობრივი თემის ჩართულობით 80

III ნაწილი. სრულვყოთ საკუთარი თავი 93

მეცადინეობა 1. „სამოქალაქო კომპეტენციების“ ანკეტაზე მუშაობა 93

მეცადინეობა 2. მრავალფეროვნება ჩემში, ჩემს გარემოცვასა და საზოგადოებაში, რომელშიც ვცხოვრობ. 95

მეცადინეობა 3. სტერეოტიპები და დისკრიმინაცია 106

მეცადინეობა 4. როგორ ვისწავლოთ ტოლერანტობა 114

მეცადინეობა 5. უნდა ვითვალისწინებდეთ თუ არა მორალურ და პოლიტიკურ მოსაზრებებს ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების შეძენისას? 126

მეცადინეობა 6. კომუნიკაციის უნარები პოლიტიკური დიალოგისთვის 130

წინასიტყვაობა

ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებისა და განვითარების საკითხი სტრატეგიულია პრაქტიკულად ყველა ქვეყნისათვის. ევროპის საბჭოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და მონაწილეობის დირექტორატის ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა განსაზღვრა საკუთარი მოღვაწობის სამი პრიორიტეტული მიმართულება 2016-17 წლებისთვის:

- მოქალაქეობის განვითარება, მონაწილეობის ინოვაციური ფორმების საშუალებით (ახალგაზრდობის მონაწილეობის ელექტრონული ფორმები ინტერნეტში ადამიანის უფლებათა დასაცავად; გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ახალგაზრდების გავლენაზე ზემოქმედება;კერძოდ, ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა; დემოკრატიული მოქალაქეობისთვის კომპეტენტურობის ჩამოყალიბება; ახალგაზრდების ფორმალურ განათლებაში მონაწილეობაზე ზეგავლენა);
- ახალგაზრდების დამოუკიდებელობის განვითარება და საკუთარი უფლებების ხელმისაწვდომობა (ახალგაზრდების დამოუკიდებლობა უფლებებზე დამყარებული მიდგომების საშუალებით; ახალგაზრდების საკუთარ უფლებებზე ხელმისაწვდომობა და მისი განხორციელება ქმედების საშუალებით; ცოდნისა და შესაძლებლობების მიწოდება დისკრიმინაციის ფორმებთან საბრძოლველად; კომპეტენტურობის განვითარება ფორმალური განათლების გზით);
- ინკლუზიური და მშვიდობიანი საზოგადოების განვითარებაზე ზეგავლენა (მშვიდობიანი და კულტურათაშორისი დიალოგის გამართვა ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებებით; ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლა; მიგრანტების, ახალგაზრდა ლტოლვილების, უმცირესობების და მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაცია; ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა კონფლიქტურ რეგიონებში; გლობალურ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში შესაბამის მთავარ მოთამაშეებთან მჭიდრო კავშირების გაძლიერება) [1].

ეს გახდა ევროპული საზოგადოების პასუხი თანამედროვე საზოგადოების მთავარ გამოწვევაზე - სამოქალაქო ცნობიერების დაბალი დონე და მოსახლეობის სოციალური გაუცხოება, ახალგაზრდების პოლიტიკური აპათია, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე შედარებით გაცნობიერებული და აქტიური გავლენისათვის მოტივაციის დაბალი დონე; შეუწყნარებლობის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციის გამოვლინებების, ადამიანის უფლებების დარღვევის დონის გაზრდა.

იმისათვის, რომ ვასწავლოთ ახალგაზრდებს, იყვნენ პასუხისმგებლიანი მოქალაქეები, რომლებმაც აითვისეს დემოკრატიული ფასეულობები, საჭიროა ყველა საგანამანათლებლო დაწესებულებაში (ფორმალური და არაფორმალური განათლების) პირობებისა და ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ამ ფასეულობებს შეესაბამება. საჭიროა განათლების, ინოვაციების და ინტერაქტიული მეთოდების საშუალებით გავაძლიეროთ დემოკრატიული მოქალაქეობა - მივცეთ ახალგაზრდებს შესაძლებლობა, აქტიური როლი შეასრულონ სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში, ისწავლონ იმ გამოწვევებზე პასუხების მოძებნა, რომლებსაც ეჯახებიან; მიიღონ გადაწყვეტილებები და განახორციელონ საკუთარი მოლოდინები. სამოქალაქო და პოლიტიკური განათლების სფეროში მნიშვნელოვან მამოტივირებელ როლს თამაშობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

2015 წელს დაიწყო საერთაშორისო პროექტი „მეტი შეგვიძლია!“, რომელიც ხორციელდებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების DRA e.V. (ბერლინი, გერმანია) [2] და „საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარების სააგენტოს“ (კიევი, უკრაინა) [3] მიერ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანი იყო, ახლაგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის ამაღლება, უკრაინის ახალგაზრდობაში დემოკრატიული და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება. პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი არჩევნების წინ პირველად ჩატარდა „არჩევნები U 18” უკრაინელი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი. ახალგაზრდული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის საგანმანათლებლო ტური გერმანიაში და ტრენინგები. „არჩევნები U 18” ჩატარდა, როგორც რეალური არჩევნების იმიტაცია ,საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა «Under 18» [4] ანალოგიურად. ეს პროგრამა ხორციელდება გერმანიაში 1996 წლიდან და ითვალისწინებს 18 წელს ქვემოთ ბავშვებისა და ახალგაზრედების ჩართვას არჩევნებში. საარჩევნო პროცესების იმიტაციის გზით მოახლოებული არჩევნების წინ. პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებგვერდი www.m18.org.ua [5] გამოიყენება პლატფორმად „არჩევნები U 18” -ის ჩასატარებლად მეთოდური მასალის, სასარგებლო ინფორმაციის, სიახლეების და პროექტის შესახებ მასმედიის გამოხმაურებების გაცვლისათვის.

2016 წელს პროექტმა განაგრძო მუშაობა, ასევე რუსეთსა და საქართველოში სათაურით „მეტი შეგვიძლია! - ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის გაზრდისათვის უკრაინაში, რუსეთსა და საქართველოში“, გაიზარდა საერთაშორისო პარტნიორების რიცხვი. საქართველოსა და რუსეთში ასევე ჩატარდა „არჩევნები U 18”, რის შესახებაც ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერდზე www.M18.org.ua. უკრაინაში ჩატარდა სამი რეგიონული ტრენინგი მულტიპლიკატორებისთვის, რომლებმაც შექმნეს M18 ეროვნული ქსელი და განახორციელეს რეგიონული სოციალური პროექტები ახალგაზრდების მონაწილეობით. პროექტებმა მონაწილეობა მიიღეს სრულიად უკრაინის კონკურსში. მისი შედეგები წარმოადგინეს კიევში, პირველ უკრაინულ საბავშვო-ახალგაზრდულ ფორუმზე „M18: მეტი შეგვიძლია!“, რომელიც ჩატარდა 2016

წლის 29 ოქტომბერს კიევის საქალაქო საბჭოში [6]. ღონისძიების ჩატარებას საფუძვლად დაედო ახალგაზრდული ფორუმის «Berliner Jugendforum» [7] ფორმატი, რომელიც ადრე ყოველწლიურად ტარდებოდა ბერლინის პარლამენტში, ახლა კი ტარდება ქალაქის ღია მოედნებზე.

“არჩევნები U 18” და ახლაგაზრდული ფორუმი - ეს არის აღმოსავლეთ ევროპის ახლაგაზრდებთან მუშაობის ინოვაციური ინტერაქტიული ფორმები, ამიტომაც პროექტის ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, 2017 წელს პროექტის „მეტი შეგვიძლია! - ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის გაზრდისათვის უკრაინაში, რუსეთსა და საქართველოში“ ფარგლებში დაიწეროს მეთოდური სახელმძღვანელო, რომელშიც შევა ახალგაზრდებთან სამოქალაქო და პოლიტიკური განათლების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშები. U 18 მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნა დაიწყეს სამოქალაქო განათლების ექსპერტების გუნდმა გერმანიიდან, საქართველოდან, რუსეთიდან და უკრაინიდან.

მეთოდური სახელმძღვანელო „მეტი შეგვიძლია! - ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის გაზრდისათვის უკრაინაში, რუსეთსა და საქართველოში“ შემუშავებულია, როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი მასწავლებლებისთვის, ახალგაზრდული და საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მუშაობენ სამოქალაქო აღზრდისა და პოლიტიკური განათლების საკითხებზე. შეირჩა საუკეთესო მეთოდიკები ახალგაზრდების ფასეულობის შესახებ ცოდნის გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება იყოს ეფექტური სხვადასხვა ქვეყნის პირობებში.

სახელმძღვანელოს მასალის გამოყენება შესაძლებელია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობისთვის. ეს არ გამორიცხავს სახელმძღვანელოს გამოყენებას სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მასწავლებლებისა და აღმზრდელების მიერ მეთოდური მასალის სახით ცალკეულ გაკვეთილებსა, თუ ფაკულტატურ მეცადინეობებზე.

წარმოდგენილი პრაქტიკები დამყარებულია საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილის ურთიერთგავლენაზე და მიმართულია ახალგაზრდებში სამოქალაქო კომპეტენციების ფორმირებაზე, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართვაზე, მათი აქტიური სამოქალაქო პოზიციების ჩამოყალიბებაზე. ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობა ზოგადად ასე წარმოგვიდგენია:

- ახალგაზრდების და ახალგაზრდული სოციალური ჯგუფების საქმიანობა, რომელიც მიმართულია როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე მთლიანად საზოგადოების ცვლილებებსა და განვითარებზე;

- სხვადასხვა საზოგადოებრივ არასამთავრობო და არაკომერციულ სტრუქტურებში მონაწილეობა;
- საკუთარ უფლებებზე ხელმისაწვდომობა და მათი რეალიზაცია;
- ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში სოციალურად მნიშვნელოვანი ქმედებები.

ასეთი საქმიანობები აყალიბებს და აძლიერებს სამოქალაქო ფასეულობებს და ახალგაზრდების ჩართულობას.

მეთოდური სახელმძღვანელო შედგება სამი ნაწილისგან.

პირველი ნაწილი **„ვსწავლობთ ხელისუფლების სწორად არჩევას“** მოიცავს მეცადინეობებს, რომელებიც ეძღვნება ბავშვების და ახალგაზრდების მომზადებას საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებასა და არჩევნებში გაცნობიერებულ მონაწილეობას, ასევე აცნობს „არჩევნები U18“ მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკებს, საარჩევნო უბნების მუშაობისა და ხმის მიცემის პროცესის ორგანიზებას.

მეორე ნაწილში **„გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა“** წარმოდგენილია ახალგაზრდების მონაწილეობის ახალი ფორმატები (ისეთი, როგორიცაა საბავშვო-ახალგაზრდული ფორუმი M18) და მიმართულია ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერაზე ადგილობრივი თემის ჩართულობით.

მესამე ნაწილი **„სრულვყოთ საკუთარი თავი“** მოიცავს მეთოდიკების ნაკრებს, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებათა გაგებასა და განმტკიცებაზე, სტერეოტიპების დაძლევასა და მშვიდობიანი ინტერკულტურული დიალოგის შედგენაზე.

წარმოდგენილი მეთოდიკები გაივლის აპრობაციას საქართველოში, გერმანიაში, რუსეთსა და უკრაინაში 2017 წლის ნოემბრისა და 2018 წლის აპრილის პერიოდში. მეთოდური სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიაში „მეტი შეგვიძლია! - ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის გაზრდისათვის უკრაინაში, რუსეთსა და საქართველოში“ ინტეგრირდება რეგიონული გამოცდილება, უფრო მეტად ეფექტური მეთოდები და წინადადებები კურსის გასაუმჯობესებლად, რეკომენდაციები ორგანიზატორებისთვის, აიპ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის. სახელმძღვანელოს ავტორები მადლიერნი იქნებიან გამოხმაურებებისა და რეკომენდაციებისთვის, წარმოდგენილი მეთოდიკების სრულყოფისათვის და ასევე, ვინც გამოიყენებს მათ ახალგაზრდებთან მუშაობაში, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი სურვილები და მოსაზრებები ავტორების ელექტრონული ფოსტის მისამართებზე, რომლებიც მითითებულია ავტორების შესახებ ინფორმაციაში. დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის!

ლუდმილა პარაშენკო,სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, აიპ „საგანმანათლებლო პოლოტიკის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელი, კიევის ბიზნესის ლიცეუმის დირექტორი

ირინა ივანიუკი, პედაგოგიურ- მეცნიერებათა კანდიდატი, აიპ „საგანმანათლებლო პოლოტიკის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელის მოადგილე, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უკრაინის პედაგოგიურ- მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

წყაროები

1. ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის პრიორიტეტები 2016-2017. URL:https://rm.coe.int/16802e59bc (თარიღი:25.10.2017).
2. DRA: [сайт]. URL: https://www.austausch.org/home/ 2. DRA:URL: https://www.austausch.org/home/ (თარიღი: 25.10.2017).
3. საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარების სააგენტო https://edudevelop.org.ua/ (თარიღი: 25.10.2017).
4. U18 : URL: http://www.u18.org/willkommen/ (თარიღი: 25.10.2017).
5. M18 : URL: https://m18.org.ua/ (თარიღი: 25.10.2017).
6. კიევის საბავშვო-ახალგაზრდული ფორუმი «M18— მეტი შეგვიძლია!» : 12 ნოემბერი 2017 წ .URL: https://m18.org.ua/forum-m18.html (თარიღი: 25.10.2017).
7. ბერლინის ახალგაზრდული ფორუმი: URL: http://jugendforum.berlin/en/homepage/ (თარიღი:25.10.2017).

ნაწილი I. „ვსწავლობთ ხელისუფლების სწორად არჩევას“

მეცადინეობა 1. სამაგიდო თამაში „პოლიტოპოლი“

მადლობა მაქს ვალენტინს ამ მშვენიერი თამაშის იდეისათვის და თანაავტორების დიდ ჯგუფს შვედეთიდან, ბელორუსიიდან და რუსეთიდან. ყველა თქვენგანის ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია ☺.

მეცადინეობის მიზნები

მიაქციეთ ყურედღება, რომ თამაში „პოლიტოპოლი“ შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა მიზნებისთვის. არჩეული თემის შესაბამისად შეცვალეთ შესავალი ნაწილი და შეარჩიეთ შეკითხვები რეფლექსიისთვის. თუ დრო საკმარისია, შეგიძლიათ, დაისახოთ რამდენიმე მიზანი, მაგრამ ნუ შეეცდებით ყველას მიღწევას. აირჩიეთ მაქსიმუმ 2-3 მიზანი.

თამაშის რამდენიმე შესაძლო მიზანი:

- ქალაქის მმართველობის ძირითადი სფეროების გაცნობა, ქალაქის სიცოცხლისუნარიანობის სხვადასხვა სფეროებს შორის ბალანსის აუცილებლობაზე დაფიქრება;
- გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული საშუალებების გაცნობა, სხვადასხვა დემოკრატიული პროცედურების მოსინჯვა;
- დაფიქრება სოციალურ და ლიბერალურ სახელმწიფოებს შორის განსხვავებაზე; იმის განსაზღვრა, სახელმწიფოს რომელი მოდელი უფრო მოგვწონს;
- პირად და საზოგადო მიზნებს შორის წინააღმდეგობრიობაზე დაფიქრება; თამაშში ამ წინააღმდეგობის დაძლევის მოსინჯვა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის თემის გაცნობა.

საჭირო რესურსი და დამხმარე მასალები:

- ბარათები სამოქმედო სფეროებით [1];
- როლური ბარათები [1];
- ბარათები „მოვლენები“[1];
- ბარათები „1 მლრდ“ (40 ცალი თითო თამაშისთვის) [1];
- კუბი (სასურველია ციფრებით არა 1-დან 6 ჩათვლით, არამედ 1-დან 3 ჩათვლით) ან შემთხვევითი ციფრების გენერატორი [1] თითო ყოველ მაგიდასთან;
- . დაბეჭდილი ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი რეალური ბიუჯეტი მიმდინარე (ან დამდეგი) წლისთვის

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. თამაშის შესავალი

თამაშში მონაწილეობს 5 ადამიანი. ერთდროულად შეიძლება გაიმართოს რამდენიმე პარალერული თამაში (მაგ. თუ კლასში 25 მოსწავლეა, მიზანშეწონილია ჩატარდეს 5 პარალელური თამაში საბოლოო ერთობლივი განხილვით). ეს უფრო საინტერესოც იქნება, განხილვის დროს შესაძლებელია შედარება, როგორ განვითარდა მოვლენები სხვადასხვა „პოლიტოპოლში“. თუ მონაწილეთა რაოდენობა არ იყოფა 5-ზე, მოგვიწევს, ვთხოვოთ რამდენიმე მონაწილეს, რომ ითამაშონ ერთიდაიგივე პარტია.

თამაშის დაწყების წინ კითხეთ მონაწილეებს, გასაგებია თუ არა წესები და მიზნები, უპასუხეთ მათ შეკითხვებს. წაუკითხეთ, ან მოუყევით მონაწილეებს შემდეგი ინსტრუქცია:

„გილოცავთ! სულ ახლახან ჩამოყალიბდა პოლიტოპოლის მუნიციპალური საბჭო. მასში შევიდა 5 პარტია ერთნაირი წარმომადგენლობით. ამიტომ ახალ პარლამენტში არავის ექნება უმრავლესობა და თქვენ ხართ ფრაქციების ლიდერები პოლიტოპოლში.

პირველი, რისი გაკეთებაც თქვენ მოგიწევთ, - წარმოთქვათ მოკლე, მაქსიმუმ 2 წუთიანი სიტყვა პარლამენტის ტრიბუნიდან, რათა განაცხადოთ ქალაქის განვითარებაში თქვენი პრიორიტეტების შესახებ და მოკლედ დაასაბუთოთ ისინი. პრიორიტეტები, რომლებსაც თქვენ ემხრობით, მითითებულია თქვენს როლურ ბარათზე. პრიორიტეტები შეგიძლიათ არ დამალოთ და პირდაპირ განაცხადოთ საკუთარ გამოსვლაში, რათა მოიძიოთ მხარდამჭერები.

მას შემდეგ, რაც ყველა პარტიის წარმომადგენელი გამოვა სიტყვით, იწყება თქვენი სადეპუტატო მოღვაწეობა. სულ პარლამენტი ამ შემადგენლობით იმუშავებს 4 წელი. 1 წელი უდრის ერთ წრეს თამაშში. ერთი წრის განმავლობაში მონაწილეები რიგრიგობით აგდებენ კუბს თითოჯერ.

თუ გაგორდა 1 - მონაწილეს აქვს უფლება გადააადგილოს 1 ჩიპი ნებისმიერი სექტორიდან მისთვის სასურველ სექტორზე;

თუ გაგორდა 2 - მონაწილეს აქვს უფლება გადააადგილოს 2 ჩიპი ნებისმიერი სექტორიდან მისთვის სასურველ სექტორებზე;

თუ გაგორდა 3 - მონაწილე ცვლის ბარათს „მოვლენა“ და მოქმედებს მასზე მითითებული ინსტრუქციის მიხედვით;

თამაშის განმავლობაში თქვენ განკარგავთ ბიუჯეტის თანხას. ის ხან მეტი იქნება, ხან - ნაკლები.

თქვენ მოგიწევთ გადაჭრათ დილემა. ერთი მხრივ, ქალაქი წარმატებულად ვითარდება მაშინ, როდესაც მისი ყველა სფერო ვითარდება თანაბრად. მეორე მხრივ, პარტიას ექნება კარგი შანსი არჩევნებში გამარჯვებისთვის, თუ შეასრულებს თავის დანაპირებს, რომელიც მოცემული აქვს პროგრამაში და თუ თანხას განკარგავს პარტიისთვის პრიორიტეტული სფეროების განვითარებისთვის.

ქალაქის საბჭოები ერთმანეთის კონკურენტები არიან. გაიმარჯვებს იმ ქალაქის საბჭო, რომელსაც სათამაშო მაგიდაზე ექნება უფრო მეტი რესურსი.

ყოველ ქალაქში გამოიკვეთება უფრო ეფექტური პარტია. გაიმარჯვებს ის პარტია, რომელიც დააგროვებს უფრო მეტ ქულას. ქულები დაითვლება მეოთხე სათამაშო წლის დასრულების შემდეგ. ყოველ ჩიპზე, რომელიც გექნებათ თქვენი პარტიისთვის პრიორიტეტულ სფეროში, მიიღებთ 2 ქულას. ყველა დანარჩენ სფეროში ჩიპისთვის მიიღებთ 1 ქულას.

თამაშის დასაწყისში:

- სათამაშო მაგიდაზე მოთამაშეების წინ აწყვია ბარათები მუნიციპალური საბჭოს სამოქმედო სფეროებით;
- ყოველი სფეროს გრაფაში დევს 2 მლრდ. დანარჩენი 1 მლრდ-იანი ბარათები ერთად აწყვია მაგიდაზე. ასევე, მაგიდაზეა „მოვლენების“ ბარათების ნაკრები;
- როლური ბარათები გაშლილია მარაოსავით და მონაწილეები იღებენ სათითაოდ, ვისაც რა შეხვდება;
- ყოველ მაგიდაზე არის კუბი ან შემთხვევითი ციფრების გენერატორი.

II ეტაპი. თამაში

ყველა მონაწილე იღებს როლურ ბარათს და 3 წუთის განმავლობაში ეცნობა მას.

მონაწილეთა ჯგუფები იწყებენ თამაშს. თვალყური ადევნეთ თამაშის მსვლელობას და საჭიროების შემთხვევაში მიეხმარეთ მოთამაშეებს.

III ეტაპი. თამაშის განხილვა

მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი დაასრულებს თამაშს და დაითვლის შედეგებს, არ დაგავიწყდეთ რეფლექსიაზე გადასვლა.

სავარაუდო შეკითხვებისა და განსახილველი საკითხების ჩამონათვალი:

- რამდენად სამართლიანია თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები? რატომ? თუ არა, როგორი უნდა იყოს პროცედურა, რომ გადაწყვეტილება ყველამ სამართლიანად ჩათვალოს?

- გადაწყვეტილების მიღების რომელი დემოკრატიული მეთოდები გამოიყენეთ? რაშია თითოეულის პლუსი და მინუსი?
- რამდენად კმაყოფილი ხართ მიღებული გადაწყვეტილებით? რატომ?
- უნდა იყოს თუ არა სამართლიანობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრიორიტეტული? რატომ?
- ხომ არ გავს თქვენი პარტიის პროგრამა რომელიმე რეალური პარტიის პროგრამას? რა ნიშნებით გავს?
- რამდენად ხელმძღვანელობდით თქვენი პარტიის პროგრამით გადაწყვეტილების მიღებისას? პარტიის პროგრამის გარდა, კიდევ რამ იქონია გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე? კიდევ რა ახდენს გავლენას დეპუტატებზე სინამდვილეში?
- თქვენ რომ იყოთ დამოუკიდებელი ამომრჩეველი, რომელ პარტიას მიემხრობოდით და რატომ?
- კიდევ რა უნდა გაითვალისწინოთ, როგორც ამომრჩევლებმა, ხმის მიცემისას?
- როდის იქნება თქვენს რეგიონში შემდეგი არჩევნები?
- როგორ გადაწყვიტეთ დილემა: გემოქმედათ ქალაქის ინტერესების თუ საკუთარი პარტიის ინტერესების მიხედვით?
- როგორ გავარკვიოთ, შეესაბამება თუ არა დეპუტატების საქმიანობა მათ პროგრამებს?
- რა არის ბიუჯეტი? რა ნაწილებისგან შედგება?
- ჩვენს თამაშში საუბარი იყო მუნიციპალურ ბიუჯეტზე. რით განსხვავდება მუნიციპალური ბიუჯეტი სახელმწიფო ან რეგიონული ბიუჯეტისგან?
- რამდენად გავს თამაშში ბიუჯეტის განხილვა რეალური ბიუჯეტის განხილვას? რა მსგავსება და განსხვავებაა თამაშსა და რეალურ ცხოვრებაში ბიუჯეტის განხილვას შორის?
- როგორია ქვეყანაში ბიუჯეტის მიღების პროცედურა? ადგილობრივი ბიუჯეტის?
- თუკი ქვეყნის, რეგიონის, ადგილობრივ ბიუჯეტს გადავანაწილებთ ყველა მოქალაქეზე, რა თანხა შეხვდება თითოეულს ბიუჯეტიდან? რა არის ძირითადი ხარჯები და შემოსავლები ქვეყნის, რეგიონის და ადგილობრივ ბიუჯეტში? (დაე, მონაწილეებმა ითამაშონ „გამოცნობანა“ ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას. ამის შემდეგ, დაურიგეთ მათ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ამობეჭდილი ვერსიები, გააანალიზეთ მათთან ერთად ეს ბიუჯეტი;
- რა მთავარი პრობლემებია დაკავშირებული ქვეყანაში ბიუჯეტის მიღებასთან, შესრულებასთან და კონტროლთან დაკავშირებით?
- ვინ და როგორ აკონტროლებს ქვეყნის ბიუჯეტის შესრულებას სხვადასხვა დონეზე? რომელი სახელმწიფო ორგანოებია ამით დაკავებული? რომელი საზოგადოებრივი სტრუქტურები?

წყარო

1. სახელმწიფოს ბიუჯეტი: გაკვეთილის აღწერა // სასკოლო პროექტები: ვებგვერდი: URL: http://shpspb.ru/lesson_content/byudzhet-gosudarstva-opisanie-uroka/ (თარიღი: 10.10.2017).

მეცადინეობა 2. პოლიტიკური იდეოლოგიები

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეებისთვის განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიების გაცნობა;
2) პირობების შექმნა იმისთვის, რომ ისინი დაფიქრდნენ ძირითად პრობლემებზე, რაც არსებობს ქვექანაში და მათი შესაძლო გადაჭრის გზებზე;
3) ისწავლონ პოლიტიკური იდეოლოგიის შესაბამისობა საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მეთოდებთან;
4) ხელის შეწყობა, რათა დაფიქრდნენ, რომელი პოლიტიკური იდეოლოგიაა მათთან უფრო ახლოს და რატომ?
5) ისწავლონ ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- ფლიპჩარტი ან ფორმატი - თითო 4-5 კაციან ჯგუფზე;
- დაფა, ფლიპჩარტი ან სხვა
- პროექტორი;
- ბარათები იდეოლოგიის აღწერით (იხ. დანართი 1);
- გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული ილუსტრაციები („სურათები“), რომლებსაც აჩვენებთ პროექტორით. ჩვენ გთავაზობთ ჩვენს სიას (დანართი 2);
- ფერადი ბარათები (მწვანე, ყვითელი, წითელი) - კომპლექტი თითო მონაწილეს

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. მომზადება

მეცადინეობის დაწყებამდე მიეცით მონაწილეებს დავალება, წაიკითხონ იმ სიმბოლოებსა და პიროვნებებზე, რომლებიც წარმოდგენილია დანართში 2 (ილუსტრაციები ახასიათებს გასხვავებულ იდეოლოგიებს).

II ეტაპი. შესავალი ნაწილი

უთხარით მონაწილეებს, რომ პოლიტიკური პარტია - ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს იდეოლოგია და გააჩნია სურვილი, მიიღოს ძალაუფლება საკუთარი იდეების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

იდეოლოგია - ეს არის სასურველ მომავალზე წარმოდგენის მთლიანი სისტემა.

პოლიტიკურ იდეოლოგიას გააჩნია ორი განზომილება:

- მიზნების განზომილება: როგორ უნდა იყოს ორგანიზებული საზოგადოება;
- მიზნების მიღწევის მეთოდების განზომილება: ყველა შესაფერისი გზა მის მისაღწევად.

მეცადინეობის დროს ჩვენ ვიმუშავებთ პოლიტიკური პარტიის პროგრამის შედგენაზე და იდეოლოგიის განსაზღვრაზე, რომლის შესაბამისადაც არის შექმნილი მიღებული პროგრამა.

III ეტაპი. პრობლემის არჩევა

თხოვეთ მონაწილეებს, ფურცლებზე დაწერონ მათი აზრით, ქვეყნისთვის მთავარი 5 პრობლემა. კენჭისყრის გზით დაყავით მონაწილეები 4-6 კაციან ჯგუფებად. თხოვეთ, მცირე ჯგუფებში წაიკითხონ პრობლემების საკუთარი სიები, შემდეგ კი აარჩიონ, ჯგუფის აზრით 5 მთავარი პრობლემა. მას შემდეგ, რაც მცირე ჯგუფებში შეასრულებენ დავალებას, თხოვეთ მონაწილეებს, წარმოადგინონ პრობლემები და დაწერონ ისინი დაფაზე (ფლიპჩარტზე), არ დაგავიწყდეთ, კითხოთ, რა გზით მიიღეს გადაწყვეტილება მცირე ჯგუფში, ყველა დაეთანხმა თუ არა მიღებულ გადაწყვეტილებას და ყველა კმაყოფილია თუ არა გაკეთებული არჩევანით.

IV ეტაპი. პროგრამის შედგენა

თხოვეთ მონაწილეებს, ფორმატზე ან ფლიფჩარტზე შექმნან მათი პოლიტიკური პარტიის პროგრამა, რომლითაც ისინი მიიღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, ან რომელსაც მხარს დაუჭერდნენ.

V ეტაპი. პროგრამისა და პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიის შესაბამისობა

მოვიდა დრო, რომ მონაწილეებს გააცნოთ პოლიტიკური იდეოლოგია. სავარაუდოდ, მათ რაღაც უკვე გაუგიათ იდეოლოგიის შესახებ და ახლა დროა მათ ცოდნა სისტემაში მოიყვანონ. აუხსენით მონაწილეებს, რომ აჩვენებთ სურათებს, რომელთაც შეესაბამება ესა თუ ის იდეოლოგია. მათი ამოცანაა - განმარტონ, რას ან ვის ხედავენ ნახატზე, გამოიცნონ იდეოლოგია და ახსნან, როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს. ერთ იდეოლოგიაზე არის 2 სურათი. მას შემდეგ, რაც იდეოლოგიას გამოიცნობენ, თხოვეთ

მონაწილეებს, მოიფიქრონ სიტყვა-მარკერი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ იდეოლოგიის არსის გამოხატვა. თუ რომელიმე სიტყვა-მარკერი გამოიწვევს კამათს, ყველა მხარეს მიეცით აზრის გამოთქმის საშუალება. დაწერეთ ყველა იდეოლოგიის დასახელება და სიტყვა-მარკერი დაფაზე (ფლიპჩარტზე). უთხარით, რომლებს ეთანხმებით და რომლებს -არა.

მას შემდეგ, რაც ყველა იდეოლოგიას გამოიცნობენ, დაურიგეთ ბარათები ყველა განხილული იდეოლოგიის აღწერილობით. თხოვეთ მონაწილეებს, დახედონ პროგრამებს და განსაზღვრონ, რომელი იდეოლოგიის აღმოჩნდა მათი პარტია. მიეცით განსხვავებული ჯგუფების წარმომადგენლებს თითო წუთი, რომ განმარტონ თავიანთი პასუხი.

უთხარით, რომ თანამედროვე სამყაროში ძნელად შეხვდებით ადამიანს, ვინც სრულიად ემხრობა რომელიმე პოლიტიკურ იდეოლოგიას: ხშირად ხდება, რომ რომელიმე საკითხზე ადამიანი მსჯელობს, როგორც რომელიმე ერთი იდეოლოგიის წარმომადგენელი, სხვა საკითხზე კი , როგორც სხვა იდეოლოგიის. ამასთანავე, არსებობს საბაზისო ფასეულობები, რომელთაგან ერთი ამ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ვიღაცისთვის მნიშვნელოვანია პიროვნების თავისუფლება, სხვისთვის - თანასწორობა, მესამისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოება, მეოთხისთვის - ტრადიციების შენარჩუნება და ა.შ.

VI ეტაპი. რეფლექსია

მეცადინეობის ჩატარების შემდეგ დაურიგეთ მონაწილეებს ბარათები: თითო მწვანე, ყვითელი და წითელი ფერის. თხოვეთ მათ, ამ ბარათებით გიპასუხონ შეკითხვებზე , კითხვის პასუხად დადონ რომელიმე ფერის ბარათი. მწვანე ბარათი - „ყველაფერი კარგადაა“, „მე კმაყოფილი ვარ“ და ა.შ; ყვითელი - „ისე რა“, „საშუალოდ“; წითელი - „მე უკმაყოფილო ვარ“, „რაღაც ისე ვერ გამოვიდა“, „არა“ და ა.შ. თავიდან აზრის გამოთქმა თხოვეთ მათ, ვინც წითელი ბართი დადო, შემდეგ - ვინც ყვითელი, შემდეგ - მწვანე.

სავარაუდო შეკითხვები რეფლექსიისთვის (გვპასუხობენ ფერადი ბარათებით):

- რამდენად კმაყოფილი ხართ დავალების შესრულების შემდეგ?
- შეაფასეთ მუშაობა ჯგუფებს შიგნით;
- გაგიჭირდათ პროგრამის იდეოლოგიისთვის შესაბამება?
- რამდენად ემთხვევა ჯგუფის შედეგი თქვენს პირად შეხედულებას?

ასევე, კითხეთ მონაწილეებს:

- პროგრამის რომელ წარმატებულ პუნქტებს გამოყოფდით?
- საკუთარი იდეოლოგიის გარდა რას ითვალისწინებენ პოლიტიკური პარტიები პროგრამების შედგენისას?

- რამდენად სასარგებლო იყო ეს მეცადინეობა თქვენთვის?

VII ეტაპი. საშინაო დავალება

შესთავაზეთ მონაწილეებს, სახლში შეავსონ ტესტი „ჩემი პოლიტიკური პრიორიტეტები“ [1], შეადარონ თავიანთი პრიორიტეტები ცნობილი ადამიანების, ან მეგობრების პრიორიტეტებს.

წყარო:

1. Тест «Мои политические предпочтения». URL: https://vk.com/page-20136617_51581094 (дата обращения: 10.10.2017). ტესტი „ჩემი პოლიტიკური პრიორიტეტები“ URL: https://vk.com/page-20136617_51581094 (თარიღი: 10.10.2017).

დანართი

დანართი 1

ბარათები იდეოლოგიების აღწერილობით

ლიბერალიზმი (ლათინ. – „თავისუფალი“)

სიტყვა-მარკერი: თავისუფლება

ძირითადი ფასეულობები

- ინდივიდუალური ინტერესის პრიორიტეტი სახელმწიფო ინტერესებზე, საზოგადოებრივი ინტერესი - ერთი პირის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- ადამიანის და მოქალაქის უფლებისა და თავისუფლების დაცვა;
- ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის დაცვა;
- თავისუფალი ეკონომიკა;
- დემოკრატიული პროცედურების, მათ შორის, უმცირესობების ინტერესების პატივისცემის პრინციპის დაცვა;
- უფლებების და სამართლებრივი სახელმწიფოს უზენაესობა.
- საგარეო პოლიტიკის ძირითადი იარაღი - „რბილი ძალა“, რომელიც ეფუძნება ქვეყნის ავტორიტეტსა და ეკონომიკურ ზეწოლას.

სოციალ-დემოკრატია

სიტყვა-მარკერები: თავისუფლება, სამართლიანობა და სოლიდარობა

ძირითადი ფასეულობები:

- ადამიანის და მოქალაქის უფლებისა და თავისუფლების დაცვა;
- ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის დაცვა.
- ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც ხალხი ძირითად დროს დაუთმობს არა კაპიტალის გამომუშავებას, არამედ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას;
- შემოსავლების გადანაწილება - ხალხი, რომელიც იღებს ზეშემოსავალს, მოვალეა, გაუყოს და დაეხმაროს მათ, ვისაც არ შეუძლია თანხის გამომუშავება და მათაც, ვინც დაკავებულია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან, მაგრამ არაშემოსავლიან თანამდებობებზე (მასწავლებლები, ექიმები და ა.შ.)
- დაუცველების სოციალური მხარდაჭერა და დასაქმებულთა დამატებითი უფლებები (სუსტი მხარის) დამსაქმებლის წინაშე (ძლიერი მხარის მიერ) გადასახადების გაზრდის გზით;
- დემოკრატიული პროცედურების, მათ შორის, უმცირესობების ინტერესების პატივისცემის პრინციპის დაცვა;
- უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უზენაესობა.
- საგარეო პოლიტიკის ძირითადი იარაღი - „რბილი ძალა“, რომელიც ეფუძნება ქვეყნის ავტორიტეტსა და ეკონომიკურ ზეწოლას.

კონსერვატიზმი (ლათ.conservo – „შენახვა“)

სიტყვა-მარკერები: ტრადიციული ფასეულობები, ოჯახი, წესრიგი, თავისუფალი ეკონომიკა

ძირითადი ფასეულობები:

- გუნდური ფასეულობები მნიშვნელოვანია ცალკე აღებული ადამიანების უფლებებსა და ინტერესებზე;
- სახელმწიფომ უნდა დაიცვას ოჯახი, რელიგია, ცხოვრების ტრადიციული წესი, არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა, უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოებრივ ადგილებში მაინც;
- სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი და აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოების გუნდური ინტერსების დაცვაში;
- უმრავლესობის ინტერესების დაცვა;
- თავისუფალი ეკონომიკა, კონკურენცია, ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა;

- უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უზენაესობა.
- უსაფრთხოების დასაცავად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ სახელმწიფოს შეუძლია და უნდა გამოიყენოს ძალა.

კომუნიზმი

სიტყვა-მარკერები: თანასწორობა, სოციალური სამართლიანობა, თვითორგანიზაცია

ძირითადი ფასეულობები:

- ადამიანის უფლებები და ინტერესები შეიძლება დაცული იყოს მხოლოდ ხალხის უფლებრივი და სოციალური თანასწორობისას;
- ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც ხალხი ძირითად დროს დაუთმობს არა კაპიტალის გამომუშავებას, არამედ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას;
- წარმოება არ უნდა იყოს კერძო საკუთრებაში, დამსაქმებლები ექსპლოატაციას არ უნდა უწევდნენ დასაქმებულებს;
- ხალხის ეკონომიკური თანასწორობა;
- ინსტიტუტების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს პიროვნების შემოქმედებით განვითარებას;
- დემოკრატიული პროცედურების მზარდაჭერა, მათ შორის, უმცირესობების ინტერესების პატივისცემა, გადაწყვეტილების კოლექტიური მიღება საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში;
- სახელმწიფოს ინსტიტუტი უნდა შეიცვალოს, მის ნაცვლად უნდა არსებობდეს თვითორგანიზებადი კომუნები;
- კოსმოპოლიტიზმი;
- ბრძოლის რადიკალური მეთოდების დაშვება, ასოცირებული ძალადობასთან, ექსპლოატატორებთან ურთიერთობაში.

ლიბერტარიანობა

სიტყვა- მარკერები: თავისუფლება, თვითორგანიზაცია

ძირითადი ფასეულობები:

- პიროვნების ინტერესების პრიორიტეტულობა, კოლექტიური ინტერესების უარყოფა;
- ადამიანის ყველა უფლება უნდა დაიყვანებოდეს პიროვნებისა და საკუთრების ხელყოფისგან თავისუფლებაზე და ასეთი ხელყოფისგან დაცვაზე;
- სახელმწიფოს მინიმალური როლი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ხალხის კერძო საკუთრების დაცვას;

- სრულად თავისუფალი ეკონომიკა, გადასახადებისა და ანტიმონოპოლური კანონმდებლობის არარსებობა;
- ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას ხალხის ნებაყოფლობითი გაერთიანება (უპოვართა დახმარება, ბავშვების სწავლება და ა.შ.)

ნაციონალიზმი

სიტყვა- მარკერები: ერის ინტერესები

ძირითადი ფასეულობები:

- საკუთარი ერის, ხშირად სახელმწიფოსადმი ერთგულება და თავდადება;
- ერის ინტერესები ცალკე აღებული ადამიანების უფლებებსა და ინტერესებზე მნიშვნელოვანია;
- სხვა სახელმწიფოებისა და უცხო ერების კულტურისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობა;
- ხალხის ერთიანობა ერის ცხოვრების პირობების, მისი ტერიტორიის, ეკონომიკური და სულიერი ფასეულობების პრაქტიკულად დასაცავად;
- კულტურული და სულიერი ზრდა;
- სტანდარტირებული განათლება, მიმართული ერის პატრიოტების აღზრდაზე.

ფაშიზმი (იტალ. fascismo от fascio – „კავშირი, კონა, გაერთიანება“)

სიტყვა - მარკერები: ძლიერი ხელისუფლება, ერის ერთიანობა.

ძირითადი ფასეულობები:

- საკუთარი ერის განდიდება (ხშირად - აღმატებული);
- საკუთარი ერისა და ხშირად სახელმწიფოს ერთგულება და თავდადება;
- ერის ინტერესები ცალკე აღებული ადამიანების უფლებებსა და ინტერესებზე მნიშვნელოვანია;
- სხვა სახელმწიფოებისა და უცხო ერების კულტურისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობა;
- ხალხის ერთიანობა ერის ცხოვრების პირობების, მისი ტერიტორიის, ეკონომიკური და სულიერი ფასეულობების პრაქტიკულად დასაცავად;
- კულტურული და სულიერი ზრდა;
- სტანდარტირებული განათლება, მიმართული ერის პატრიოტების აღზრდაზე.
- ქვეყნის მართვა „ძლიერი ხელით“ ე.ი. ტოტალიტარული მეთოდებით;
- სხვა ეროვნების წარმომადგენელების, ოპოზიციონერების და სხვა ხალხის უფლებების შეზღუდვა (ხშირად - უფლებების ჩამორთმევა, ფიზიკური განადგურება), რაც ხშირად გამართლებულია ერის ინტერესებით.

ბევრ ქვეყანაში ფაშისტური პარტიები აკრძალულია კაცთმოძულეობის იდეოლოგიის გამო.

ანარქიზმი (ძვ. ბერძნ. ἀν — «გარეშე» და ἀρχή — «ხელისუფლება»)

სიტყვა - მარკერები: თავისუფლება, თვითორგანიზაცია.

ძირითადი ფასეულობები:

- ადამიანის მიერ პიროვნების მიმართ განხორციელებული ყველა ტიპის ექსპლოატაციისა და იძულების მოსპობა.
- ყველა სახის ძალაუფლების, მათ შორის სახელმწიფოს, შეცვლა ინდივიდების თანამშრომლობის განსხვავებული ფორმებით;
- საზოგადოებრივი ურთიერთობები და ინსტიტუტები უნდა ემყარებოდნენ თითოეული მონაწილის პირად დაინტერესებას, ურთიერთდახმარებას, ნებაყოფლობით თანხმობასა და პასუხისმგებლობას (გამომდინარე პირადი დაინტერესებიდან).

დანარჩენში ანარქიზმის განსხვავებული მიმართულებები მკვეთრად განსხვავებულია.

დანართი 2

იდეოლოგიების ილუსტრაციები

ლიბერალიზმი



1. თავისუფლების ჩირაღდანი- ქანდაკება. სკულპტურის სრული დასახელება - თავისუფლება, რომელიც მსოფლიოს ანათებს.

2. ეგორ გაიდარი (ცენტრში) -— რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, ეკონომისტი. ლიბერალურ- ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების ერთერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი რუსეთში 1990-იან წლებში.

სოციალ-დემოკრატია



მუშტში მოქცეული წითელი ვარდი - სოციალ-დემოკრატების სიმბოლო. ვარდი - სოციალური სამართლიანობის სიმბოლო, მუშტი - მუშათა მოძრაობის სიმბოლო.

ულოფ პალმე - შვედეთის პრემიერ-მინისტრი 1969-1976 და 1982–1986 წლებში, რომლის მკვლელობაც დღემდე გაუხსნელია. „შვედური მოდელის“ სოციალიზმის იდეოლოგი, რომელმაც შეძლო საკუთარი იდეების პრაქტიკაში განხორციელება.

კონსერვატიზმი

1. მსოფლიოში უძველესი ახალი ამბების ჟურნალ „თაიმის“ ნომრის ყდა „რკინის ლედის“, კონსერვატული პოლიტიკის ადამიანი-სიმბოლოს მარგარეტ ტეტჩერის ფოტოთი.



2. რონალდ რეიგანი, აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის წლებს ეკონომიკური პოლიტიკა უწოდეს „რეიგანომიკა“. მისი არსი - გადასახადებისა და

ეკონომიკის კონტროლში სახელმწიფოს როლის შემცირება („კრიზისის დროს მთავრობა არ არის მოგვარების გზა, მთავრობა - ესაა სწორედ პრობლემა“). ასევე, რეიგანმა მკვეთრად გაზარდა ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი.

კომუნიზმი

1. წითელი ბრიგადების დროშა - იატაკქვეშა მემარცხენე-რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციის, რომელიც მოქმედებდა იტალიაში 1970-დან 1980-იანი წლების ბოლომდე. მისი წევრები მიზნად ისახავდნენ კომუნისტური სახელმწიფოს შექმნას, შეიარაღებული ბრძოლების შედეგად და იტალიის გამოსვლას ნატო-დან.

2. ნიკიტა ხრუშოვი, საბჭოთა პოლიტიკოსი, 1953–1964 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. სკკპ XXII

ყრილობაზე განაცხადა: „პარტია საზეიმოდ აცხადებს: საბჭოთა ხალხის ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში!“.

ლიბერტარიანობა

1. ამერიკელი მწერალი ქალის აინ რენდის ლიბერტარიანელებისთვის საკულტო რომან-ანტიუტოპიის „ატლანტმა მხრები გაშალა“ გრაფიკული ილუსტრაცია.

2. ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი, ავსტრიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, ახალი ავსტრიული სკოლის წარმომადგენელი, ლიბერალური ეკონომიკის და თავისუფალი ბაზრის მომხრე. ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში. თანმიმდევრულად იცავდა ინდივიდუალური თავისუფლების ფასეულობას, ხშირად უპირისპირებდა თავისუფლებას, დემოკრატიას: „ ერთგვაროვანი და დოქტრინალური უმრავლესობის მმართველობისას დემოკრატია შეიძლება აღმოჩნდეს არანაკლებ ტირანული, ვიდრე დიქტატურებს შორის ყველაზე უარესი“.

ნაციონალიზმი

1. ფრანგი მხატვრის ეჟენა დელაკრუას ნახატი „თავისუფლება უძღვება ხალხს“ , ან „თავისუფლება ბარიკადებზე“; გახდა ბევრი იდეოლოგიის სიბმოლო, განსაკუთრებით, ნაციონალიზმის.

2. მარინ ლე პენი, ფრანგი პოლიტიკოსი, ეროვნული ფრონტის პარტიის მეთაური, მომხრე იდეისა „საფრანგეთი - ფრანგებისათვის“ და საფრანგეთის გამოსვლისა ევროკავშირიდან. ერთ-ერთ მიტინგზე ლი პენმა განაცხადა: „ გული ძალიან მწყდება, მაგრამ შევახსენებ მათ, ვისაც უყვართ მეორე მსოფლიო ომის შესახებ ბევრი ლაპარაკი, თუ ოკუპაციაზე ვსაუბრობთ, ის შეიძლება შევადაროთ დღევანდელ სიტუაციას, რადგან ეს ყველაფერი ასევე ტერიტორიის ოკუპაციაა“.

ფაშიზმი

1. იტალიური სიტყვა fascism წარმოიშვა სიტყვიდან fascio – „კავშირი, ერთობა, გაერთიანება“.

2. ჟან-მარი ლე პენი, ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი ევროპელი პოლიტიკოსი, XXI საუკუნეში გამოდიოდა ძლიერი მილიტარიზებული ევროპული იმპერიის იდეით, რომელშიც სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები უპირატესია ადამიანის უფლებებზე. იყო გასამართლებული გამონათქვამებისთვის, რომელიც შეგნებულად აკნინებდა ჰოლოკოსტის მნიშვნელობას, მაგალითად, ფრაზისთვის: „ნაცისტების გაზის კამერები - ეს „მხოლოდ ეპიზოდია მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში“.

Анархизм ანარქიზმი



1. შავი დროშა - ანარქისტების სიმბოლო.

2. თავადი პეტრე კროპოტკინი, ანარქო-კომუნისტი (ანარქიზმი მრავალგვარია: არის, მაგ: ანარქო-კაპიტალიზმი, ანარქო-ინდივიდუალიზმი, ანარქო-კოლექტივიზმი, ასევე

„ანარქიზმი ზედსართავების გარეშე“). კროპოტკინისთვის „სახელმწიფო - არის ბატონყმობის, დამტაცებლობის, სხვისი შრომის და მიწის მითვისებაზე დაფუძნებული საკუთრების მფარველი“.

მეცადინეობა 3. თანამედროვე პოლიტიკა

მეცადინეობა შეიმუშავა და ჩაატარა
არკადი გუტნიკმა

აღწერა
მაქსიმ ივანცოვმა

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეებისთვის რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს აქტუალური პოლიტიკური უწყისის გაცნობა;
2) ზოგიერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტერმინის მნიშვნელობის შესწავლა.

საჭირო რესურსები და დამატებითი მასალა:

- დაფა, ფლიპჩარტი და ა.შ.
- ყველა მონაწილისთვის დაბეჭდილი პოლიტიკური პარტიის ანკეტა (იხ. დანართი)

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. ანკეტის შევსება

უთხარით მონაწილეებს, რომ დღეს ისაუბრებთ თანამედროვე პოლიტიკის შესახებ. შესთავაზეთ, ინდივიდუალურად შეავსონ ანკეტა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის პროგრამის ამონარიდებით (იხ. დანართი). მიეცით 10 წუთი ანკეტების შესავსებად.

II ეტაპი. პოლიტიკური ტერმინების მნიშვნელობის განხილვა

ანკეტების შევსების შემდეგ კითხეთ მონაწილეებს, რომელი პოლიტიკური ტერმინებითაა შესაძლებელი მოცემული პოლიტიკური პარტიის აღწერა. დაწერეთ ტერმინები დაფაზე. კითხეთ, ვინაა მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე, რომ მოცემული პოლიტიკური პარტიის პროგრამას შეიძლება შეესაბამოს ესა თუ ის ტერმინი. შესაძლოა, მათ ვერ მოახერხონ პარტიის პროგრამისთვის გარკვეული იდეოლოგიის მისადაგება. აუხსენით მათ, რომ ეს ნორმალურია და რომ კლასიკური ტიპოლოგია არ

ითვალისწინებს თანამედროვე სამყაროში განხილულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს. გაჩნდა ბევრი ახალი პარტია ახალი წესდებით.

III ეტაპი. პარტიების პროგრამების თეზისების განხილვა

მონაწილეებთან ერთად განიხილეთ, რატომ ემხრობიან, ან ეწინააღმდეგებიან პროგრამის ამა თუ იმ თეზისს?

მეცადინეობის ბოლოს შეიძლება „კარტის გახსნა“ ეს მართლაც რეალური პარტიის - ისლანდიის პირატთა პარტიის პროგრამაა. ამ პროგრამით მიიღო პარტიამ მონაწილეობა არჩევნებში 2016 წელს და მიიღო 10 ადგილი ალტინგში, ისლანდიის პარლამენტში, რომელიც უძველესია დედამიწაზე.

დანართი

ანკეტა „პოლიტიკური პარტიის პროგრამა“

- პროგრამის რომელ მოსაზრებას ეთანხმებით? რატომ?
- პროგრამის რომელ მოსაზრებას არ ეთანხმებით? რატომ?

პარტიის პროგრამიდან

№	პროგრამის მოსაზრება	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	რატომ?
1	ეროვნულ დონეზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად პირდაპირი დემოკრატიის ნორმების შემოტანა			
2	ჩინოვნიკების უმრავლესობის დათხოვნა			
3	ყველა საკითხის რეფერენდუმზე გადაწყვეტა (კანონპროექტების შემოტანა და ხმის მიცემა - ინტერნეტის			

	საშუალებით)			
4	ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია			
5	სიტყვის სრული თავისუფლება და ინფორმაციის შეზღუდვის გარეშე გავრცელების უფლება			
6	ინტერნეტში საავტორო უფლებების ინსტიტუტის ლიკვიდაცია			
7	გადასახადების გაზრდა იმ ზემდიდარი მოქალაქეებისთვის, რომლებიც აკონტროლებენ საბანკო სექტორს, ეკონომიკის ნედლეულის დარგებს			
8	მოსახლეობის მიერ ეკონომიკის, ნედლეულის დარგების, როგორც ეროვნული ქონებისკონტროლი			
9	ქვეყნის ღია ბიუჯეტი			
10	სახელმწიფოთაშორის კავშირებში შეუსვლელობა			

- გენდომებოდათ საპარლამენტო არჩევნებზე ამ პარტიისთვის ხმის მიცემა? (დიახ, არა) ___
- რომელი ტერმინებით შეიძლება ამ პოლიტიკური პარტიის აღწერა (იდეოლოგიის, პოლიტიკურ სპექტრში ადგილის და ა.შ. მიხდვით)

_____

_____

- მოიფიქრეთ ამ პარტიის სახელწოდება _____.

მეცადინეობა 4. საარჩევნო უფლების პრინციპები

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეებთან ერთად საარჩევნო უფლების პრინციპების და მისი შეზღუდვების მნიშვნელობის განხილვა;
2) შეისწავლონ, საარჩევნო უფლების რა პრინციპები და შეზღუდვები არსებობს კანონმდებლობაში და თქვენი ქვეყნის პრაქტიკაში. შეადარონ ისინი სხვა ქვეყნების კანონმდებლობებს;
3) მონაწილეებთან ერთად კამათის დროს მათი ურთიერთობის სტილის განხილვა.

საჭირო რესურსი და დამხმარე მასალა:

- დაფა, ფლიპჩარტი და ა.შ.
- ბარათები საკანონმდებლო ინიციატივის იდეებით (იხ. დანართი) - თითო კომპლექტი (4 ბარათი) ყოველი მცირე ჯგუფისთვის

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. ვდებატობთ კანონპროექტების შესახებ

დაყავით მონაწილეები 4 კაციან ჯგუფებად. თუ მონაწილეთა რაოდენობა არ იყოფა 4-ზე, ვინმეს მოუწევს როლის თამაში წყვილში. თხოვეთ ყველა ჯგუფის მონაწილეს, რომ დასხდნენ ერთმანეთის პირისპირ, რომ მცირე ჯგუფებში შეიქმნას წარმოსახვითი კვადრატი.

აუხსენით მონაწილეებს, რომ თქვენ ახლა გაითამაშებთ თათბირს პრემიერ-მინისტრის კაბინეტში. ყველა მონაწილეს მცირე ჯგუფებში მიანიჭეთ საკუთარი ნომერი: ყველა ოთხეულში იქნება ნომერი 1, მისგან მარჯვნოვ -2, ერთიანის პირდაპირ - 3 და მისგან ხელმარცხნივ, შესაბამისად - 4. ამის შემდეგ გამოაცხადეთ როლები. მათ, ვისაც შეხვდა

ნომერი 1, იღებენ პრემიერ-მინისტრის როლს. მათი ამოცანაა, წარუდგეს თავის ოთხეულს და წარმოაჩინოს იდეა, რომელსაც შესთავაზებს წამყვანი. მეორე ნომრები ასრულებენ მმართველი პარტიის ხელმძღვანლის როლს. მათი ამოცანაა, ყველაფერში დაეთანხმოს და მხარი დაუჭიროს პრემიერ-მინისტრს, მოიფიქროს ახალი არგუმენტები. ნომერ 3-ს აქვს ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანლის როლი. ისინი უნდა შეეწინააღმდეგონ პრემიერ-მინისტრს, წამოაყენონ თავიანთი არგუმენტები და კონტრ-არგუმენტები მმართველი პარტიის ინიციატივების საწინააღმდეგოდ. ნომერი 4 ძლიერი დამოუკიდებელი დეპუტატია.ის უნდა გაერკვეს სიტუაციაში, დაუსვას შეკითხვები მხარეებს, კამათში მხარი დაუჭიროს იმ მხარეს, რომელსაც უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს.

როდესაც დარწმუნდებით, რომ ყველამ გაიგო თავისი როლი, ყველა ჯგუფის ცენტრში დადეთ ბარათები კანონპროექტების იდეებით (იხ. დანართი) ტექსტით ქვემოთ. თხოვეთ პრემიერ-მინისტრს ამოიღოს ნებისმიერი ბარათი. მისი ამოცანაა, გაახმოვანოს იდეა და დაასაბუთოს კანონპროექტის ამ შინაარსით მიღების აუცილებლობა. რამდენიმე წუთის შემდეგ შეაჩერეთ განხილვა და გამოაცხადეთ როლების შეცვლის შესახებ. როლები შეიძლება შეიცვალოს საათის ისრის ან მისი საწინააღმდეგო მიმართულებით. მაგ: მმართველი პარტიის ხელმძღვანელი გახდება პრემიერ-მინისტრი, იგი - დამოუკიდებელი დეპუტატია და ა.შ. როლების შეცვლის შემდეგ ახალი პრემიერ-მინისტრი იღებს ახალ ბარათს.

ამის შემდეგ თხოვეთ მონაწილეებს დასხდნენ წრეზე და განიხილეთ საკითხები:

- გაგიჭირდათ როლში შესვლა?
- რამდენად ადვილად მოახერხეთ ახალ როლზე გადართვა?
- რომელ როლში გრძნობდით თავს კომფორტულად და რატომ?
- თუ იყო თუნდაც ერთხელ ისეთი შემთხვევა, რომ არ ეთანხმებოდით იმ პოზიციას, რომელსაც იცავდით? თუ კი, რამდენად კომფორტული იყო თქვენთვის იმ პოზიციის დაცვა, რომელსაც სინამდვილეში არ ემხრობით?
- თუ გქონიათ ცხოვრებაში შემთხვევა, როცა მოგიწიათ „არა“ თქვენი პოზიციის დაცვა?
- როგორ, რა ხერხებით ცდილობდით თქვენი პოზიციის დაცვას? თქვენი ოთხეულის კოლეგები? ხომ არ შეამჩნიეთ რაიმე საინტერესო?
- ხომ არ იქცევით ცხოვრებაში (ოჯახში, საზოგადოებაში), რომელიმე ამ როლის მსგავსად?

პროცესის განხილვიდან გადადით თეზისების შინაარსის (კანონპროექტების იდეების) განხილვაზე. კითხეთ მონაწილეებს, ეთანხმებიან თუ არა პირველ იდეას. შეიძლება უყაროთ კენჭი, ვინაა მომხრე და ვინ - წინააღმდეგი? საარჩევნო უფლების რომელ პრინციპს ეხება ეს იდეა?

II ეტაპი. ვსწავლობთ საარჩევნო უფლების პრინციპებს და ვფიქრობთ ამ პრინციპების და ამ პრინციპებიდან გამონაკლისების აუცილებლობაზე.

უთხარით მონაწილეებს, საარჩევნო უფლება იყოფა ორ ნაწილად: არჩევის უფლებად (აქტიური საარჩევნო უფლება) და უფლებად, ვიყოთ არჩეული (პასიური საარჩევნო უფლება).

დასაწყისში თხოვეთ მონაწილეებს, ჩამოაყალიბონ საარჩევნო უფლების პრინციპები, მაგრამ თუ ისინი ვერ შეძლებენ განსახილველად ღირებული პრინციპის დასახელებას, დაასახელეთ თქვენ თვითონ. სათითაოდ დაწერეთ პრინციპები დაფაზე, მოკლედ განმარტეთ მათი მნიშვნელობა. ყოველი პრინციპის დაწერისა და განმარტების შემდეგ დაუსვით მონაწილეებს შეკითხვები:

- უნდა არსებობდეს თუ არა მოცემული პრინციპი?
- უნდა არსებობდეს თუ არა არჩევის უფლების ამ პრინციპში რაიმე გამონაკლისი? რომელი? რატომ? (გამონაკლისები დაწერეთ დაფაზე)
- უფლებისთვის, რომ ვიყოთ არჩეული, უნდა არსებობდეს თუ არა გამონაკლისები?
- თუ არსებობს თქვენი ქვეყნის საკანონმდებლო დონეზე ასეთი პრინციპი? რა გამონაკლისები არსებობს, თუ კი არსებობს, თუ ხდება ამ პრინციპის დაცვა რეალურად? რატომ?
- რომელ სხვა ქვეყანაში არსებობს ესა თუ ის შეზღუდვები?
- თუ არის ქვეყნები, სადაც არის არჩევნები ამ პრინციპის დაცვის გარეშე?

შეთავაზეთ შემდეგი პრინციპების განხილვა:

- ***საყოველთაობა:*** არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია ყველას. შესაძლო შეზღუდვები: მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის (მინიმალური და მაქსიმალური ასაკი) მიხედვით, შეზღუდვები სამართალდამრღვევებისთვის, განათლების ცენზი, შეზღუდვები სპეციალობის მიხედვით, ფინანსური ცენზი და ა.შ.
- ***თანასწორობა:*** ყველა მონაწილეობს არჩევნებში თანაბარ საფუძვლებზე: ყველა ამომრჩეველს აქვს თანაბარი საარჩევნო ხმა, ყველა საარჩევნო უბანი ხელმისაწვდომია და მუშაობს ერთი და იმავე დროს, ყველასთვის, ვისაც უნდა, რომ იყვნენ არჩეულნი, არის კანდიდატად დარეგისტრირების, საარჩევნო კამპანიის წარმართვის, არჩევნების პროცესებზე დაკვირვების და ხმების დათვლის, კომისიებში საკუთარი წარმომადგენლების დანიშვნის თანაბარი პირობები.
- ***ფარულობა:*** ამომრჩეველს აქვს შესაძლებლობა, ხმა მისცეს ისე, რომ ვერავინ გაიგოს, თუ ვის მისცა ხმა. არჩევნების ფარულობის გამო ამომრჩეველს არ უნდა ჰქონდეს არანაირი ნეგატიური შედეგი.

დანართი

ბარათები კანონპროექტების იდეებით

1. აუცილებელია ხმის მიცემა გახდეს ფასიანი: ის, ვისაც უნდა არჩევნებზე მისვლა და ხმის მიცემა, იხდის მცირე თანხას, მაგ: 10 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

2. არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეთ 14 წლიდან.

3. პრეზიდენტი უნდა აირჩიონ არ საყოველთაო არჩევნებზე, არამედ დეპუტატების ხმების მიხედვით.

4. არჩევნებში ხმის მიცემა უნდა იყოს სახელობითი: ცნობილი უნდა იყოს, ვის მისცა ხმა ამა თუ იმ ამომრჩეველმა.

მეცადინეობა 5. ვაანალიზებთ კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს

მეცადინეობის მიზნები:

- მონაწილეებმა გააცნობიერონ, რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნების დროს კანდიდატების პროგრამის ანალიზი;
- ისწავლონ, როგორ შეაფასონ პროგრამები და შეიძინონ შესაბამისი უნარები და გამოცდილება.

საჭირო რესურსი და მასალა:

- დაფა, ფლიპჩარტი და ა.შ.

- პროექტორი;
- ლეპტოპი;
- ვიდეომასალა[1; 2; 3; 4];
- ადაპტირებული საარჩევნო პროგრამები

საჭირო დრო: 45–60 წუთი, იმის მიხედვით, აჩვენებთ მთელ ვედეო მასალას თუ მხოლოდ აშის ექსპერიმენტს.

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/ტრენერს:

- თუ თქვენ ფლობთ შესაბამის გამოცდილებას და უნარებს, რეკომენდებულია, აშის ექსპერიმენტი ჩაატაროთ მეცადიეობის დროს;
- თუ ვერ ასწრებთ ყველა ვიდეო მასალის ჩვენებას, თხოვეთ მონაწილეებს, რომ ნახონ ისინი სახლში, მეცადინეობის შემდეგ. რეკომენდებულია, განიხილოთ ერთად ნანახი ვიდეომასალა შემდეგ შეხვედრაზევე.

ტერმინები:

წინასაარჩევნო პროგრამა - კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელსაც აქვეყნებს კანდიდატი ან საარჩევნო გაერთიანება (პოლიტიკური პარტია) საარჩევნი კამპანიის დროს ან მის დაწყებამდე და რომელიც ეხება ქვეყნის (რეგიონის, დასახლებული პუნქტის) განვითარების აქტუალურ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს;

კონფორმიზმი (ლათ. Conformis – „მსგავსი“) - ადამიანის ქცევის, ან შეხედულების შეცვლა სხვა ადამიანის, ან ჯგუფის რეალური, ან წარმოსახვითი ზეგავლენის შედეგად;

კრიტერიუმი (ძვ, ბერძნ. κριτήριον - „განსხვავების საშუალება, მსჯელობის და გაზომვის შესაძლებლობა“) - ნიშანი, საზომი, რომლის მიხედვითაც რაიმეს აფასებენ, არკვევენ მნიშვნელობას, რის მიხედვითაც მსჯელობენ.

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. გამოწვევა(პროვოცირება)

მონაწილეებს გავაცნოთ მეცადინეობის მიზნები. ვკითხოთ: რამდენად ხშირად უწევთ ცხოვრებაში არჩევანის გაკეთება? ვთხოვოთ, დაასახელონ მაგალითები. საჭიროების შემთხვევაში ვუბიძგოთ, დაასახელონ მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, მაგ: რა ჩავიცვათ, რა ნომერი ტრანსპორტით ვიმგზავროთ, როგორ გადავანაწილოთ საქმიანობები დღის განმავლობაში და ა.შ. ვკითხოთ, რის მიხედვით აკეთებენ არჩევანს, რას აქცევენ ყურადღებას? პასუხები ჩამოვწეროთ დაფაზე.

ვკითხოთ, ყოველი აჩევანის წინ ვაცნობიერებთ თუ არა, რატომ ვაკეთებთ ამ არჩევანს?

ვკითხოთ მონაწილეებს, რამდენად არიან ისინი სხვისი/ სხვების გავლენის ქვეშ, როდესაც აკეთებენ არჩევანს. იმის დასადასტურებლად, რომ ადამიანები ვექცევით კონფორმიზმის გავლენის ქვეშ, ვაჩვენოთ ვიდეორგოლი აშის ესქპერიმენტით „ბრბოს ეფექტი," ნუთუ შენ ცხვარი ხარ?" [4]; თუ ჩვენება რაიმე მიზეზით ვერ ხერხდება, ვუამბოთ მისი შინაარსი.

ავუხსნათ, რომ კონფორმიზმი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვებზე. ვაჩვენოთ ვიდეო ტესტი „თეთრი და შავი პირამიდა" [3].

ადამიანზე სხვების გავლენა კარგად ჩანს ვიდეო რგოლებში „სოციალური ექსპერიმენტი" [2] და „საინტერესო სოციალური ექსპერიმენტი. ბრბოს ფსიქოლოგია" [1];

II ეტაპი. ცოდნის კონსტრუირება

მონაწილეებს ავუხსნათ, რომ არჩევნების წინ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ მათი პროგრამების მიხედვით. ვკითხოთ მონაწილეებს, თუ აქვთ მსგავსი გამოცდილება და თუ კი, რას მიაქციეს ყურადღება პროგრამის შეფასებისას და გადაწყვეტილების მიღებისას.

ავუხსნათ მონაწილეებს, რომ ადამიანებისთვის პროგრამების შეფასების კრიტერიუმები განსხვავებულია და ყველა თვითონ ირჩევს, რა არის მისთვის მთავარი არჩევანის გაკეთების დროს.

. მონაწილეებს ვაძლევთ დავალებას: 5 წუთის განმავლობაში ინდივიდუალურად დაფიქრდნენ და ჩაინიშნონ 3-5 კრიტერიუმი, რომელსაც მიაქცევდნენ ყურადღებას კანდიდატის პროგრამის განხილვისას. დასრულების შემდეგ 5 წუთის განმავლობაში იდეები გაუზიარონ ერთმანეთს წყვილებში და შეთანხმდნენ საერთო 3-5 კრიტერიუმზე. ამის შემდეგ 15 წუთის განმავლობაში 4 ან 6 მონაწილე შეთანხმდეს საერთო 3-5 კრიტერიუმზე. ყველა ჯგუფი ამზადებს ფლიპჩარტზე და წარმოადგენს საკუთარ კრიტერიუმებს.

პრეზენტაციების შემდეგ გამოვყოთ საერთო და განსხვავებული კრიტერიუმები. ვკითხოთ, ხომ არ იყო ისეთი კრიტერიუმიც, რაც არ მოხვდა ამ სიაში, მაგრამ მიაჩნიათ მნიშვნელოვნად. ასეთის არსებობის შემთხვევაში ჩვენ თვითონ მივამატოთ ისიც საერთო სიას.

თუ მონაწილეებმა არ შემოგვთავაზეს, მიმართული შეკითხვების საშუალებით დავაფიქროთ კრიტერიუმებზე:

- რამდენად ითვალისწინებს პროგრამა ჩემი და ჩემი ახლობლების ინტერესებს;
- რამდენად არის პროგრამა რეალისტური/ მიღწევადი;
- რამდენად დამაჯერებელია მიღწევის გზები და საშუალებები;

- საარჩევნო სუბიექტს/ კანდიდატს გააჩნია თუ არა მისი განხორციელების უნარები და რესურსები.

ავუხსნათ, რომ კრიტერიუმების რაოდენობაც ინდივიდუალურია ამომრჩევლებისთვის და ზოგისთვის ერთადერთი კრიტერიუმია საკმარისი, ზოგი კი გაცილებით მკაცრია, თუმცა ეს მათი უფლებაა.

კითხეთ მონაწილეებს, რამდენად გაუადვილდებოდათ არჩევანის გაკეთება, შესაძლებელი რომ იყოს პროგრამის გაზომვა და შესაბამისი ნიშნის/ქულის დაწერა/ მინიჭება. უთხარით, რომ არსებობს შესაბამისი ტექნიკა, რომელიც დაეხმარებათ ნებისმიერი არჩევანის გაკეთებისას და არა მხოლოდ არჩევნების დროს. (მაგ: ტანსაცმლის ან სხვა ყიდვისას, დასვენების ადგილის არჩევისას და სხვ).

ავუხსნათ მონაწილეებს, რომ ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმი შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი სხვებთან შედარებით და რომ თითოეულ კრიტერიუმს აქვს თავისი წონა, ანუ მნიშვნელობა. ეს ძალიან ინდივიდუალურია და შეიძლება ძალიან ახლობელი ადამიანების აზრიც კი არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. ყველას შეუძლია ინდივიდუალურად გაზომოს, დაითვალოს, რამდენ ქულას აიღებს პროგრამა პირადად მისთვის და ამის მიხედვით უკვე ადვილია საბოლოო არჩევანის გაკეთება.

ნიმუშისთვის მათთან ერთად დაფაზე შეავსეთ ცხრილი, 1-ის მსგავსი ცხრილი:

მეორე სვეტში ჩამოწერეთ კრიტერიუმები, რომლებსაც თქვენ მნიშვნელოვნად თვლით პროგრამისთვის;

- მესამე სვეტში დაწერეთ 1-დან 5 ქულამდე იმის მიხედვით, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს კრიტერიუმი. 0 - მინიმალურად, 5 მაქსიმალურად;
- მეოთხე სვეტში დაფიქრდით და დაწერეთ 0-დან 5 ქულამდე იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს პროგრამა ამ კონკრეტულ კრიტერიუმს. 0 - საერთოდ ვერ აკმაყოფილებს, 5 - აკმაყოფილებს მაქსიმალურად;
- მეხუთე სვეტში გადაამრავლეთ ქულები ერთმანეთზე

ცხრილი1

წინასაარჩევნო პროგრამების შეფასება (ქულებში)

№	კრიტერიუმი	კრიტერიუმის წონა/მნიშვნელობა	პროგრამის კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის	საბოლოო ქულა

			დონე	
1	ითვალისწინებს ჩემი და ჩემი ახლობლების ინტერესებთან თანხვედრას	5	3	15
2	რეალისტურობა და მიღწევადობა	4	3	12
3	.....	2	5	10
4	.....	3	4	12
	ჯამი			49

მაგ: თუ ვთვლით, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამა ითვალისწინებდეს ჩემი და ჩემი ახლობლების ინტერესებს, ამ კრიტერიუმს ექნება მაქსიმალური წონა ანუ 5 და თუ ეს პროგრამა ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მივანიჭოთ საშუალო ქულა -3.

დაურიგეთ მონაწილეებს ინდივიდუალურად განსხვავებული პროგრამების თითო ადაპტირებული ვარიანტი. შესაძლოა გამოიყენოთ საარჩევნო პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი, რაც ეხება ახალგაზრდობის საკითხებს. გამოდგება ძველი საარჩევნო პროგრამებიც, რომლებშიც არ იქნება მითითებული, ვისი პროგრამაა. პროგრამები დანომრეთ პირობითად სიმბოლოებით ან ფერებით. თხოვეთ მონაწილეებს, ინდივიდუალურად შეაფასონ პროგრამები მათთვის სასურველი მხოლოდ 2 კრიტერიუმით და გაარკვიონ, რამდენი ქულა დააგროვა პროგრამამ. შეუძლიათ ისარგებლონ დაფაზე გამზადებული შეფასების ნიმუშითაც.

თუ ჯგუფის წევრებს აქვთ შესაბამისი მათემატიკური უნარები, სასურველია, დაითვალონ მაქსიმალური შესაძლო ქულიდან რამდენი ქულა დააგროვა პროგრამამ. ამისთვის კრიტერიუმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს კრიტერიუმების მაქსიმალურ წონაზე და გამრავლდეს კრიტერიუმების დაკმაყოფილების მაქსიმალურ ქულაზე. ჩვენს მაგალითში ეს იქნებოდა:

4 კრიტერიუმი * 5 *5 =100 ქულა ანუ მაქსიმალური 100 შესაძლო ქულიდან პროგრამამ დააგროვა 49 ქულა.

მხოლოდ 2 კრიტერიუმის შემთხვევაში იქნებოდა 2*5*5=50 ქულა და ა.შ.

მიეცით მათ ამისთვის 10 წთ და შემდეგ თითოეული პროგრამისთვის დაფაზე დაწერეთ ყველა ქულა, რითაც ის ინდივიდუალურად შეაფასეს მონაწილეებმა. მაგ: პროგრამამ მიიღო: 13, 25, 19 და 23 ქულები. აღმოჩნდება, რომ ეს ქულები სულაც არაა ერთი და იგივე. ასაუბრეთ მონაწილეები, რატომ მიიღეს ასეთი განსხვავებული შედეგები? რა შეკითხვას დაუსვამდნენ შესაბამის კანდიდატს?

აუხსენით მონაწილეებს, რომ მსგავსი მეთოდით შეუძლია განიხილონ სხვა პროგრამებიც რეალური არჩევნების დროს და გააკეთონ შეგნებული და არგუმენტირებული არჩევანი.

III ეტაპი. რეფლექსია

მეცადინეობის ბოლოს მონაწილეებს კითხეთ:

- რატომ არის მნიშვნელოვანი კანდიდატების პროგრამების გაანალიზება?
- ვის მოუტანს ეს სარგებელს?
- რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს ამას საზოგადოებისთვის? კანდიდატებისთვის? თქვენთვის?
- როგორ და სად შეიძლება გამოგადგეთ ის ცოდნა და უნარები, რაც შეიძინეთ ამ მეცადინეობაზე?

შეახსენეთ მონაწილეებს მეცადინეობის მიზნები და თხოვეთ შეაჯამონ, რა ახალი ცოდნა და უნარები მიიღეს.

წყარო

1. „საინტერესო სოციალური ექსპერიმენტი. ბრბოს ფსიქოლოგია“ Youtube : [ვებგვერდი]. URL: https://www.youtube.com/watch?v=eSR4Rdu02w8(თარიღი: 10.10.2017).
2. https://www.youtube.com/watch?v=OGYPN_GJuT0&feature=youtu.be (дата обращения: 10.10.2017). „სოციალური ექსპერიმენტი, რომელიც აჩვენებს, როგორ იქცევა ხალხი ბრბოდ“ Youtube : [ვებგვერდი]. URL: https://www.youtube.com/watch?v=OGYPN_GJuT0&feature=youtu.be(თარიღი: 10.10.2017).
3. ტესტი: „თათრი და შავი პირამიდა“: ბავშვები+უფროსები - ცნობიერებით მანიპულირება: Youtube : URL: https://www.youtube.com/watch?v=g2K4rOfdHqc (თარიღი: 10.10.2017).
4. „ბრბოს ეფექტი. ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი „ნუთუ შენ ცხვარი ხარ?“ Youtube :[ვებგვერდი]. URL: https://www.youtube.com/watch?v=TRg3GlXghrM (თარიღი: 10.10.2017).

მეცადინეობა 6. საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობა „არჩევნები U 18”: ტრენინგი

მეცადინეობის მიზნები:

1) მოსწავლეებისთვის ქვეყნის საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისად განსხვავებული დონის არჩევნებზე საუბნო-საარჩევნო კომისიის შემადგენლობის, უფლებამოსილების და სამუშაო წესების გაცნობა;
2) ახალგაზრდებისთვის „არჩევნები U 18”-ის გამოცდილების მიხედვით საუბნო-საარჩევნო კომისიის სამუშაო წესების გაცნობა;
3) „არჩევნები U 18”-ის გამოცდილების მიხედვით საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრების მოქმედების პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
4) ბავშვებში გუნდური მუშაობის უნარების განვითარება.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- ფლიპჩარტი;
- მარკერები;
- წებოვანი ლენტი
- საარჩევნო კომისიის წევრის ფიცის ტექსტი (იხ. დანართი 1);
- ამომრჩეველთა სიის სარეგისტრაციო ფორმა (იხ. დანართი 2);
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობა (იხ. დანართი 3);
- საარჩევნო ბიულეტენის ნიმუში (იხ. დანართი 5).

საჭირო დრო: 80 წუთი

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/ტრენერს

1. მოსწავლეების ასარჩევად საუბნო-საარჩევნო კომისიაში (სსკ) მუშაობისთვის შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმე ვარიანტი.

   I ვარიანტი. მოვიწვიოთ მოსწავლეთა თვითმმართველობის ლიდერები ამ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად.

   II ვარიანტი. გავაცნოთ თამაში, რომელიც არის რეალური კანდიდატების არჩევნების პროცესების სრული იმიტაცია (მერად, პარლამენტში, ადგილობრივ თვითმმართველობაში და ა.შ.), ყველა კლასში ცალ-ცალკე და მსურველები მოვიწვიოთ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად, რომ შემდეგ იმუშაონ სსკ წევრებად.

.IIIვარიანტი. ჩატარდეს სკოლის მოსწავლეთა საერთო შეკრება, გააცნოთ თამაში და მოიწვიოთ მსურველები ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად, რომ შემდეგ იმუშაონ სსკ წევრებად.

თქვენ უკეთ იცნობთ თქვენს გუნდს. ამიტომ აირჩიეთ თქვენთვის უფრო ეფექტური ვარიანტი. მთავარი პირობაა - ბავშვების მონაწილეობა სსკ მუშაობაში უნდა იყოს სრულად ნებაყოფლობითი.

2. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა თვითონ გაინაწილონ სსკ-ს წევრების მოვალეობები და განსაზღვრონ მათი შესრულების ვადები. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ პერიოდში ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ საუკეთესო სააგიტაციო პლაკატების ან ხმის მისაცემი ურნის შექმნის კონკურსებში. ეს შეიძლება მიანდოთ სსკ-ს მდივანს. გამარჯვებულებს აუცილებლად უნდა გადაცეთ პრიზები.
3. ტრენინგის დაწყებამდე აუცილებლად შეუსაბამეთ ის ქვეყნის კანონმდებლობას სსკ-ს მუშაობის შესახებ.
4. თუ ქვეყნის საარჩევნო საკანონმდებლო დოკუმენტებში არ არის გაწერილი სსკ-ის წევრების ფიცის მიღება, მაშინ ის მიიღეთ დანართი 1-ში მოცემული ნიმუშის მიხედვით.
5. „არჩევნები U 18-ის“ შედეგები უკრაინაში 2015 წელს, საქართველოსა და რუსეთში 2016 წელს გამოცხადდა ოფიციალური არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, რათა თავიდან აგვეცილებინა პოლიტიკოსების ბრალდება, რომ ბავშვების აზრი გამოვიყენეთ უფროსი ამომრჩევლების მანიპულაციისათვის. გერმანიაში „არჩევნები U 18-ის“ შედეგებს აცხადებენ ოფიციალური არჩევნების შედეგებამდე. ყველა ქვეყანაში გადაწყვეტილება ეროვნულ კონტექსტზეა დამოკიდებული.

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. მოსწავლეებისთვის სსკ-ს მუშაობის წესების გაცნობა და სკოლის სსკ-ის ფორმირება (20 წუთი)

I ვარიანტი. დაურიგეთ მოსწავლეებს სსკ მუშაობის ორგანიზების ინსტრუქცია, რომელიც შედგენილი და დამტკიცებილია ქვეყნის საკანონმდებლო დოკუმენტებთან შესაბამისობაში (მაგ. უკრაინისთვის იხ. [2]).

- კომისიის თავმჯდომარე/კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- მდივანი;
- კომისიის წევრები;
- დამკვირვებლები.

დაურიგეთ მოსწავლეებს ფლიპჩარტის ფურცლები, მარკერები და თითოეულ ჯგუფს თხოვეთ, დაწერონ საკუთარი მოვალეობები. ფურცლები გამოიფინება კედელზე გვერდიგვერდ და ყველა ჯგუფი სათითაოდ წარუდგენს სხვებს საკუთარ მოვალეობებს. შესთავაზეთ ბავშვებს, განსაზღვრონ, რა როლი უნდათ რომ ჰქონდეთ სსკ-ში და ხმის მიცემით ჩამოაყალიბეთ კომისია. კომისიაში უნდა შედიოდეს არანაკლებ 5 ადამიანისა.

II ვარიანტი. თვითონ მიაწოდეთ ბავშვებს ინფორმაცია საარჩევნო კომისიის ყველა წევრის უფლებამოსილების შესახებ. ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ სურვილებს საკუთარი როლების შესახებ და კენჭისყრით აირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

II ეტაპი. სსკ-ს მუშაობის დეტალური და თანმიმდევრული ინსტრუქციის შემუშავება

ინსტრუქცია საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლეებს ესმოდეთ, თუ რა, როგორი თანმიმდევრობით და რა ვადებში უნდა გააკეთონ სსკ-ს წევრებმა.

დაყავით ბავშვები 3 ჯგუფად.

პირველი ჯგუფი ადგენს ინსტრუქციას, რომელიც მოიცავს საქმიანობების სიას, რაც სსკ-ს წევრებმა უნდა განახორციელონ არჩევნების დღემდე.

- წესდების მიღება (იხ. დანართი 1);
- სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის და პოტენციური მონაწილეების (მოსწავლეები, სტუდენტები, ბავშვთა შემოქმედებითი სახლების და წრეების წევრები და ა.შ.) ინფორმირება „არჩევნები U 18-ის“ ჩატარების თარიღის შესახებ, არა უგვიანეს, არჩევნებამდე 5 დღისა;
- სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან „არჩევნები U 18-ის“ ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის (სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით საკითხებში) განსაზღვრა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად (სკოლის ბრძანება, წერილი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს, ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს განკარგულება და ა.შ.)
- ადმინისტრაციასთან სამუშაო ადგილის (აუდიტორიების) შეთანხმება, სადაც სსკ-ს წევრები იმუშავებენ „არჩევნები U 18-ის“ ჩატარებამდე 5 დღის განმავლობაში;
- ადმინისტრაციათან არჩევნების ჩატარების ადგილის შეთანხმება (სპორტდარბაზი, ჰოლი და ა.შ.);
- ყველა მსურველისთვის საინფორმაციო ფლაერების, სააგიტაციო ბუკლეტების, კანდიდატების პოლიტიკური პროგრამების გადაცემა, სააგიტაციო პლაკატების გამოკვრა;
- კავშირის დამყარება ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან (ცსკ), რომელიც ჩამოაყალიბეს ქვეყანაში პროექტ „არჩევნები U 18-ის“ ორგანიზატორებმა;

- ცსკ-სგან საარჩევნო ბიულეტენების მიღება (იხ. დანართი 5) და საკუთარი უბნის მომარაგება მათი საჭირო რაოდენობით, ქსეროქსის ან პრინტერის გამოყენებით;
- ინსტრუქციის გავლა ბიულეტენის მოსახევი ნაწილის შევსების შესახებ (ინსტრუქტაჟს ატარებს ტრენერი);
- ხმის მისაცემი კაბინების და ურნების შემოწმება; თუ ისინი არაა, მაშინ გავაკეთოთ ჩვენ თვითონ;
- ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიის ფორმის მომზადება (იხ. დანართი 2);
- სსკ-ს წევრობის მოწმობის მომზადება (იხ. დანართი 3);
- ხმის მისაცემი ურნების გახსნის და ხმის დათვლის ინსტრუქტაჟის გავლა (ინსტრუქციას ატარებს ტრენერი);
- ეგზიტპოლის მუშაობის ორგანიზება.

მეორე ჯგუფი ამზადებს ინსტრუქციას არჩევნების დღეს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ:

- სსკ-ს მუშაობის დაწყებისა და დასრულების დროის შეთანხმება;
- საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცედურების ორგანიზება (სსკ-ს წევრების მიერ ამომრჩეველთა სიის სარეგისტრაციო ფორმის შევსება, ამომრჩეველთან ერთად ბიულეტენის მოსახევი ნაწილის გაფორმება, ამომრჩევლისთვის ბიულეტენის გადაცემა კანდიდატების სიასთან ერთად, დაკვირვება, რომ ამომრჩეველმა კაბინაში დამოუკიდებლად მისცეს ხმა და ჩაუშვას ბიულეტენი ხმის მისაცემ ურნაში);
- დამკვირვებლების მუშაობის ორგანიზება;
- ეგზიტპოლის მუშაობის ორგანიზება;
- დარღვევების დაფიქსირება ცალკე ოქმში;

მესამე ჯგუფი ამზადებს ინსტრუქციას საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგი სამუშაოების შესახებ. ეს სამუშაოები მოიცავს:

- ბიულეტენების და ხმების დათვლის ორგანიზება მხოლოდ სსკ-სა და ოფიციალური დამკვირვებლების თანდასწრებით;
- გაუქმებული საარჩევნო ბიულეტენების ცალკე დათვლა;
- ოქმის შედგენა (იხ. დანართი 4);
- ოქმის გადაცემა ცსკ-სთვის.

III ეტაპი. ტრენინგის მონაწილეების რეფლექსია (30 წუთი).

ბავშვები სხდებიან წრეზე ისე, რომ ხედავდნენ ერთმანეთს. შეიძლება „მიკროფონის“ გადაცემის პრონციპის გამოყენება, რომ თითოეულმა გამოთქვას აზრი. დაუსვით ტრენინგის მონაწილეებს რამდენიმე შეკითხვა:

- რამდენად ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ სსკ-ს მუშაობის შესახებ?
- როგორ ფიქრობთ, რა უფრო რთული იქნება - არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება თუ თვითონ არჩევნების დღე? რატომ?

წყარო

1. მეთოდური რეკომენდაცია უკრაინულ ენაზე Методичні рекомендації // M18 : [ვებგვრდი]. URL: https://m18.org.ua/metodichni-materiali/proekt-vibori-dlya-ditej-i-molodi-2015/metodichni-rekomendatsiji.html (თარიღი: 10.10.2017).
2. Порядок організації роботи та ведення діловодства у виборчих комісіях з місцевих виборів :Додаток допостанови Центральної виборчої комісіївід 5 вересня 2015 року № 228.URL: http://vyborkom.org/kb/article.php?id=363 (თარიღი:10.10.2017).
3. U18 : [ვებგვრდი]. URL: http://www.u18.org/willkommen/ (თარიღი:10.10.2017).

დანართი

დანართი 1

ფიცი
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის*

_____

(სასწავლო დაწესებულების დასახელება)

პროექტ „U18“ ფარგლებში

მე_____,

(სახელი და გვარი

ვიღებ საკუთარ თავზე საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილებას პროექტ „U 18“ ფარგლებში და ვაცნობიერებ დიდ პასუხისმგებლობას საკუთარი ხალხის წინაშე, ვფიცავ, მხარი დავუჭირო ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონებს, პატიოსნად და მონდომებით შევასრულო საკუთარი მოვალეობები, დავეყრდნო უფლებებისა და კანონიერების უზენაესობის პრინციპიდან, ობიექტურობას და პრინციპულობას, უზრუნველვყო ყვეყნის მოქალაქეების საარჩევნო უფლების დაცვა და რეალიზება.

ხმის მიცემის თავისებურებიდან გამომდინარე _____ 20__ წლის პროექტ „U 18“ ფარგლებში ვიღებ ვალდებულებას არ გავამჟღავნო ამ არჩევნების შედეგები, არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე _____ 20__ წელი.

თარიღი _____ ხელმოწერა_____

* დაწერილია მოსწავლეების მიერ

დანართი 2

ამომრჩეველთა სიის სარეგისტრაციო ფორმის ბლანკი

№	სახელი და გვარი	ქალაქი/სოფელი	სასწავლო დაწესებულება	ხელმოწერა

დანართი 3

საარჩევნო კომისიის მოწმობის ნიმუში (ფოტოს გარეშე)

არჩევნები _____ პროექტ „U 18“ ფარგლებში

მოწმობა №__

_____

(სახელი და გვარი)

_____

(კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, წევრი)

საუბნო საარჩევნო კომისიის _____

პროექტ „U 18“ ფარგლებში

_____

(სასწავლო დაწესებულების დასახელება)

მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე

«___»_____2015г. _____ _____

ხელმოწერა სახელი და გვარი

მოქმედია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად

დანართი 4

ოქმი

არჩევნებში ხმის მიცემის შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია

_____

საარჩევნო ოლქი **_____**

(ქალაქი, მუნიციპალიტეტი)

საარჩევნო უბანი _____

(სკოლის დასახელება)

ხმების დათვლის შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა, ვინც მიიღო საარჩევნო ბიულეტენი _____.
2. ამომრჩეველთა რაოდენობა, ვინც ხმა მისცა_____(დგინდება საარჩევნო ურნებში მოთავსებული ბიულეტენების დათვლის გზით).
3. გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა_____.
4.

№	კანდიდატის სახელი და გვარი	ხმების რაოდენობა, რომელიც მიიღო კანდიდატმა

კომისიის თავმჯდომარე_____ _____

(ხელმოწერა) (სახელი და გვარი)

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე _____

კომისიის მდივანი _____

კომისიის წევრები _____

«___»_____ _____

(ოქმის შედგენის თარიღი)

დანართი 5

საარჩევნო ბიულეტენის ნიმუში

მორიგი არჩევნები _____

(არჩევნების სახეობა, დასახელება, ჩატარების თარიღი)

საკონტროლო ტალონი

საარჩევნო უბანი№_____

(დაწესებულების დასახელება)

ნომერი, რომლითაც ამომრჩეველი შეტანილია უბნის ამომრჩეველთა სიაში	ამომრჩევლის ხელმოწერა, რომელიც იღებს ბიულეტენს	სსკ-ის წევრის სახელი და გვარი, რომელიც გასცემს ბიულეტენს ამომრჩეველზე	სსკ-ის წევრის ხელმოწერა, რომელიც გასცემს ბიულეტენს ამომრჩეველზე

- - - -

მეცადინეობა 7. ბავშვებისა და ახალგაზრდების არჩევნების „U 18“ ჩატარება

მეცადინეობის მიზნები:

1) მასწავლებლებსა და მოსწავლეებში დემოკრატიული მოქალაქეობის კომპეტენციების განვითარება იმიტაციურ თამშში „არჩევნებიU 18“ მონაწილეობის გზით;
2) უფროსკლასელებში კრიტიკული აზროვნების განვითარება, ცნობიერებით მანიპულირების გამოვლენისა და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარის ფორმირება მოქალაქეობრივი გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებისა და საზოგადოებაში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის პასუხისმგებლობით დაკავების მზაობის ფორმირება;
3) „U 18“ ახალგაზრდებში ადგილობრივი თემის საქმეებით დაინტერესების, პოლიტიკასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების დამოუკიდებლად პოვნის, საზოგადოებრივ გარემოზე აქტიური ზემოქმედების უნარების ფორმირება.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალები:

- აუდიტორია არჩევნების ჩასატარებლად;
- ხმის მიცემის ურნები და კაბინები;
- „U 18“ არჩევნების ჩატარების წესები;
- არჩევნების შედეგების შესაფასებელი დოკუმენტები (ამომრჩეველთა სარეგისტრაციო სიის ფორმა, საუბნო საარჩევნო კომისიის (სსკ) ოქმი) და ამომრჩევლის ბიულეტენი დანართებში 2,4 და 5 მეცადინეობაში „საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობა „არჩევნები U 18”: ტრენინგი“ ამავე სახელმძღვანელოში.

საჭირო დრო: მოსამზადებელი ეტაპი - 7 დღე, არჩავნები - 1 დღე, რეფლექსია - 2 საათი.

ზოგადი რეკომენდაცია ტრენერს/მოდერატორს:

1. ***პროექტის ისტორია.*** პროექტი არის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის «Under 18» [3] ანალოგი, რომელიც ხორციელდება გერმანიაში 1998 წლიდან და ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის (M18) ბავშვებისა და ახალგაზრდების მოზიდვას არჩევნებში, უფროსების ნამდვილი არჩევნების ჩატარების წინ საარჩევნო პროცესის იმიტაციის გზით.გერმანიაში, ასეთ

არჩევნებში, მონაწილეობა მიიღო თითქმის 200 000 ბავშვმა. უკრაინულ-გერმანული პროექტის ფარგლებში უკრაინაში ასეთი ფორმატის პირველი აპრობაცია ჩატარდა 2015 წლის 15 ოქტობმერს კიევში, ირპენესა და ზაპოროჟიეში, ამ ქალაქების მერების არჩევნებზე. ამგვარად, დამკვიდრდა უკრაინულ საგანმანათლებლო სივრცეში, ახალგაზრდებში აქტიური მოქალაქეობისა და დემოკრატიის განვითარებაში მათი ჩართულობის ახალი ფორმა. კერძოდ, კიევში მუშაობდა 17 საარჩევნო უბანი ბავშვებისა და ახალგაზედებისთვის, ხოლო ქალაქის მერის არჩევაში მონაწილეობა მიიღო 3500 ბავშვმა. საქართველოსა და რუსეთში ასეთი პროექტი განხორციელდა ადგილობრივი არჩევნების ჩატარების წინ 2016 წლის სექტემბერში [2]. პროექტი არის საგანმანათლებლო და პრინციპულად პოლიტიკურად ნეიტრალური. «არჩევნები U 18» ჩასატარებლად შეირჩა ***იმიტაციური თამაშის ფორმა.*** „იმიტაციური თამაში“ - ეს არის დიდაქტიკური ფორმა,გათამაშება(იმიტაცია), რომელიც განკუთვნილია მნახველთათვის რაიმე პროცესის უკეთ აღსაქმელად. (მაგ, რესურსების გადასანაწილებლად გადაწყვეტილების მიღების პროცესის გათამაშება (იმიტაცია). იმიტაციური თამაშების ჩატარების მთავარ სასწავლო შედეგად ითვლება პროცესებში კულტურული (ნორმატიული) მონაწილეობისა და პროცესის ძირითადი პუნქტების ანალიზის უნარების შეძენა [1, 8]. იმიტაციური თამაშები, როგორც წესი, ისეა ორგანიზებული, რომ მონაწილეები თამშობდნენ სიამოვნებით. საჭიროა მონაწილეებს ავუხსნათ თვითონ პროცესი, ხოლო შემდეგ მოეწყოს მისი მიმდინარეობის, მოქმედების პირობების, პროცესის ორგანიზებაში მონაწილეების ჩართულობის და ა.შ. განხილვა.

2. ***მეთოდური იმიტაციური თამაშები ტარდება სამ ეტაპად:***
   - თამშის მომზადება (მონაწილეებს აცნობენ თამაშის ჩატარების მიზნებსა და წესებს);
   - თვითონ თამაშის ჩატერება (ჩვენს შემთხვევაში „არჩევნები U 18“ ჩატარება);
   - თამაშის განხილვა (მონაწილეთა რეფლექსია).
3. ***„არჩევნები U 18“ ტარდება ნამდვილ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე.*** ასეთი დროითი ჩარჩოები სპეციალურადაა არჩეული იმიტომ, რომ ბავშვები და ახალგაზრდები სწორედ ასეთ დროს იწყებენ პოლიტიკით დაინტერესებას და საარჩევნო პროცესების შეცნობას.
4. ***საარჩევნო უბანი შეიძლება განთავსდეს ყველგან, სადაც არიან ახალგაზრდები -*** სკოლაში, ახალგაზრდულ კლუბებში, ბავშვთა და ახალგაზრდულ ცენტრებში, ბიბლიოთეკებსა თუ ქუჩაში, მოედნებსა და პარკებში მობილური საარჩევნო უბნების სახით. პროექტის „U 18” მკაცრი პარტიულ-პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გამო პოლიტიკურ პარტიებსა და მათ ახალგაზრდულ

ორგანიზაციებს არ შეუძლიათ „U 18” საარჩევნო უბნების გახსნა მათსავე წარმომადგენლობებში.

5. ***რათა ახალგაზრდების მოსამზადებლად „არჩევნები U18“-ში გაცნობიერებული მონაწილეობისათვის საჭიროა სკოლებში ჩატარდეს მეცადინეობების სერია პოლიტოლოგიაში:*** „თანამედროვე პოლიტიკა“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „ვაანალიზებთ კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამებს“, „საარჩევნო უფლების პრინციპები“ (იხ. წინამდებარე სახელმძღვანელო).
6. თუ ფინანსები გვაძლევს საშუალებას, უნდა დაიბეჭდოს ***სააგიტაციო პლაკატები და საინფორმაციო ფლაერები*** პროექტის შესახებ. თუ ფინანსები არაა საკმარისი, ყველა მონაწილე სკოლაში გამოაცხადეთ საუკეთესო სააგიტაციო პლაკატის კონკურსი ბავშვებს შორის. პლაკატები გამოიფინება სკოლის საარჩევნო უბნის კედლებზე.
7. ***„არჩევნები U18“-ის შედეგების გამოცხადების თარიღი ქვეყნის ეროვნულ კონტექსტზეა დამოკიდებული.*** გერმანიაში „არჩევნები U18“-ის შედეგებს აცხადებენ ოფიციალური არჩევნების შედეგებზე ადრე. უკრაინაში (2015), საქართველოსა (2016) და რუსეთში (2016) „არჩევნები U18“-ის შედეგები გამოცხადდა ოფიციალური არჩევნების შედეგის გამოცხადების შემდეგ, რათა თავიდან აგვერიდებინა პოლიტიკოსების ბრალდება,რომ ბავშვების მოსაზრებას გავლენა არ მოეხდინა უფროს ამომრჩევლებზე.
8. „არჩევნები U 18“ არ არის წარმომადგენლობითი და ტარდება ნამდვილ არჩევნებთან შედარებით გამარტივებული პროცედურებით. „არჩევნები U 18“-ის მთავარი პრინციპია - ბავშვებისა და ახალგაზრდების ნებაყოფლობითი მონაწილეობა. არ შეიძლება მთელ კლასს დავავალოთ ხმის მისაცემად მისვლა. მით უმეტეს, რომ არჩევნები ტარდება არა სასწავლო დღეს. ამიტომაც **არ არის ამომრჩეველთა სავარაუდო სია**
9. ***ეგზიტპოლი*** - ეს არის მოქალაქეთა გამოკითხვის მსოფლიოს სოციოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებული პროცედურა, რომელიც ტარდება სოციოლოგიური სამსახურების მიერ ამომრჩევლების ხმის მიცემის შემდეგ საარჩევნო უბნიდან გამოსვლისას. იქედან გამომდინარე, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობას არ აქვს ტყუილის თქმის მიზეზი, ასეთი გამოკითხვის შედეგებს იყენებენ გამოქვეყნებული ხმის მიცემის შედეგების შესამოწმებლად (კორელაციისთვის). შესანიშნევი იქნება, თუ მოხერხდება მსგავსი საქმიანობის ჩატარება „არჩევნები U 18“ დროსაც.
10. ***პოლიტიკური კრეატივი.***„არჩევნები U 18“ დროს მოაწყეთ განსხვავებული მასტერ-კლასები, საუკეთესო პლაკატის კონკურსი, საქველმოქმედო აქცია. ჩართეთ ამაში მსურველი მშობლები, რომლებიც მოვიდნენ შვილებთან ერთად. ფოიეში ჩართეთ მუსიკა, გაუშვით სამოტივაციო რგოლი არჩევნების

მნიშვნელობის შესახებ. გაუკეთეთ ორგანიზება ახალგაზრდა ჟურნალისტების მუშაობას, რომლებიც აიღებენ პირველ ინტერვიუებს ამომრჩევლებისგან.

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. თამაშისთვის მზადება

1. გააცანით მონაწილეებს „არჩევნები U 18“ ჩატარების წესები (იხ. დანართი)
2. ჩაატარეთ ტრენინგი „საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობა „არჩევნები U 18“ დროს“
3. გაუკეთეთ ორგანიზება საარჩევნო უბნისა და საარჩევნო კომისიის მომზადებას „არჩევნები U 18“ წესების მიხედვით ჩასატარებლად.

IIეტაპი. იმიტაციური თამშის „არჩევნები U 18“ ჩატარება

„არჩევნები U 18“ ჩატარების დღის სცენარის გეგმა

თამაშის ეპიზოდები				**შენიშვნა**
№	**დასახელება**	**შინაარსი**	**ხანგრძლივობა**	
1	„არჩევნები U 18“ დღეს საარჩევნო კომისიის მუშაობის დაწყება	საუბნო- საარჩევნო კომისიის წევრები დებენ ფიცს. სსკ-ს თავმჯდომარე აჩვენებს სსკ-ს წევრებსა დამკვირვებლებს ცარიელ ხმის მიცემის ურნას (ილუქება) და ცარიელ ხმის მიცემის კაბინებს. სსკ-ს თავმჯდომარე „არჩევნები U 18“ აცხადებს უბანზე გახსნილად.	09.30–10.00	სსკ-ს წევრების ფიცის სავარაუდო ტექსტი იხ. დანართში 1 ამავე სახელმძღვანელოს მეცადინეობაში: „საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობა „არჩევნები U 18”: ტრენინგი“. საარჩევნო უბანი ეწყობა „არჩევნები U 18” წესების მიხედვით არჩევნების დაწყების წინ.

2	ხმის მიცემის პროცედურა	ყველა ამომრჩეველი დასაწყისში გადის რეგისტრაციას სსკ-ს წევრებთან და აწერს ხელს სარეგისტრაციო სიაში. სსკ-ს წევრები აძლევენ ამომრჩეველს ბიულეტენის ერთ ეგზემპლარს. ყველა ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად - შედის დახურულ კაბინაში და კანდიდატის სახელი და გვარის წინ აკეთებს მონიშვნას.(+,√) შევსებულ ბიულეტენს ამომრჩეველი აგდებს ხმის მიცემის დალუქულ ურნაში. ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.	10.00–14.00	Используйте п. 10 «Политический креатив» из общих рекомендаций модератору / тренеру გამოიყენეთ პუნქტი. 10 „პოლიტიკური კრეატივის“ ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/ტრენერს.
3	დამკვირვებლ-ების მუშაობა	დამკვირვებლები იმყოფებიან საარჩევნო უბანზე და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აკვირდებიან საარჩევნო პროცესების დაცვას.	09.30–18.00	დრო შეიძლება შემცირდეს, თუ ხმის მიცემის დასრულების შემდეგ ხმების დათვლის პროცედურა ჩატარდება სწრაფად.
4	ეგზიტპოლის მუშაობა	ამომრჩევლებს, რომლებმაც უკვე მიცეს ხმა, უბნიდან გამოსვლისას ხვდება ეგზიტპოლი ანონიმურობის დაცვით. ამომრჩეველს ეკითხებიან, თუ ვის მიცა ხმა. მონაცემები შეაქვთ ფორმაში. ეგზიტპოლის შედეგები, რომლებიც შეგროვდა	10.00–14.00	„არჩევნები U18“ შედეგების ოფიციალური გამოცხადება.

		საარჩევნო უბანზე, ხმის მიცემის დასრულების შემდეგ გადაეცემა ეგზიტპოლის კოორდინატორს.		
5	ხმის მიცემის პროცესის დახურვა	ხმის მიცემისთვის განკუვნილი დროის ამოწურვის შემდეგ სსკ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბიულეტენების მიღება და ხმის მიცემა შეუძლიათ მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც უკვე იმყოფებიან საარჩევნო უბანზე. უბნის კარი იკეტება. ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩევლები ტოვებენ უბანს. უბანზე რჩებიან მხოლოდ სსკ წევრები და დამკვირვებლები	14.00–14.20	სსკ წევრი, რომელიც დგას შესასვლელ კართან, ეუბნება დაგვიანებულებს, რომ ხმის მიცემის პროცესი დასრულებულია და ისინი უკვე ვეღარ შეძლებენ შესვლას და ხმის მიცემას.
6	ხელის მოწერა „არჩევნები U18“ შედეგების გარკვეულ დრომდე გაუთქმელობა .	ხმების დათვლის წინ სსკ წევრები და დამკვირვებლები ხელს აწერენ მოვალეობას „არჩევნები U 18“ შედეგების გაუთქმელობაზე, ვიდრე არ გამოცხადდება „უფროსების“ ნამდვილი არჩევნების ოფიციალური შედეგები	14.20–14.30	შეთანხმების ფორმა უნდა მომზადდეს წინასწარ. ფორმულირება მოცემულია სსკ წევრების ფიცის ტექსტში (იხ. დანართი 1 მეცადინეობა „საუბნო-საარჩევნო კომისიის მუშაობა „არჩევნები U 18”: ტრენინგი“ ამავე სახელმძღვანელო ში)

7	ხმების დათვლა	ხმის მიცემის ურნაზე ბეჭდის (ლუქის) მთლიანობის შემოწმების შემდეგ სსკ თავმჯდომარე ხსნის ურნას. ხმების დათვლა იწყება ხმის მიცემის პროცედურის დასრულებისთანავე და გრძელდება საბოლოო შედეგების დადგენამდე. ხმებს ითვლიან სსკ წევრები ღიად, დამკვირვებლების თანდასწრებით. ამომრჩევლების მიერ გაბათილებეული ბიულეტენები ითვლება და ჯამდება ცალკე.	14.30–15.30	
8	ოქმის შედგენა და ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის (ცსკ) გაგზავნა	სსკ თავმჯდომარე ღიად აცხადებს არჩევნების შედეგებს და შეაქვს ეს მონაცემები სსკ ორ შემაჯამებელ ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სსკ ყველა წევრი	15.30–16.00	ყველა სსკ არჩევნების შედეგები გადაეცემა ცსკ-ს „არჩევნები U 18” დღის 18.00-მდე.
9	საარჩევნო ბიულეტენები ს დაარქივება საარჩევნო უბანზე	ხმების დათვლის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენებს სსკ წევრები ალაგებენ ცალ-ცალკე შეკვრებად იმის მიხედვით, თუ რომელ კანდიდატს მისცეს ხმა. ცალკე შეკვრაში ეწყობა გაბათილებული ბიულეტენები. ყოველ შეკვრაზე, რომელშიც მოთავსებულია	16.00–17.00	ყუთები „არჩევნები U 18” საარჩევნო ბიულეტენებით ინახება სსკ-ში „არჩევნები U 18” შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე, ხოლო შემდეგ გადაეცემა ცსკ-ს.

		ბიულეტენები, ეწერება რაოდენობა და იმ კადიდატის სახელი, ან უკეთდება აღნიშვნა „გაუქმებული ბიულეტენები“. ეს შეკვრები იწყობა ყუთში ან ტომარაში და ილუქება.		

III ეტაპი. თამაშის განხილვა. რეფლექსია

იმიტაციური თამაშის ***განხილვა*** მიმდინარეობს ორ ეტაპად.

Iეტაპი- პროცესის მონაწილეების შთაბეჭდილებების განხილვა

- რა შთაბეჭდილებები გაქვთ თამაშის შემდეგ?
- რას იტყოდით მთლიანობაში ნანახის შესახებ?
- როგორ ფიქრობთ, თუ შეიძლებოდა თამაშის უკეთ წარმართვა? როგორ?
- რა შთაბეჭდილებები გაქვთ თამაშის ცალკეულ ეტაპებზე

II ეტაპი-პროცესის განხილვა:

- თამაშის რომელი მოქმედებები იყო ეფექტური და რომელი -არა? რატომ?
- რას გააკეთებდით, კიდევ რომ გეთამაშათ?

რეფლექსია შეიძლება შეიცავდეს შემდეგ კითხვებს:

- რა გაიგეთ ახალი თამაშის დროს?
- რა ისწავლეთ?
- რა გაწუხებთ ახლა?
- რისი ცოდნა დაგაკლდათ?
- ყოველდღიური ცხოვრების რა რეალობა გაჩვენათ ამ თამაშმა?

წყარო

1. *Кавтарадзе Д. Н.* Обучение. Игра : Введение в активные методы обучения. М. : Флинта, 1998. 280 с.*ქავთარაძე დ.ნ.* სწავლება. თამაში: შესავალი სწავლების აქტიურ მეთოდებში. გამ. ფლინტა, 1998. 280 გვ.
2. M18 : [сайт]. URL:https://m18.org.ua/ (дата обращения: 10.10.2017).M18 : [ვებგვერდი]. URL:https://m18.org.ua/(თარიღი: 10.10.2017).
3. U18 : [сайт]. URL:http://www.u18.org/willkommen/ (дата обращения: 10.10.2017).U18 : [ვებგვერდი]. URL:http://www.u18.org/willkommen/ (თარიღი: 10.10.2017).

დანართი

I.„არჩევნები U18“ - ეს არის საგანმანათლებლო პროექტი ახალგაზრდებისთვის, ვისაც ჯერ არ შესრულებია საარჩევნო ხმის უფლების 18 წელი. პროექტი იძლევა საშუალებას, გაერკვნენ დემოკრატიის ძირითადი მექანიზმის არსში - აირჩიო და იყო არჩეული იმიტაციური თამაშის გზით, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული ქვეყანაში რეალური არჩევნების ჩატარების პროცესთან.

II.„არჩევნები U 18“ ჩატარების პრინციპები

1. ფარული კენჭისყრით პირდაპირი და თანასწორი უფლება;
2. ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
3. ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოხატვა.

III.საარჩევნო უბნების და საარჩევნო კომისიების შექმნა

1. საარჩევნო უბნები იქმნება სასწავლო დაწესებულებების ბაზაზე, რომლებიც თანხმობას განაცხადებენ პროექტში ჩართვაზე. სასწავლო დაწესებულების ტერიტორიაზე საარჩევნო უბნის გასახსნელად საჭიროა ადმინისტრაციის თანხმობის მიღება.
2. საუბნო საარჩევნო კომისია (სსკ) იქმნება ყველა საარჩევნო უბანში. მასში შეიძლება შევიდეს ყველა მსურველი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი "„საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობა „არჩევნები U 18“. (იხ. ამავე სახელმძღვანელოში). კომისიაში უნდა შედიოდეს არანაკლებ 5 ადამიანისა (კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე, მდივანი, კომისიის წევრები, დამკვირვებლები).
3. სსკ წევრებმა ერთმანეთში უნდა გადაინაწილონ მოვალეობები და აირჩიონ კომისიის თავმჯდომარე.
4. „არჩევნები U 18“ მომზადებისა და ჩატარების დროს ხელმძღვანელია ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცსკ), რომელსაც ქმნიან პროექტის „არჩევნები U 18“ ორგანიზატორები.
5. ცსკ გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა სსკ-სთვის.

IV. U 18 ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა

ცსკ შემადგენლობაში შედის არანაკლებ სამი ადამიანისა. ცსკ უფლებამოსილება შემდეგია:

1. არჩევნების მომზადება და ჩატარება;
2. სსკ მუშაობის ხელმძღვანელობა;
3. სსკ-სთვის სამართლებრივი და მეთოდური დახმარების გაწევა;
4. არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამტკიცება. დოკუმენტების სრული პაკეტი მოიცავს:

- პარტიული პროგრამების ახალგაზრდული და მათთან დაკავშირებული საკითხების (სინოპსისი) ძირითადი დებულებების მიმოხილვა;
- ადგილობრივი არჩევნების დროს იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისი ბროშურები, რომელშიც ტარდება არჩევნები;
- „არჩევნები U18“ ჩატარების წესების მოცემული დოკუმენტი)
- არჩევნების შედეგების შესაფასებელი დოკუმენტი (ამომრჩეველთა სიის სარეგისტრაციო ფორმა, ოქმი);
- საარჩევნო ბიულეტენები რეალური კანდიდატების/პარტიების სიებით, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში (სიები უნდა მიიღოთ ნამდვილი ცსკ-სგან);

5. დანარჩენი საარჩევნო უბნებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციის სრული პაკეტის გადაცემა;
6. არჩევნების მიმდინარეობის წესების დაცვაზე კონტროლის განხორციელება (ურნების, კაბინების ქონა , დამკვირვებლების და ეგზიტპოლის მუშაობა);
7. ყველა სსკ-ს არჩევნების შემაჯამებელი ოქმის შეგროვება;
8. ხმების საერთო რაოდენობის დათვლა Excel ფორმატში და „არჩევნები U18“ საერთო შედეგების განსაზღვრა;
9. გადაწყვეტილებისა და საუბნო-საარჩევნო კომისიის მუშაობის საჩივრების (განხცხადების ფორმით) განხილვა.

V.საუბნო -საარჩევნო კომისიების მუშაობა

„არჩევნები U18“ მოსამზადებლად და ჩასატარებლად სსკ-ს აქვს შემდეგი უფლებამოსილება:

1. „არჩევნები U18“ ჩატარებამდე 5 დღის მანძილზე სსკ მუშაობის უზრულველყოფა;
2. ამომრჩევლების ინფორმირება „არჩევნები U18“ ჩატარების დღის, დროისა და ადგილის შესახებ;
3. არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის/პარტიის ყველა წინასაარჩევნო პროგრამის შეგროვება და ამ ინფორმაციის ამომრჩევლებისთვის მიწოდება;
4. საარჩევნო უბანზე წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის განთავსების წესების დაცვის გაკონტროლება;
5. პოლიტექნოლოგებთან, პოლიტიკოსებთან, საზოგადო მოღვაწეებთან შეხვედრების (დისკუსიები, დებატები) ორგანიზება;
6. გაკონტროლება, რომ სააგიტაციო პერიოდი დასრულდეს „არჩევნები U18“ ჩატარებამდე ერთი დღით ადრე. წინასაარჩევნო აგიტაცია არჩევნებისა და მის წინა დღეს იკრძალება.

7. კენჭისყრისთვის აღჭურვილობის მომზადების უზრუნველყოფა (კაბინები და მასში კალმები, ხმის მიცემის ურნები);
8. საარჩევნო ბიულეტენების საჭირო რაოდენობის უზრუნველყოფა;
9. საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცედურის უზრუნველყოფა;
10. საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ხმების დათვლა, შედეგების ოქმის შედგენა და ცსკ-სთვის მიწოდება;
11. შევსებული ბიულეტენების მთლიანობის შენარჩუნება და შემდგომ ცსკ-სთვის მიწოდება.

VI.„არჩევნები U 18“ დამკვირვებლის უფლებები

დამკვირვებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი მსურველი. მას აქვს უფლება:

- დარეგისტრირდეს დამკვირვებლად საარჩევნო უბანზე;
- იმყოფებოდეს საარჩევნო უბნის შენობაში ყველა პროცედურის დროს;
- დააკვირდეს ამომრჩევლებისთვის ბიულეტენების გადაცემას;
- დააკვირდეს ხმების დათვლას ისეთი დისტანციიდან, რომ ხედავდეს ბიულეტენში ამომრჩევლის გაკეთებულ მონიშვნას;
- დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- მიმართოს სსკ თავმჯდომარეს, ან მოადგილეს წინადადებებით, ან შენიშვნებით კენჭისყრის ორგანიზების საკითხებზე;
- გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის მოქმედება ან გადაწყვეტილება ცსკ-ში;
- განახორციელოს კენჭისყრის შენობაში ვიდეო და ფოტო გადაღებები, აცნობოს ამის შესახებ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და შეათანხმოს მასთან ადგილი, საიდანაც გადაიღებს

დამკვირვებელს არ აქვს უფლება:

- გასცეს ამომრჩევლებზე ბიულეტენები;
- ამომრჩევლის მაგივრად მოაწეროს ხელი ბიულეტენის მიღებაზე;
- ამომრჩევლის მაგივრად შეავსოს ბიულეტენი;
- მიიღოს მონაწილეობა ხმების დათვლაში;
- ხელი შეუშალოს საარჩევნო კომისიის მუშაობას;
- აწარმოოს წინასაარჩევნო აგიტაცია ამომრჩევლებთან.

VII. ეგზიტპოლის მუშაობა „არჩევნები U 18“ დროს

ეგზიტპოლი ასრულებს საინფორმაციო და საკონტროლო ფუნქციებს. ყოველ უბანზე, ეს შეიძლება იყოს სამ-კაციანი ჯგუფი, რომელიც დააფიქსირებს მონაცემებს. შემდეგ ეს

მონაცემები გადაეცემა ეგზიტპოლის კოორდინატორს. ეგზიტპოლის კოორდინატორი იმყოფება იმავე სასწავლო დაწესებულებაში, სადაც ცსკ. მას ირჩევენ პროექტ U 18 ორგანიზატორები. ეგზიტპოლის შედეგები ცხადდება მხოლოდ „არჩევნები U 18“ ოფიციალური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

VIII. აღჭურვილობა კენჭისყრის შენობაში

შენობაში, სადაც ტარდება კენჭისყრა, უნდა იყოს:

- ხმის მისაცემი კაბინები ან სპეციალურად მოწყობილი ადგილები, დამაგრებული კალმებითა და საკმარისი განათებით;
- ურნები საარჩევნო ბიულეტენებისთვის;
- მაგიდები და სკამები, რომლებთანაც სხედან საარჩევნო კომისიის წევრები;
- სკამები დამკვირვებლებისთვის;
- საინფორმაციო სტენდი, სადაც განთავსებულია კანდიდატების ფოტოები და მათ შესახებ ინფორმაცია, საარჩევნო ბიულეტენის შევსების ნიმუში რელური კანდიდატების სიის გარეშე.

IX. ხმის მიცემის ჩატარების წესები

1. ხმის მიცემა ტარდება დანიშნული არჩევნების დღეს, საუბნო -საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ დროს;
2. საარჩევნო უბნის გახსნის შემდეგ, ხმის მიცემის დაწყებამდე, სსკ წევრები დებენ ფიცს (თუ ეს პროცედურა გათვალისწინებულია ქვეყნის საკანონმდებლო დოკუმენტებით);
3. სსკ თავმჯდომარე აჩვენებს სსკ წევრებს და დამკვირვებლებს ცარიელ ურნებს, რომლებიც შემდეგ ილუქება;
4. სსკ თავმჯდომარე აჩვენებს სსკ წევრებს და დამკვირვებლებს ცარიელ ხმის მიცემის კაბინებს;
5. ყოველი ამომრჩეველი დასაწყისში გადის რეგისტრაციას სსკ წევრებთან და ხელს აწერს სარეგისტრაციო სიაში;
6. ამომრჩეველს აქვს უფლება ხმა მისცეს მხოლოდ ერთხელ;
7. სსკ წევრები აძლევენ ამომრჩეველს ბიულეტენის ერთ ეგზემპლარს; ყველა ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად - შედის დახურულ კაბინაში და კანდიდატის სახელი/გვარის გასწვრივ აკეთებს აღნიშვნას (+ ან √)
8. თუ ამომრჩეველი თვლის, რომ ბიულეტენის შევსებისას დაუშვა შეცდომა, ის მიმართავს სსკ წევრს, რომელმაც ბიულეტენი გასცა, თხოვნით გადასცეს მას ახალი ბიულეტენი გაფუჭებულის სანაცვლოდ. სსკ წევრი გასცემს ახალ ბიულეტენს, გაფუჭებულზე კი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას, რომ ბიულეტენი გაფუჭებულია და აწერს ხელს;

9. შევსებულ ბიულეტენს ამომრჩეველი აგდებს ხმის მიცემისთვის განკუთვნილ დალუქულ ურნაში;
10. დამკვირვებლები იმყოფებიან საარჩევნო უბანზე და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აკვირდებიან ყველა პროცედურის მიმდინარეობას;
11. უბნიდან გამოსვლისას ამომრჩეველს ხვდება ეგზიტპოლი.

X. ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების ოქმის შედგენა

1. ხმის მიცემისთვის გამოყოფილი დროის გასვლის შემდეგ სსკ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბიულეტენის მიღება და ხმის მიცემა შეუძლიათ მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც იმყოფებიან კენჭისყრის შენობაში. კენჭისყრის შენობის კარი იკეტება. ამომრჩევლები ხმის მიცემის შემდეგ ტოვებენ შენობას. შენობაში რჩებიან მხოლოდ სსკ წევრები და დამკვირვებლები;
2. ხმების დათვლის წინ სსკ წევრები და დამკვირვებლები ხელს აწერენ მოვალეობას „არჩევნები U18“ შედეგების გაუხმოვანების შესახებ, ნამდვილი „უფროსების“ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე;
3. ხმის მიცემის ურნებზე ლუქის მთლიანობის შემოწმების შემდეგ ისინი იხსნება;
4. ამომრჩევლების ხმის მიცემის დასრულებისთანავე იწყება ხმების დათვლა და გრძელდება ხმის მიცემის საბოლოო შედეგების დადგენამდე. ხმებს ითვლიან სსკ წევრები ღიად, დამკვირვებლების თანდასწრებით;
5. . გაუქმებული საარჩევნო ბიულეტენები ითვლება და ჯამდება ცალკე;
6. სსკ თავმჯდომარე ღიად აცხადებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს ეს შედეგები კენჭისყრის შედეგების სსკ ორ ოქმში, რომლებსაც ხელს აწერს სსკ ყველა წევრი;
7. ოქმების დასკანერებული ვარიანტები ეგზავნება ცსკ-ს ელფოსტით;
8. კენჭისყრის შედეგები ყველა სსკ-დან მიეწოდება ცსკ-ს „არჩევნები U 18” დღის 18 საათამდე;
9. ხმების დათვლის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენებს სსკ წევრები ალაგებენ ცალ-ცალკე შეკვრებად, იმის მიხედვით, თუ რომელ კანდიდატს მისცეს ხმა. ცალკე შეკვრაში ეწყობა გაბათილებული ბიულეტენები. ყოველ შეკვრაზე, რომელშიც მოთავსებულია ბიულეტენები, ეწერება რაოდენობა და იმ კადიდატის სახელი ან უკეთდება აღნიშვნა „გაუქმებული ბიულეტენები“. ეს შეკვრები იწყობა ყუთში ან ტომარაში, ილუქება და შეიძლება გაიხსნას მხოლოდ ცსკ გადაწყვეტილებით.

XI. „არჩევნები U 18” შედეგების განსაზღვრა

1. მონაცემების შედარების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავს ყველა საარჩევნო უბნიდან სსკ მიერ ელფოსტით გადაგზავნილი დასკანერებული ოქმები, შეჯამების გზით დგინდება „არჩევნები U 18” შედეგები;
2. მონაცემებს აჯამებენ მხოლოდ U 18 ცსკ წევრები;

3. დგება „არჩევნები U 18” შედეგების ოქმი, რომელიც შეიცავს მონაცემებს:

- საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობა;
- საუბნო- საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების რაოდენობა;
- საუბნო-საარჩევნო კომისიების ოქმების ყველა სტრიქონის ჯამი;
- თითოეული კანდიდატის შედეგების წილი (% -ში);

4. ცსკ აღიარებს „არჩევნები U 18” შედეგებს ბათილად, თუ კენჭისყრის ჩატარების ან შედეგების დადგენისას გამოვლენილი დარღვევები არ იძლევა შედეგების სისწორის განსაზღვრის შესაძლებლობას.

XII. „არჩევნები U 18” შედეგების გამოცხადება

1. „არჩევნები U 18” შედეგებს აცხადებს ცსკ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში - ქვეყანაში (ქალაქში) ოფიციალური არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღეს;
2. შედეგები იდება პროექტის ვებგვერდზე;
3. თითოეული საარჩევნო უბნის შედეგები ქვეყნდება ქვეყანაში ოფიციალური არჩევნების შედეგების გამოცხადებისა და „არჩევნები U 18” შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

ნაწილი II. ვზემოქმედებთ გადაწყვეტილების მიღებაზე და ვიცავთ საზოგადოების ინტერესებს

მეცადინეობა 1. „U18: მეტი შეგვიძლია!“ საბავშვო-ახალგაზრდული ფორუმის ჩატარება.

მეცადინეობის მიზნები:

1) სოფლის (ქალაქის) გამგეობების ბაზაზე საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნა 18 წელზე უმცროსი ახალგაზრდებისა და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების (დეპუტატები, საჯარო მოსამსახურეები) შეხვედრებისათვის ახალგაზრდულ პრობლემებზე მსჯელობისა და მათი გადაჭრის გზების მოსაძებნად;
2) ადგილობრივი ხელისუფლების დეცენტრალიზაციის ჩარჩოებში მუშაობის შესახებ ბავშვებისა და ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა, ქალაქის (სოფლის) პოლიტიკურ და კულტურულ-სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მოტივაციის ამაღლება;
3) ქალაქის (სოფლის) გამგეობის დეპუტატების, სხვა პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა სფეროს ექსპერტების ჩართვა დიალოგში ბავშვებთან და ახალგაზრდებთან;
4) ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობის საუკეთესო ფორმების გავრცელება მათი აქტიური სამოქალაქო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად;
5) ქალაქში (სოფელში) ბავშვებისა და ახალგაზრდების პროექტებისთვის მხარდაჭერისა და განვითარებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების შესაძლებლობების წარმოჩენა;
6) U 18 ქსელის გაძლიერება და გაფართოება

საჭირო რესურსი და დამხმარე მასალა:

- ფართი ან გამოყოფილი ადგილი, სადაც ჩატარდება ღონისძიება;
- ფორუმის პროგრამა;
- საინფორმაციო პლაკატები და/ან ფაილები;
- მულტიმედიური აპარატურა, მიკროფონები;
- საკვები მონაწილეებისთვის;
- ფორუმის ლოგოტიპიანი ბეიჯები;
- ბანერები;
- წამახალისებელი პრიზები მოხალისეებისთვის;
- ფლიპჩარტის/ფორმატის ფურცლები

. **საჭირო დრო:** მოსამზადებელი ეტაპი -3 თვიდან, ფორუმის ჩატარება - 1 დღე, რეფლექსია - 2 საათი.

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/ტრენერს

1. ***საბავშვო-ახალგაზრდული ფორუმი*** - ეს არის საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო პროექტი ბავშვებისა და ახლაგაზრდების მონაწილეობით, რომელიც მიმართულია მათი აქტიური სამოქალაქო პოზიციის ჩამოყალიბებაზე პოლიტიკოსებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგის, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ბავშვთა და ახლაგაზრდების პროექტების პრეზენტაციის მხარდაჭერის გზით.
2. ***ღონისძიების ფორმატი*** ტარდება ახალგაზრდული ფორუმის «Berliner Jugendforum» [2] მსგავსად, რომელიც ადრე ყოველწლიურად ტარდებოდა ბერლინის პარლამენტში, ახლა კი ტარდება ქლაქის ღია მოედნებზე. ყოველ წელს აირჩევა აქტუალური თემები ახალგაზრდებსა და ადგილობრივ პოლიტიკოსებს შორის განსახილველად, ბავშვები ეცნობიან სამუშაო განრიგს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ეწყობა გასართობი მოედნები და ახალგაზრდების კვება ღონისძიების დროს;
3. ***ფორუმის მონაწილეები:*** ბავშვები და ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, პედაგოგიური საზოგადოება, დეპუტატები, ხელისუფლების, ბიზნესის, მასმედიის წარმომადგენლები, მშობლები. ფორუმი ღია ღონისძიებაა, რომელში მონაწილეობაც შეუძლია ნებისმიერ მსურველს.
4. **.** ფორუმის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია ქალაქის (სოფლის) ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა და ნებართვა. **განსაკუთრებით ღირებულია ღონისძიებისთვის - მისი ლოკაცია და მასში ქალაქის (სოფლის)ხელმძღვანელის მონაწილეობა.**
5. ***მოსამზადებელი პერიოდი*** მსგავსი ღონისძიების ჩასატარებლად მზადება იწყება 3 თვით ადრე. გერმანიაში მას ამზადებენ 12 თვის განმავლობაში და გამოყოფილია ძირითადი დაფინანსება ქალაქის ბიუჯეტიდან. თქვენ ამოხვალთ თქვენი რეალობიდან და შესაძლებლობებიდან.
6. ***ტარდება „არჩევნები U 18“ შემდეგ;***
7. ***წამყვანების, ჟურნალისტების, მოხალისეების ფუნქციებს ასრულებენ ბავშვები;***
8. ფორუმის პროგრამის შედგენისას აუცილებელია ნათლად გაიწეროს ყველა ღინისძიების ჩატარების დრო და ადგილი, რადგან ***რამდენიმე ღონისძიება ტარდება ერთდროულად, მაგრამ სხვადასხვა სივრცეში.***

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. ორგანიზება და მომზადება

1. ჩამოაყალიბეთ თანამოაზრეების გუნდი, გადაინაწილეთ მოვალეობები და შეადგინეთ სამოქმედო გეგმა;
2. ფორუმის ჩასატარებლად მოძებნეთ შენობა ან სპეციალურად გამოყოფილი ადგილი ღია მოედანზე და მოელაპარაკეთ ადგილობრივ ხელისუფლებას. ამ ადგილს უნდა ქონდეს რამდენიმე მოედანი, ერთდროულად რამდენიმე ღონისძიების ჩასატარებლად, მაგ: ერთსა და იმავე დროს შეიძლება ტარდებოდეს მრგვალი მაგიდა, მასტერ-კლასები, შემოქმედებითი ჯგუფების გამოსვლები და ა.შ.
3. მოიფიქრეთ და დეტალურად დაგეგმეთ PR-კამპანია. დაბეჭდეთ ან თხოვეთ ბავშვებს, დახატონ პლაკატები ფორუმის შესახებ ინფორმაციით, ამობეჭდეთ პრინტერზე გასავრცელებელი საინფორმაციო ფლაერები. ჩართეთ ადგილობრივი ტელევიზიები, რადიო, ინტერნეტ-გამომცემლები;
4. გაუკეთეთ ორგანიზება ახალგაზრდა ჟურნალისტების მუშაობას, რათა მათ აიღონ ინტერვიუები ფორუმის მონაწილეებისგან, გადაიღონ ვიდეოსიუჟეტები;
5. ჩართეთ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, რომ უზრუნველყონ ფინანსური დახმარება (ქულერები სასმელი წყლით, ტკბილეული, წამახალისებელი პრიზები, ღონისძიების მოსამზადებელი ხარჯების ანაზღაურება, ახალგაზრდა არტისტების და მათი კოსტიუმების ტრანსპორტირება და ა.შ.). მიეცით მათ საკუთარი კომპანიების რეკლამირების შეასძლებლობა.
6. გამართეთ მოლაპარაკებები ახალგაზრდულ-შემოქმედებით ცენტრებთან, სახელოვნებო სტუდიებთან, ტელეშოუს „ვარსკვლავებთან“, ახალგაზრდა მომღერლებთან და ა.შ. სხვადასხვა მასტერ-კლასებისა და გასართობი ღონისძიებების ჩასატარებლად;
7. მოელაპარაკეთ პოლიტიკოსებს, ადგილობრივ დეპუტატებს. მოამზადეთ ისინი იმისთვის, რომ ფორუმზე ექნებათ ახალგაზრდებთან თანასწორი ურთიერთობის საშუალება დიალოგისა და დისკუსიის გზით;
8. ორგანიზება გაუკეთეთ ფორუმზე მოხალისეების მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ მოხალისეების წახალისებას (მაგ: შეძლბისდაგვარად დაურიგეთ მათ მაისურები, ფორუმის ლოგოტიპიანი კალმები, პენალები)
9. გამოიყენეთ პარტნიორი სკოლების ადმინისტრაციული რესურსი.

II ეტაპი. ფორუმის პროგრამის და შინაარსის შედგენა

ფორუმის პროგრამის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავს დიალოგს პოლიტიკოსებთან, დისკუსიებს ახალგაზრდებთან აქტუალურ თემებზე, U 18 შესაძლებლობების შესახებ, გასართობ პროგრამას.

1. დიალოგი პოლიტიკოსებთან შეიძლება შედგეს პლენარული დისკუსიის სახით. ამისათვის საჭიროა სიტყვა-გასაღების შერჩევა.

ვარიანტი 1: „არჩევნები U 18" შედეგების განხილვა. განიხილეთ „არჩევნები U 18" შედეგები, მათი მსგავსება და განსხვავება ნამდვილ „უფროსების" არჩევნებთან; რით ხელმძღვანელობდნენ ახალგაზრდები, როდესაც ირჩევდნენ ამა თუ იმ კანდიდატს/პარტიას; რას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ვინმეს ხმა მივცეთ. დისკუსიაში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ბავშვები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ *„არჩევნები U 18"-ში.*

ვარიანტი 2: „პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო პროგრამების მონიტორინგი". თუ არჩევნების შემდეგ გასულია გარკვეული დრო, ბავშვებს შეიძლება შევთავაზოთ პოლიტიკოსებთან ერთად პარტიების/კანდიდატების იმ წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი და განხილვა, რომლითაც მათ გაიმარჯვეს არჩევნებში. მაგ: ასეთი შეკითხვები:

- რა შესრულდა დანაპირებიდან? რა ვერ შესრულდა? რატომ?
- რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შესრულდეს დანაპირები?
- რატომ იძლეოდით ისეთ დაპირებას, რასი შესრულებაც შეუძლებელია?

შეაჯამეთ შედეგები - იყო თუ არა ბევრი პოპულისტური დაპირება წინასაარჩევნო პროგრამებში?

ვარიანტი 3: „ქალაქის (სოფლის) გამგეობების ადგილობრივი სადეპუტატო კომისიების მუშაობის გაცნობა“. აქ გამოიყენება ჯგუფური მუშაობის და არა პანელური დისკუსიის ფორმატი. კენჭისყრის მეთოდით დაყავით მონაწილეები 5 კაციან ჯგუფებად. თხოვეთ მათ, განსაზღვრონ ჯგუფში სამი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებსაც სისტემატურად აწყდებიან ქალაქის (სოფლის) მცხოვრებლები. თხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ ეს პრობლემები ხმამაღლა და დააფიქსირეთ ისინი ფორმატზე. დაურიგეთ ყოველ მინი ჯგუფს თითო პრობლემა და სთხოვეთ ადგილობრივი სადეპუტატო კომისიის წარმომადგენლებს, შეუერთდნენ ბავშვების მცირე ჯგუფებს. მათ ერთობლივად უნდა შეადგინონ ამ პრობლემის მოგვარების გეგმა. შემდეგ თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს. სხვა ჯგუფებმა უნდა გამოთქვან რეკომენდაციები მოგვარების გზების შესახებ. პრობლემის მოგვარების გზა დააფიქსირეთ ფორმატზე, რათა შემდეგ წერილობითი სახით გადაცეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, როგორც პოლიტიკოსების და ახალგაზრდების ერთობლივი ხედვა პრობლემის მოგვარებისა.

2. აქტუალურ თემებზე დისკუსია ახალგაზრდებს შორის. ირჩევენ 3-5 თემას არაფორმალურ გარემოში განსახილველად. ბავშვები ირჩევენ მათთვის საინტერესო თემას და ერთვებიან განხილვაში. ერთდროულად სხვადასხვა ოთახებში შეიძლება ეწყობოდეს რამდენიმე თემის განხილვა. წამყვანიც უნდა იყოს მოზარდი, რომელსაც აუდიტორიასთან აქვს შეკითხვები განხილვისთვის. შეიძლება განხილვის დაწყება ვიდეოსიუჟეტის გამოყენებითაც. თემები შეიძლება იყოს, მაგ:

- ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობა: U 18 - მართლა შეგვიძლია მეტი? (ბავშვთა ინიციატივებისა და პროექტების პრეზენტაცია და განხილვა);
- U18 - თაობა Z (როგორია „გაციფრებული“ თაობის სწავლა/სწავლება, ბევრს აძლევს სკოლა ან არაფორმალური განათლება?);
- ლტოლვილი და მიგრანტი ბავშვების პრობლემები (რისი გაკეთება შეუძლიათ თანატოლებს მათი ადაპტაციისთვის?)
- ბულინგი სკოლაში (რამდენად ხშირია და უნდა ჩავრთოთ მედიატორი თუ სკოლის შეცვლაა საჭირო?);
- ტაბუს გარეშე (თავისუფალი თემები სკოლაში დისკრიმინაციის, ბავშვთა სისასტიკის, ინტერნეტ-დამოკიდებულების, სექსუალური აღზრდის და ა.შ. შესახებ).

3. „U 18 შესაძლებლობების ბაზა“ ითვალისწინებს მოედანს, სადაც ეწყობა იმ ორგანიზაციების გამოფენა-პრეზენტაციები, რომლებიც ორიენტირებულია ბავშვებსა და ახალგაზრდებზე (საბავშვო ცენტრები, სტუდიები, ფონდები, გაცვლითი პროგრამები, საკონსულტაციო ცენტრები, უმაღლესი სასწავლებლები და ა.შ.). ეს შეიძლება იყვნენ პოტენციური მეცენატები და სპონსორები ახალგაზრდული პროექტების და სოციალური ინიციატივების მხარდაჭერისთვის, რომლებშიც შეუძლიათ შემოერთება ბავშვებსა და ახალგაზრდებს;

4. გასართობი პროგრამა მოიცავს განსხვავებულ მასტერ-კლასებს, ქვესტებს, ბავშვთა მხატვრულ-შემოქმედებითი ჯგუფების გამოსვლებს, ინდივიდუალურ გამოსვლებსა და პრეზენტაციებს, ფლეშმობებს, ახალგაზრდა ესტრადის ვარსკვლავების გამოსვლებს;

III ეტაპი. ფორუმის ჩატარების დღე

1. ფორუმის ოფიციალური გახსნა;
2. განსხვავებულ ლოკაციებზე სხვადასხვა ღონისძიებების ერთდროული მუშაობა. მსგავსი ღონისძიებების ჩატარების მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ბერლინის [2] და კიევის [1] ფორუმების ვებგვერდებზე;
3. ფორუმის ოფიციალური დახურვა.

IV ეტაპი, რეფლექსია

შემოთავაზებულია ბავშვებისა და ახალგაზრდების დისკუსიის გამართვა ფორუმის ორგანიზატორებთან:

- რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ფორუმმა?
- კმაყოფილი ხართ თუ არა ჩატარებული ფორუმის შედეგებით? კონკრეტულად რითი?
- რა პრობლემები აღმოცენდა?
- როგორ მოხერხდა ამ პრობლემის გადაჭრა (გუნდურად თუ ინდივიდუალურად)?
- დისკუსიისთვის შემოთავაზებული ყველა თემა იყო თუ არა საინტერესო და ხელმისაწვდომი?
- იყო თუ არა დისკუსიისთვის ყველა პირობა შექმნილი პოლიტიკოსებთან დიალოგის დროს?
- იძლეოდა თუ არა დისკუსია განსხვავებული შეხედულებების გამოხატვის საშუალებას?
- ქონდა თუ არა დისკუსიის ყველა მონაწილეს აზრის გამოთქმის თანაბარი შანსი?
- იყო თუ არა აქტიური დისკუსიის ყველა მონაწილე?
- ეხმარებოდა თუ არა დისკუსია იმ ადამიანებისადმი პატივისცემის გაზრდას, ვინც გამოთქვამდა განსხვავებულ შეხედულებებს?
- მოდით გადავწყვიტოთ, რა სახით ჯობია ფორუმის მუშაობის შედეგების გაფორმება და გასაჯაროვება.

წყარო

1. Київський дитячо-юнацький форум M18 «Менші 18 — ми можемо більше!» : 12 листопада 2017 р. // M18 : [ვებგვერდი].URL: https://m18.org.ua/forum-m18.html (თარიღი: 10.10.2017).

2. BerlinerJugendforum : [сайт]. URL: http://jugendforum.berlin/en/homepage/ (датаобращения: 10.10.2017). 2. BerlinerJugendforum : [ვებგვერდი].URL: http://jugendforum.berlin/en/homepage/ (თარიღი:10.10.2017).

მეცადინეობა 2. ადვოკატირება

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეებმა გააცნობიერონ, ადვოკატირების არსი და მნიშვნელობა საზოგადოებისთვის;
2) გაეცნონ ადვოკატირების სხვადასხვა ფორმებს;
3) . შეძლონ საჭიროების მიხედვით აირჩიონ ადვოკატირების ოპტიმალური ფორმა.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- დაფა, ფლიპჩარტი, მარკერები;
- ქეისები ჯგუფებში დასარიგებლად.

საჭირო დრო: 45 წუთი.

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/ტრენერს

1. ეს მეცადონეობა იქნება კარგი გაგრძელება თემისთვის „ხელისუფლების ფენქციები და მოვალეობები“;
2. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შეგიძლიათ გააცნოთ განცხადების ბლანკები/ფორმები.

ტერმინები

1) ***ადვოკატირება*** - საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემოსული შედარებით ახალი კონცეპტი, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა შეიძლება

გულისხმობდეს როგორც ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკის, პოზიციისა და პროგრამების ცვლილებას, ისე - იდეების შემუშავებას ამ ინტერესების დასაცავად, ან მათ შეთავაზებას საზოგადოებისათვის.ამას გარდა - საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ნიშნავს საზოგადოების მხრივ ხმის ამაღლებას, მნიშვნელოვანი საკითხებისათვის თვალყურის დევნას და გადაწყვეტილებების მიმღებთაგან შესაბამისად გადაჭრის მოთხოვნას. (Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი).

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. გამოწვევა (პროვოცირება)

მონაწილეებს ვაცნობთ სამუშაო თემას და მიზანს. ვთხოვთ, გონებრივი იერიშის მეთოდით გვიკარნახონ, რა მიაჩნიათ ადვოკატირების მაგალითებად. ყველა პასუხს ვაფიქსირებთ დაფაზე (ან ცალკე ფლიპჩარტზე). მას დავუბრუნდებით თემის შეჯამებისას. მოკლედ შევაჯამოთ საკითხი და გავაცნოთ მონაწილეებს ადვოკატირების განმარტება და მისი მნიშვნელობა. განმარტება დავაფიქსიროთ თვალსაჩინოდ დაფაზე ან გამოვიყენოთ წინასწარ ფურცელზე გამზადებული განმარტება.

II ეტაპი. ცოდნის კონსტრუირება

მონაწილეებს ვყოფთ მცირე (4-6 წევრიან) ჯგუფებად და ვურიგებთ ქეისებს. მათი მიზანია, მოიფიქრონ, როგორ შეიძლება ამ საკითხის მოგვარება საკუთარი ძალებით. (ეს შეკითხვები შეიძლება დაეხმაროთ დავალების შესრულებაში:

- რას მოიმოქმედებენ?
- მიმართავნენ თუ არა ვინმეს? ვის? რა ფორმით?)

შესაძლოა ჯგუფებს მივცეთ როგორც ერთი და იგივე, ისე განსხვავებული ქეისები.

ქეისი #1 თქვენი სკოლის მიმდებარე ცენტრალურ გზაზე არ არის შუქნიშანი. მოძრაობა კი უფრო და უფრო ინტენსიური ხდება და ეს დიდ საფრთხეს უქმნის ფეხით მოსიარულეებს. იყო რამდენიმე ავარიის შემთხვევაც.

ქეისი #2თქვენი სკოლის სპორტულ დარბაზში სტიქიამ დააზიანა სახურავი და ჩამოსულმა წყალმა გააფუჭა იატაკი. ამის გამო სპორტდარბაზის ნაწილი გამოუსადეგარია. სკოლას არ აქვს საშუალება, საკუთარი ძალებით შეაკეთოს დაზიანება.

ქეისი #3ადგილობრივი ხელისუფლება აპირებს, მომავალ წელს ბიუჯეტის სახსრებით შეაკეთოს ერთ-ერთი სკვერი. მოსახლეობის ნაწილი კი მიიჩნევთ, რომ უფრო მნიშვნელოვანია, ეს თანხა დაიხარჯოს გზის რეაბილიტაციაზე.

ქეისი #4თქვენს კორპუსში არ არის დამონტაჟებული პანდუსი. ეს პრობლემა გახდა მას შემდეგ, რაც თქვენს მეზობელს უბედური შემთხვევის შემდეგ უწევს ეტლით სარგებლობა. ხშირად ის ვერავის თხოვს დახმარებას და ვერ ახერხებს ბინიდან გამოსვლას.

სამუშაოდ ეძლევათ 15 წუთი და შემდეგ ვთხოვთ, წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები. მათ მიერ შემოთავაზებულ ვარიანტებს ვაფიქსირებთ დაფაზე. შემდეგ შევთავაზოთ ადვოკატირების განმარტება და მისი ფორმები. ადვოკატირების ფორმები იხ. დანართში) თითოეული ფორმა წინასწარ გავამზადოთ ბარეთებზე და განმარტებების პარალელურად გავაკრათ დაფაზე. თუ რომელიმე ფორმა უკვე შემოგვთავაზეს მონაწილეებმა და წერია დაფაზე, ბარათიც იქვე მოვათავსოთ.

ვთხოვოთ, იფიქრონ, რომელიმე სხვა ფორმა ხომ არ იქნებოდა უფრო მეტად ეფექტურიანი მათი პრობლემის მოსაგვარებლად.წავახალისოთ მონაწილეები, რომ დაფიქრდნენ და იმსჯელონ სხვა ფორმების გამოყენების შესაძლებლობებზეც. მოიყვანონ არგუმენტები, რატომ იქნება ადვოკატირების ესა თუ ის ფორმა ოპტიმალური კონკრეტულ შემთხვევაში.

III ეტაპი. რეფლექსია

შევთავაზოთ მონაწილეებს კონკრეტული მაგალითები და ვთხოვოთ, მცირე ჯგუფებში ამოარჩიონ, რომელი მათგანია ადვოკატირება და რომელი - არა. უმჯობესია, ეს მაგალითები წინასწარ მოვამზადოთ თვალსაჩინოდ დაწერილი და გავაკრათ დაფაზე. ჯგუფების პასუხებიც უმჯობესია დავაფიქსიროთ თვალსაჩინოდ, + - ან სხვა ნიშნების გამოყენებით. შემდეგ შევაჯამოთ შედეგები და ჩვენ თვითონ არგუმენტირებულად დავასაბუთოთ თითოეული პასუხი, რატომ არის ან არ არის ეს ადვოკატირება.

ქეისები

1. თქვენი ეზოს შესასვლელში უკვე რამდენიმე თვეა, დაზიანებული ასფალტის გამო დიდი ორმო გაჩნდა, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მანქანებს, ისე ფეხით მოსიარულეებს. რამდენიმე მეზობელმა გადაიღეთ ეს სიტუაცია ვიდეოთი და ყველამ დადეთ თქვენს გვერდზე სოციალურ ქსელში;
2. მოსახლეობა ითხოვთ, გაიზარდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამუშაო საათები. ამის შესახებ დაწერეთ წერილი, რომელსაც 100-მდე ადამიანმა მოაწერა ხელი და წერილი გაუგზავნეთ ადგილობრივ ხელისუფლებას. უკვე რამდენიმე კვირა გავიდა, მაგრამ პასუხი არ მიგიღიათ;

3. ახალი საბავშვო ბაღის წინ, სამანქანო გზაზე, არ იყო შესაბამისი საგზაო ნიშანი. აღსაზრდელების მშობლებმა ამის შესახებ ისაუბრეს ადგილობრივ სატელევიზიო გადაცემაში და სტუდიიდან მიმართეს დახმარებისთვის შესაბამის სტრუქტურებს. ორ კვირაში თხოვნა დაკმაყოფილდა და დაიდგა შესაბამისი ნიშანი.

ქეისების პასუხები/გასაღები:

1. ეს არ არის ადვოკატირება, რადგან არ მიუმართავთ კონკრეტულად პიროვნების ან სტრუქტურისთვის. ადვოკატირების შემთხვევა იქნებოდა, თუ კი დაითაგებოდა კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღები პირი ან სტრუქტურა, მაგ: მერიის სატრანსპორტო უსაფრთხოების სამსახური;
2. ეს არის ადვოკატირება, მიუხედავად იმისა, რომ სასურველი შედეგი არ მოყვა. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ ადვოკატირება არის პროცესი მიუხედავად შედეგისა;
3. ეს არის ადვოკატირება სასურველი შედეგით.

დააფიქრეთ მონაწილეები, რა შეიძლება გააკეთონ ადვოკაციის ფარგლებში. წაახალისეთ, გამოთქვან იდეები.

შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს შეახსენეთ მეცადინეობის მიზნები. თხოვეთ, შეაჯამონ თემა და გააკეთონ დასკვნები ადვოკატირების შესახებ. დასკვნები დააფიქსირეთ დაფაზე თვალსაჩინოდ და დაუკავშირეთ/შეადარეთ შეხვედრის მიზნებს.

დანართი

ადვოკატირების ხშირად გამოყენებული ფორმებია:

P პეტიცია

სწორად გამოყენებული პეტიციები შეიძლება მძლავრ იარაღად იქცეს; ყველაზე შედეგიანი ის პეტიციები და წერილებია, რომლებშიც ათასობით ადამიანი გამოხატავს თქვენი კამპანიის მხარდაჭერას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიდი ჯგუფი პეტიციას მედიის თანხლებით წარადგენს.

რამდენიმე რჩევა:

- სათქმელი მოკლედ და მარტივად ჩამოაყალიბეთ. რამდენიმე წინადადება და შემდეგ 2-3 პუნქტის ჩამონათვალი სრულიად საკმარისია;
- მთავარია, პეტიცია ადვილად აღსაქმელი გახადოთ;

- ერთ გვერდზე ნუ შეიტანთ ათი ხელმოწერის გრაფაზე მეტს. ეს თქვენს პეტიციას ვიზუალურად „გაასქელებს“ და თან შესაძლებელს გახდის, ყველა ხელმომწერის საკონტაქტო ინფორმაცია იყოს ადვილად გარჩევადი;
- ხაზი გაუსვით რაოდენობას და არა საკითხის შინაარსს. თქვენ ხელმომწერების რიცხვის გაზრდით ხართ დაინტერესებული. ნუ დაკარგავთ დროს საკითხში ერთი ადამიანის „განათლების“ მცდელობაზე;
- ხელმოწერების შეგროვებისას ჯგუფურად იარეთ. ასე საქმე უფრო სახალისოც იქნება.
- ორგანიზებული პეტიციის დღე უფრო ეფექტურია, ვიდრე ყველასთვის ხელმოწერების ინდივიდუალური შეგროვების მოთხოვნა მათ უბნებში;
- არასოდეს გადააგზავნოთ ან გადაცეთ პეტიციები ისე, რომ არ დაიტოვოთ ქსერო ასლები.

წერილების წერის კამპანია

წერილის დაწერა მეტ დროს და ენერგიას მოითხოვს კამპანიის მონაწილეებისაგან, ვიდრე პეტიციაზე ხელის მოწერა. თუ ოფიციალურ პირთან შეხვედრაზე მიდიხართ, მანამდე ორგანიზება გაუკეთეთ რამდენიმე ათეული წერილის დაწერას. წერილების ნახევარი შეხვედრამდე რამდენიმე კვირით ადრე ფოსტით გაგზავნეთ, დანარჩენი კი შეხვედრაზე თან წაიღეთ. ეს ყოველთვის შთამბეჭდავია ხოლმე.

რამდენიმე რჩევა:

- მიმართეთ უშუალოდ თქვენი კამპანიის მთავარ სამიზნეს - გადაწყვეტილების მიმღებს - და წერილი სწორი ტიტულით დაიწყეთ (ბ-ნო, ქ-ნო, პატივცემულოქალაქის მერო და ა.შ.);
- შეადგინეთ ლაკონური და ზრდილობიანი წერილის ტექსტი. ბევრი ეფექტური წერილი 4-5 წინადადებისგან შედგება. თუ შესაძლებელია, წერილის დასაწყისში ადრესატ დეპუტატს ან ოფიციალურ პირს მადლობა გადაუხადეთ ბოლოდროინდელი ქმედებების (გამოსვლის და სხვ) გამო;
- იყავით მაქსიმალურად კონკრეტული. განსაზღვრეთ ის საკითხი, რომლის შესახებაც მიმართავთ ადრესატს და ახსენით, რატომ გინდათ, რომ მან ამ ინიციატივას მხარი დაუჭიროს ან არ დაუჭიროს;
- თუ გადაწყვიტეთ და ხალხმრავალ ადგილას მოაწყეთ მაგიდა წერილების დასაწერად, თვალსაჩინოდ გამოაკარით წინასწარ მომზადებული პლაკატები და წერილის ტექსტი, რომელზეც გინდათ რომ მოაწერონ ხელი;
- წერილების წერის კამპანიის მსვლელობისას შეეცადეთ, არ დასხდეთ. კამპანიის ორგანიზატორები ენერგიით სავსე უნდა იყვნენ - მხოლოდ მაშინ შეძლებენ ისინი სხვა ადამიანებში დაინტერესების გამოწვევას.

ოფიციალურ პირთან შეხვედრა

ოფიციალურ პირებთან პირისპირ შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ტაქტიკაა.

თუ შესაძლებელია, შეხვედრაზე წაიღეთ წინასწარ მომზადებული წერილები და პეტიციები - ამით მხარდამჭერთა უფრო დიდ რაოდენობის დემონსტრირებას მოახდენთ.

რამდენიმე რჩევა ოფიციალურ პირებთან შეხვედრების ორგანიზებისთვის:

- შეხვედრის დროის დასანიშნად დაურეკეთ ოფიციალური პირის მდივანს. უთხარით, რა საკითხის (ან საკითხების) განხილვა გსურთ შეხვედრაზე და აუცილებლად ახსენეთ შეხვედრაზე მიმსვლელი ადამიანების რაოდენობა. თუ დიდ ჯგუფი მიდიხართ, შესაძლებელია, ოფიციალური პირის ოფისმა ვერ დაგიტიოთ და შეხვედრისთვის სპეციალური ოთახის გამოყოფა გახდეს საჭირო;
- გახსოვდეთ, რომ შეხვედრებზე მასობრივი წარმომადგენლობით გამოცხადება ნამდვილად არ არის აუცილებელი, მცირე ჯგუფით მისვლა სავსებით ნორმალურია;
- როდესაც ოფიციალურ პირთან შესახვედრად ჯგუფის შედგენას დაიწყებთ, შეეცადე, ის ერთი მხრივ მრავალფეროვანი წარმომადგენლობით და მეორე მხრივ ნაცნობი ადამიანებით დააბალანსოთ;
- გააანალიზეთ, რას შეუძლია ოფიციალურ პირზე გავლენის მოხდენა. მაგალითად, თუ მას გამოკვეთილი რელიგიური მრწამსი აქვს, შეეცადეთ, მისი რელიგიის წარმომადგენელი სასულირო პირი წაიყვანოთ. ამასთან, გახსოვდეთ, რომ შეხვედრაზე წარმოდგენილი ჯგუფი ერთსა და იმავე პროგრამას უნდა იზიარებდეს;
- ჯგუფში ნუ ჩართავთ ისეთ ადამიანებს, ვისაც არ იცნობთ;
- ჯგუფში გამოყავით ერთი ადამიანი, რომელიც თქვენს მოთხოვნებს წარადგენს და ჯგუფის კიდევ ერთ ან ორ წარმომადგენელს მისცემს სიტყვას;
- აუცილებელია, შეხვედრაზე კარგად მომზადებულები მიხვიდეთ. ამისათვის, კარგად უნდა ერკვეოდეთ საკითხში. წინასწარ მოამზადეთ ის რამდენიმე პუნქტი, რომლებიც მნიშვნელოვანია თქვენს მიერ განხილული საკითხისთვის;
- შესაძლებელია, თქვენ ერთბაშად რამდენიმე საკითხის დასმა შეგეძლოთ, მაგრამ თქვენი შეხვედრა ბევრად უფრო ეფექტიანი იქნება, თუ ერთ ან ორ ძირითად საკითხზე გააკეთებთ აქცენტს;
- შეხვედრის შემდეგ გააგრძელეთ ოფიციალურ პირთან კონტაქტი. თუ შეხვედრამ კარგად ჩაიარა, მას ბარათით ან ელფოსტით მადლობა გადაუხადეთ.
- თუ მან დამატებითი ინფორმაციის და მასალების მიწოდება გთხოვათ, გაუგზავნეთ მოკლე დროში;
- თუ ოფიციალური პირი კონკრეტული ქმედებების გატარებას დაგპირდათ, თვალი ადევნეთ, როგორ შეასრულებს ამას.

სატელეფონო კამპანია

ზოგ შემთხვავაში სიტუაცია გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს და წერილების წერისთვის ან ოფიციალურ პირებთან შეხვედრისთვის დრო არ რჩება. ასეთ დროს

სატელეფონო კამპანიის წარმართვაა შესაძლებელი. სატელეფონო კამპანია შესაძლებლობას მოგცემთ, პირადად და უშუალოდ გამოხატოთ თქვენი აზრი.

რამდენიმე რჩევა სატელეფონო კამპანიის ორგანიზებისთვის:

- დაუკავშირდით თქვენთვის საჭირო ოფიციალურ პირს ოფისში. წარადგინეთ საკუთარი თავი და თქვენი ორგანიზაცია (სკოლა, უნივერსიტეტი, საინიციატივო ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაცია და ა.შ.);
- მოითხოვეთ თქვენთვის საჭირო ოფიციალურ პირთან უშუალო საუბარი. თუ ეს არ ხერხდება, მაშინ შეიძლება მის მოადგილესთან სცადოთ დაკავშირება. თუ არც ეს გამოვა, დაუტოვეთ მდივანს თქვენი ტელეფონის ნომერი, სახელი, მისამართი და თხოვეთ, მათთან მოგვიანებით დაგაკავშიროთ;
- თუ თქვენი კამპანია ბევრი სატელეფონო ზარის ორგანიზებას გულისხმობს, მაშინ უმჯობესია, ეს ზარები არა უშუალოდ ოფიციალურმა პირმა, არამედ მისმა მდივანმა მიიღოს, რადგან ზედმეტად ბევრი ზარის მიღებამ შესაძლოა თქვენთვის საჭირო ოფიციალურ პირზე ნეგატიური გავლენა იქონიოს და თანამშრომლობა გაართულოს. დატოვეთ მდივანთან შეტყობინებები და თხოვეთ, უფროსს გადასცეს, ხოლო უშუალოდ უფროსს შეიძლება რამდენიმე თქვენგანი დაუკავშირდეს და უთხრას, რომ მოცემული საკითხის შესახებ ბევრი შეტყობინებაა დატოვებული მდივანთან.
- შეტყობინენები მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს. ისევე, როგორც ოფიციალური წერილების წერის შემთხვევაში, აქაც აუცილებელია, გქონდეთ კონკრეტული და ჩამოყალიბებული მოთხოვნა;
- მზად იყავით საკითხის ირგვლივ ინფორმაციის გასაცემად - ეს, შესაძლოა, მოგთხოვონ.

მედის გამოყენება

მედიასაშუალებების გამოყენება ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა თქვენს სამიზნე პირზე ანუ გადაწყვეტილების მიმღებ პირზე გავლენის მოსახდენად და ზეწოლის გასაძლიერებლად. მედიასთან თქვენი ურთიერთობა გააზრებული და დაგეგმილი უნდა იყოს.

ძირითადი, რაც მედიასთან მუშაობის დროს უნდა გაითვალისწინოთ. შემდეგია:

- შეადგინეთ „მედიის სია“, რომლშიც ჟურნალისტების სახელი, ტელეფონი, მისამართი, ელფოსტა და ფაქსი იქნება შეტანილი. შეეცადეთ, სიაში რაც შეიძლება მრავალფეროვანი მედიის წარმომადგენლები შეიყვანოთ (სამაუწყებლო, ბეჭდვითი, ონლაინ, საზოგადოებრივი, სახელმწიფო, კერძო და ა.შ.);
- პირადად შეხვდით ჟურნალისტებს, ტოქ-შოუებისა და სხვა გადაცემების წამყვანებს, გაზეთების რედაქტორებს. დაამყარეთ და შეინარჩუნეთ მათთან ურთიერთობა და გაიგეთ მათი ინტერესები;
- თვალი ადევნეთ ახალ ამბებს, გადაცემებს, სტატიებს. დაუკავშირდით ავტორებს და გამოთქვით თქვენი აზრი, მათ მუშაობაზე დაკვირვება საშუალებას მოგცემთ, სწორად განსაზღვროთ, ვინ დაინტერესდება თქვენ მიერ წარმოებული კონკრეტული კამპანიით;

- მზად იყავით ჟურნალისტებისთვის ფაქტების, ლაკონური ინფორმაციის, ციტატების, ინფორმაციის გადასაცემად;
- გამოიყენეთ მედიასთან ურთიერთობის ყველა უფასო საშუალება: მისწერეთ წერილები, დაუკავშირდით რადიოებსა და ტელევიზიებს;
- ძალიან ეფექტურია სოციალური მედიის გამოყენება. გამოიყენეთ ფოტო ან ვიდეო მასალა და ჩამოაყალიბეთ თქვენი მოთხოვნა. აუცილებელია, მონიშნოთ შესაბამისი პირი ან უწყება, შესაძლებელია რამდენიმეც, რომ თვალსაჩინოდ ჩანდეს, ვის მიმართავთ. თხოვეთ თქვენს ახლობლებს, გაავრცელონ სხვადასხვა სოც. ქსელებში.
- გასათვალისწინებელია, რომ პრესკონფერენციაზე მედიის წარმომადგენლების მოყვანა შეიძლება გაგიჭირდეთ. გაუგზავნეთ მათ პრესრელიზები. პრესრელიზში აუცილებლად უნდა იყოს პასუხი შეკითხვებზე: ვინ? რა? როდის? სად? რატომ? როგორ?
- ბევრი მედია საშუალება სოციალურ რეკლამას კანონების/ნორმების შესაბამისად უფასოდ ავრცელებს. დაუკავშირდით მედიის წარმომადგენლებს და სოციალური რეკლამის განთავსების ზუსტი პირობები გაიგეთ. შეიძლება, მათ რეკლამის შექმნაში დახმარებაც შემოგთავაზონ.

აქციები

ფორმა იმის მიხედვით უნდა განსაზღვროთ, თუ რა არის თქვენი მთავარი მიზანი - რამეს ემხრობით თუ აპროტესტებთ. ძირითადი ფორმები კი შემდეგია:

<u>სანთლები:</u> როგორც წესი, ეს ფორმა წყნარი საღამოს დემონსტრაციისას გამოიყენება, რომელიც, თავის მხრივ, დაღუპული ადამიანების ან რაიმე ტრაგიკული მოვლენის ხსოვნას ეძღვნება;

<u>მჯდომარე აქცია:</u> ეს ფორმა საზოგადოებრივი ან კერძო სივრცის დაკავებას გულისხმობს. აქციის მონაწილეები მოთხოვნით გამოდიან და სივრცეს მანამდე არ ტოვებენ, სანამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება ან მის შესახებ მოლაპარაკებები არ დაიწყება.

<u>მსვლელობა(დემონსტრაცია):</u> ეს ფორმა გულისხმობს ჯგუფს, რომლის წევრებსაც პლაკატები მოაქვთ და ხმამაღალი შეძახილებით მოდიან. მსვლელობა კონკრეტულ ადგილას იწყება და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ადგილას მთავრდება. იგი მიზნად ისახავს გზავნილის მიტანას საზოგადოებამდე და გადაწყვეტილების მიღებამდე.

რამდენიმე რჩევა მსვლელობის ორგანიზებისთვის:

- განსაზღვრეთ, რის გაკეთება გსურთ;
- გუნდში გადაანაწილეთ კონკრეტული ფუნქციები: mედიასთან ურთიერთობა, ინფორმაციის გავრცელება, ნებართვების მოპოვება თუ სხვა;
- იზრუნეთ მსვლელობაზე მოსული ხალხის რიცხვზე. შეიმუშავეთ მსვლელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გეგმა და შეეცადეთ მაქსიმალურად ბევრი ადამიანი მოიზიდოთ;

- მოიპოვეთ ნებართვები. გაარკვიეთ, გესაჭიროებათ თუ არა ოფიციალური ნებართვა თქვენს მიერ არჩეულ ადგილას მსვლელობის გასამართავად და შეეცადეთ მის მოპოვებას. ეს თავიდან აგაცილებთ უნებართვობის საბაბით მსვლელობის დაშლის შესაძლებლობას. იცოდეთ თქვენი უფლებები და მოვალეობები.
- მოიმარაგეთ საჭირო აღჭურვილობა, დარწმუნდით, რომ ყველაფერი გაქვთ, რაც შეიძლება დაგჭირდეთ (მიკროფონები, მეგაფონები, პლაკატები, ბროშურები, საწვიმარი გადასაფარებლები და პირველი სამედიცინო დახმარების საგნები);
- თან იქონიეთ მედიისთვის განკუთვნილი წერილობითი ინფორმაცია;
- მოიფიქრეთ შეძახილები. შეადგინეთ ადვილად დასამახსოვრებელი ლოზუნგი და მსვლელობისას ხმამაღლა იყვირეთ. გახსოვდეთ, თქვენი ლოზუნგი აგრესიულად და ზედმეტად გამომწვევად არ უნდა ჟღერდეს;
- მოამზადეთ პლაკატები. შეეცადეთ ,ისინი მაქსიმალურად მკაფიო იყოს და რაც შეიძლება დიდი ასოებით ეწეროს. ქუჩაში გამსვლელების უმეტესობას არც სურვილი ექნება და არც დრო იმისთვის, რომ მსვლელობის მონაწილეებს უშუალოდ გამოელაპარაკოს. ამიტომ მათი ყურადღება სწორედ პლაკატებით უნდა მიიპყროთ;
- შეამოწმეთ, რომ თქვენი აქტივობა არ ემთხვეოდეს კონცერტს, ფეხბურთის მატჩს ან სხვა რაიმე პოპულარულ მოვლენას. დაესწარით სხვა აქციებს და პოტენციურად დაინტერესებულ ადამიანებს თქვენ მიერ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ უთხარით;
- გაითვალისწინეთ ამინდი. თუ დემონსტრაცია ღია ცის ქვეშ ეწყობა, შესაძლებელია, წვიმამ შეგიშალოთ ხელი.

შემოქმედებითი აქციები (ფლეშმობები)

ცხოვრების დღევანდელი რიტმის გათვალისწინებით ფლეშმობების მოწყობა საკმაოდ ეფექტური გზაა, არა მარტო ყურადღების მისაქცევად, არამედ ადამიანების ინფორმირებისთვის ამა თუ იმ საკითხზე.

ფლეშმობების მოწყობისას სასურველია შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

- აქცია კონკრეტულ მიზანს ან საკითხს მიუძღვენით.
- აუცილებელი არ არის, თეატრალიზებული სანახაობა მოაწყოთ. შეგიძლიათ, დიდი ზომის პლაკატი ან სხვა ვიზუალური ნივთი მოამზდოთ და ამ პროცესს შემოქმედებითად მიუდგეთ.

  შემოქმედებითი აქციის რამდენიმე თვალსაჩონო მაგალითია:
  ადამიანების დიაგრამა:
- 100 სკამი - მთავრობასა და მოსახლეობას შორის ეკონომმიკური მდგომარეობის უთანასწორობის დემონსტრირებისთვის ერთ-ერთმა ჯგუფმა უნივერსიტეტის ეზოში, ხალხმრავალ ადგილას, 100 სკამი დადგა. 10 ადამიანი 70 სკამზე წამოწვა, დანარჩენი 90 კი 30 სკამზე ცდილობდა მოთავსებას. ამით ჯგუფს სურდა სტატისტიკური მონაცემების ჩვენება, რომლის მიხედვითაც ქვეყნის

მოსახლეობის 10 პროცენტი სიმდიდრის 70 პროცენტს ფლობდა, როდესაც ყველა დანარჩენს, 90 პროცენტს, მხოლოდ 30 პროცენტი გააჩნდა.

შეგიძლიათ ეს მოდელი შეცვალოთ და ასის მაგივრად ათი სკამი და ათი მონაწილე გამოიყენოთ ან იმავე მოდელით სხვა სტატისტიკური მონაცემები გადმოცეთ.

- ერთ კუთხეში ასი აქტივისტი იდგა, მეორეში კი - მხოლოდ ერთი. პლაკატი ან აქციაზე გამომსვლელი აქტივისტი გვიხსნის, რომ ასი ადამიანი - მინისტრის ხელფასის სიმბოლოა, ხოლო ერთი - პენსიონერის შემოსავლის.

ინტერაქტიური თეატრი:

მოიფიქრეთ მოკლე, ხუთწუთიანი სკეტჩი რაიმე საკითხზე (მაგ: შიმშილზე, უსახლკარობაზე, შეუწყნარებლობაზე, ქსენოფობიაზე და ა. შ.). შეეცადეთ, სკეტჩი პროვოკაციული იყოს. აუდიტორიას სკეტჩი მთლიანად აჩვენეთ.

მერე თავიდან დაიწყეთ და მაყურებელს საშუალება მიეცით, ნებისმიერ მომენტში გაგაჩეროთ. ის, ვინც სკეტჩს გააჩერებს, მისი მონაწილე ხდება და რომელიმე პერსონაჟის ქცევის შეცვლით სკეტჩს შინაარსს უცვლის. შესაძლოა რამდენიმე მაყურებელიც ჩაერთოს ერთ სკეტჩში.

აქციის ბოლოს დისკუსია გამართეთ და სკეტჩის წარმოდგენილი ვარიანტი გააანალიზეთ.

მეცადინეობა 3. ახალგაზრდული პროექტების განხორციელება ადგილობრივი თემის ჩართულობით

მეცადინეობის მიზნები:

1. **მონაწილეებმა განივითარონ მეწარმეობის კომპეტენცია და პრობლემის გადაჭრის უნარი:**
2. **გაეცნონ პროექტის დაგეგმვის ეტაპებს, შეძლონ, გაიაზრონ პრობლემის არსი, გაანალიზონ რეალური სიტუაცია და დასახონ მოგვარების ეფექტური გზები.**

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- დაფა, ფლიპჩარტი და ა.შ;

- სასურველია უკვე განხორციელებული პროექტის ფოტოების ჩვენება (იხ. დანართი).

საჭირო დრო:მეცადინეობის ორი 45 წუთიანი ნაწილი, სულ - 90 წუთი.

ზოგადი რეკომენდაცია მოდერატორს/ტრენერს

- მეორე მეცადინეობის ნაწილი შეიძლება გამოიყენოთ საშინაო დავალებად. ეს დაგიზოგავთ საკონტაქტო დროის 10-15 წუთს;
- მონაწილეების რეკომენდირებული ასაკი - არა ნაკლებ 14 წელი. უმცროსი მონაწილეების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს 15-25 წუთით მეტი დრო.

ტერმინები

დაინტერესებული მხარეები (stakeholders) —ყველა პირი ან ორგანიზაცია:

- რომელთაც აქვთ გავლენა პროექტის განხორციელებაზე ან
- პროექტის განხორციელებას აქვს პოზიტიური ან ნეგატიური გავლენა მათ ინტერესებზე.

მეწარმეობა (entrepreneurship) - ინდივიდის უნარი,იდეები აქციოს საქმედ.ის მოიცავს, როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის უნარებს, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარს. ის ეხმარება ყველას ყოველდღიურ ცხოვრებაში,ოჯახსა თუ საზოგადოებაში. *Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი - საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის : ევროპული ჩარჩო ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები; ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი (CTC) - თბ. : სიესტა, 2006.(თარიღი: 27.10.2017წ)* http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6846

პროექტი — არსებობს ბევრი განმარტება, მაგ:

- *გერმანია, სტანდარტი DIN 69901.*პროექტი - ეს არის პროექტი განზრახვა, რაც დიდწილად ხასიათდება პირობების ერთობლიობის უნიკალურობით, მაგალითად: მიზნის დასახვა; დროითი, ფინანსური, ადამიანური და სხვა შეზღუდვები; სხვა განზრახვებისგან განსხვავებულობა; პროექტისთვის სპეციფიური განხორციელების ორგანიზება;
- *ფილ ბეგიული.* პროექტი - ეს არის ურთიერთდაკავშირებული მოვლენების თანმიმდევრობა, რომელიც მიმდინარეობს განსაზღვრული შეზღუდული დროის განმავლობაში და მიზნად ისახავს უნიკალური, მაგრამ ამავე დროს გარკვეული შედეგის მიღწევას.

ნაწილი 1

I ეტაპი. გამოწვევა (პროვოცირება)

გააცანით მონაწილეებს მეცადინეობის მიზნები და კითხეთ, რას გააკეთებდნენ (რას შეცვლიდნენ), რომ ჰქონდეთ გარკვეული თანხა ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მხარდაჭერა. პასუხები ჩამოწერეთ დაფაზე. კითხეთ მათ, შედგებოდა თუ არა ეს პროექტი, თუ ექნებოდათ საქმიანობების კონკრეტული გეგმაც იმის მისაღწევად, რაც დაფაზე წერია.

გააცანით მონაწილებს „ძვლის დიაგრამა“ (ნახ. 1) და ამ დიაგრამის მიხედვით აუხსენით პროექტის არსი. ხაზი გაუსვით, რომ პროექტი არის გეგმა, რომლის მიხედვითაც არსებული სიტუაცია გვინდა გადავაქციოთ სასურველად.

ნახ.1 სქემა „ძვალი“



ჰკითხეთ მონაწილეებს:

- თუ გაუგიათ რაიმე ადგილობრივი თემის ჩართულობით განხორციელებული ახალგაზრდული პროქტების შესახებ, ან თვითონ თუ აქვთ მსგავსი გამოცდილება?
- მათი აზრით, რამდენად შესაძლებელია, თვითონ მოსარგებლეები (ბენეფიციარები) და თემის ახალგაზრდები იყვნენ ჩართულნი პროექტის შექმნასა ან განხორციელებაში? (თუ გაუჭირდებათ, დაუსახელეთ მაგალითები.)

- რატომ არის მნიშვნელოვანი ასეთი პროექტები? (ხაზი გაუსვით, რომ თემმა იცის საკუთარი საჭიროებები და ასევე, რომ ახალგაზრდები გამოიმუშავებენ აქტიური მოქალაქეობის უნარ-ჩვევებს, რაც სამომავლოდ გაცილებით ბევრს მოუტანს სარგებელს)

აქედან გამომდინარე, კითხეთ მათ, თავიანთ თემში, კონკრეტულ გარემოში, რა კონკრეტული სიტუაციის შეცვლა სურთ და რა იქნება სასურველი შედეგი. წაახალისეთ, რომ მათი ვერსიები არ ეხებოდეს ზოგადსაკაცაბრიო და გლობალურ პრობლემებს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს თემში დასასვენებელი სკვერის ან სპორტული მოედნის აღდგენის საჭიროება, მოსახლეობა არ უფრთხილდებოდეს გარემოს (ეკოლოგიას), იყენებდნენ არაჯანსაღ საკვებ პროდუქტს, დისკოთეკის დარბაზს არ აქვს დამაკმაყოფილებელი ხმის იზოლაცია და წუხდება მოსახლეობა და ა.შ. დააფიქსირეთ დაფაზე რამდენიმე პასუხი.

მიეცით მონაწილეებს საშუალება, მოსინჯონ „ძვლის“ სქემის გამოყენება მცირე ჯგუფებში ან ერთობლივად გონებრივი იერიშის მეთოდით. აუხსენით მათ, რომ სასურველი სიტუაცია უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი.

მონაწილეები ასაუბრეთ, რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია პროექტების განხორციელებისთვის სხვების მხარდაჭერა ან სხვებზე გავლენის მოხდენა. ამის შემდეგ გააცანით, რას ნიშნავს დაინტერესებული მხარეები და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? აუხსენით, რომ ასწავლით დაინტერესებული მხარეების ანალიზის ტექნიკას. ეს ტექნიკა გამოადგებათ ნებისმიერი მიზნის მისაღწევად, საქმიანობების ეფექტურად დაგეგმვის პროცესში და შეძლებენ მოახდინონ პროცესებზე გავლენა.

II ეტაპი. ცოდნის კონსტრუირება

მონაწილეები დაყავით მცირე ჯგუფებად და თხოვეთ, აირჩიონ დაფაზე ჩამოწერილი საკითხებიდან ერთ-ერთი ან სხვა ახალი სათემო პრობლემა, რაზეც იმუშავებენ ჯგუფში.

პირველ ეტაპზე თხოვეთ, ჩამოწერონ 3-5 დაინტერესებული მხარე.

გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს ქართული სოფლის რეალობიდან. უფროსკლასელმა მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რომ თემში ჭირდებათ ჰქონდეთ საბავშვო დასასვენებელი სკვერი, საბავშვო საქანელებით და სასრიალოებით, რომლითაც უფროსებიც ისარგებლებენ თავისუფალ დროს. ეს იქნებოდა მოსახლეობის თავშეყრის ადგილიც და აქ შეეძლებოდათ სოფლის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობაც.

ამ შემთხვევაში დაინტერესებული მხარეები იყვნენ:

- სოფლის ბავშვები - ისინი ისარგებლებდნენ საქანელებით და ქვიშის მოედნით;
- მათი მშობლები - იყვნენ დაინტერესებული ამ საკითხით;
- ადგილობრივი ხელისუფლება - მათ შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება, რასაც გავლენა ექნებოდა პროცესზე;
- სოფლის მოსახლეობა - შეეძლოთ თავიანთი გარკვეული წვლილი შეეტანათ პროცესში;
- დონორი ორგანიზაციები/ფონდები, რომლებიც მუშაობენ სათემო ან ახალგაზრდობის პრობლემებზე - მათ შეეძლოთ მცირე გრანტის გამოყოფა.

მას შემდეგ, რაც მონაწილეები ჩამოწერენ თავიანთი საკითხით დაინტერესებულ მხარეებს, თხოვეთ მათ, თითოეული მხარისთვის გაარკვიონ მათი ინტერესი ან შესაძლო გავლენა პროცესზე. ნიმუშისთვის დაფაზე თვალსაჩინოდ აჩვენეთ როგორ კეთდება ეს კონკრეტული მაგალითით, ცხრ. #1 ,

ცხრილი 1

დაინტერესებული მხარეების ანალიზი

დაინტერესებული მხარე	**ინტერესი**		**გავლენა**	
	ქულა	**შენიშვნა**	**ქულა**	**შენიშვნა**
ბავშვები	1	დიდად ვერ აცნობიერებენ საკუთარ ინტერესს	0	
ბავშვების მშობლები	5		1	
ადგილობრივი ხელისუფლება	1		5	ტერიტორიის მფლობელია და რესურსიც მეტ-ნაკლებად აქვს
სოფლის მოსახლეობა	2		3	შეუძლიათ ჩაერთონ სამონტაჟო და სხვა საქმიანობებში. აქვთ გარკვეული რესურსიც
დონორი ორგანიზაციები/ფონდები	3	მუშაობენ თემის პრობლემებზე	4	შეუძლია რესურსის - გრანტის გამოყოფა

შემდეგ აჩვენეთ, როგორ შეიძლება შედეგების გადატანა დიაგრამაზე (ნახ.2), სადაც ერთ მიმართულებაზე უნდა მონიშნონ დაინტერესებული მხარის ინტერესი, ხოლო მეორეზე - დაინტერესებული მხარის გავლენა პროცესზე. რაც უფრო მაღალია ინტერესი ან გავლენა, მით უფრო მეტად იქნება დაშორებული 0-დან. ორივე მონაცემის გადაკვეთის წერტილზე აღნიშნონ შესაბამისი მხარეები. ვარსკვლავით მონიშნულია დაინტერესებული მხარის სასურველი ("იდეალური") პოზიცია მაქსიმალური ინტერესითა და გავლანით.



ნახატი2. დაინტერესებული მხარეების ანალიზის დიაგრამა

აუხსენით მონაწილეებს, რომ ეს მონაცემები განსხვავებულია ყველა თემისთვის და მნიშვნელოვანია სწორედ თემის წევრების ჩართულობა ამ მონაცემების განსაზღვრაში.

იგივე კონკრეტულ მაგალითზე აჩვენეთ, როგორ ივსება ცხრილი #2 და თხოვეთ, იმავე ჯგუფებში განსაზღვრონ, რა იქნება ეფექტური სტრატეგიები მათ შემთხვევაში. უფრო

მოსახერხებელია, შეავსონ ცხრილი #2 თავიანთი კონკრეტული შემთხვევისთვის (შეიძლება ცხრილის გარეშეც).

ცხრილი 2

სამოქმედო სტრატეგიების განსაზღვრა

№	დაინტერესებული მხარე	ეფექტური სტრატეგია	კონკრეტული საქმიანობა
1	ბავშვები	არ იქნება ეფექტური მათზე გავლენა, რადგან მათი ინტერესიც და გავლენაც უმნიშვნელოა	—
2	ბავშვების მშობლები	მათ ინტერესზე დაყრდნობით პროცესზე გავლენის გაზრდა	დავეხმაროთ და ვასწავლოთ, როგორ შეიძლება მიმართონ დახმარებისთვის ხელისუფლებას
3	ადგილობრივი ხელისუფლება	ინტერესის გაზრდა. გააცნობიერონ, რომ მოსახლეობის კმაყოფილება მათთვის გადამწყვეტი იქნება არჩევნებზე	ახალგაზრდების შეხვედრა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, თემის ხელმოწერებიანი განცხადების გადაცემა მათთვის ტერიტორიის გამოყოფის შესახებ და ახსნა, რომ არჩევნების წინ ეს წაადგება ხელისუფლებას
4	სოფლის მოსახლეობა	პროცესისადმი მათი ინტერესის გაზრდა (გააცნობიერონ, რა სარგებელს მოუტანთ სკვერი)	უფროსკლასელები ინაწილებენ მისამართებს, ხვდებიან და ესაუბრებიან მეზობლებს, უხსნიან, რა სარგებელს მოუტანს სკვერი მთელ სოფელს. არწმუნებენ მათ, რომ ხელი მოაწერონ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მიმართვას ტერიტორიის გადმოცემის შესახებ. ასევე, ეხმარებიან გააცნობიერონ, როგორ შეუძლიათ დაეხმარონ მთელ

			სოფელს და რა რესურსები შეიძლება გამოყონ საერთო საქმისთვის.
5	დონორი ორგანიზაციები/ფონდები	პროცესისადმი მათი ინტერესის გაზრდა.	უფროსკლასელები (სამოქალაქო განათლების კლუბის წევრები) მონაწილეობენ საგრანტო კონკურსში

III ეტაპი. რეფლექსია

მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ შედეგებს. პრეზენტაციების დროს სხვა ჯგუფებს თხოვეთ, რომ წარმოიდგინონ თავი ექსპერტების როლში და დააკვირდნენ, რამდენად დაემთხვევა მათი აზრი პრეზენტატორებისას. შეუძლიათ ერთმანეთს შესთავაზონ რეკომენდაციები.

აუხსენით მონაწილეებს, რომ ამის შემდეგ უკვე ძალიან ადვილია სტრატეგიის მიხედვით ისეთი ეფექტური საქმიანობების დაგეგმვა, რაც შედეგს მოგვცემს.

შეაჯამეთ მუშაობა და თხოვეთ მონაწილეებს, გამოთქვან აზრი: რამ დააინტერესათ მეცადინეობის დროს? რა გაიგეს ახალი? რაში გამოიყენებენ დღევანდელი მეცადინეობის შედეგებს?

ნაწილი 2 (გაგრძელება)

I ეტაპი. გამოწვევა (პროვოცირება)

აუხსენით მონაწილეებს, რომ არსებობს უკვე აპრობირებული ტექნიკებიც, როგორ დაიგეგმოს საქმიანობები ეფექტურად. გააცანით მონაწილეებს „5 W“ (ნახ.3)

ნახატი 3. ეფექტური დაგეგმვა „5 W“ საშუალებით

(ზოგი ავტორი ამატებს მეექვსე კითხვასაც - „როგორ“). აუხსენით მონაწილეებს, რომ ყოველი აქტივობის დაგეგმისას მათ უნდა გასცენ პასუხი „5 W“-ს.

II ეტაპი. ცოდნის კონსტრუირება

ამის შემდეგ მეცადინეობა შეიძლება ჩატარდეს ორგვარად:

- შესაძლებელია საქმიანობების დაგეგმვა მივცეთ საშინაო დავალებად. ამ შემთხვევაში შემდეგი მეცადინეობის პირველი ნაწილი დაეთმობა, რომ იმავე მცირე ჯგუფებში გაუზიარონ ერთმანეთს იდეები, შეაჯამონ და მოამზადონ კონკრეტული სამოქმედო გეგმა;
- მონაწილეები იმავე ჯგუფებში აგრძელებენ მუშაობას და არკვევენ, რა კონკრეტული საქმიანობები იქნებოდა ეფექტიანი მათი მიზნის მისაღწევად. მათი დავალებაა, იმსჯელონ და მოამზადონ კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

III ეტაპი. რეფლექსია

პრეზენტაციების შემდეგ გააკეთეთ უკუკავშირი თითოეულ პროექტზე. გამოყავით მისი ძლიარი მხარეები და დაუსვით შეკითხვები, რომ შეძლონ სუსტი ადგილების გაუმჯობესება.

შეახსენეთ მონაწილეებს მეცადინეობის მიზნები და თხოვეთ შეაჯამონ, რა ახალი ცოდნა და უნარები მიიღეს? კითხეთ, ვისთვის და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? რაში და როგორ დაეხმარებათ ეს მომავალში?

მაგალითის სახით შეგიძლიათ გააცნოთ ერთ-ერთი სოფლის სკოლის მოსწავლეების პროექტის შედეგები, რომელიც ნიმუშის სახით გამოიყენეთ პირველ მეცადინეობაზე. მოსწავლეებმა შეაგროვეს ხელმოწერები და მიმართეს ადგილობრივ თვითმმართველობას. პარალელურად, კონსულტანტის დახმარებით, დაწერეს პროექტი და მოიგეს მცირე გრანტი. გრანტის ბიუჯეტით მათ შეიძინეს ტერიტორიის შემოსაღობი მასალა. მოსახლეობამ მისცეს მოსწალეებს საღებავები, ფიცრები, ძველი ჯამები, გაცვეთილი საბურავები. მშობლებმა ჩაატარეს სამონტაჟო სამუშაოები. გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ მოსწავლეებს გამოუყო ხის ნერგები. მოწყობილი მოედნის გახსნაზე მოიწვიეს ყველა დაინტერესებული მხარე და მედიის წარმომადგენლები. ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურნი კმაყოფილნი დარჩნენ შედეგით, გაესაუბრნენ მოსახლეობას და საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტეს, სწრაფად დაამონტაჟონ ახალ სკვერში ღამის განათებაც და არჩევნებამდე გამოუყონ პროექტის მონაწილეებს ახალი ტერიტორიაც სკვერის გასადიდებლად. სკვერის ფოტოები იხილეთ დანართში.

დანართი

განხორციელებული პროექტის ფოტოები

III ნაწილი. სრულვყოთ საკუთარი თავი

მეცადინეობა 1. „სამოქალაქო კომპეტენციების“ ანკეტაზე მუშაობა

მეცადინეობის მიზნები:

1) საკუთარი აზრის ჩამოყალიბება იმის შესახებ, თუ რა თვისებებია მოქალაქეობრივი;
2) ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- ფლიპჩარტი;
- „სამოქალაქო კომპეტენციის“ დაბეჭდილი ანკეტები (იხ. დანართი) ყველა მონაწილლისთვის

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. თემის შესავალი

მონაწილეები საუბრობენ იმის შესახებ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული თვისებები ითვლება მოქალაქეობრივად, თვით ერთი ქვეყნის შიგნითაც ხალხის აზრი ხშირად პრინციპულად განსხვადება: ვიღაც ამა თუ იმ თვისებას მიიჩნევს მნიშვნელოვნად, სხვა კი ამ თვისებას მავნედაც*?* მიიჩნევს. მონაწილეებს ურიგდებათ „სამოქალაქო კომპეტენციბის ანკეტა“ და ეძლევათ დავალება (იხ. დანართი). ანკეტა შეიძლება შეავსონ ელექტრონულადაც [1].

II ეტაპი. ანკეტაზე მუშაობა

თავიდან მონაწილეები მუშაობენ ინდივიდუალურად. მათი ამოცანაა - შეაფასონ მოქალაქის მახასიათებლები შვიდქულიან სკალაზე (1- ყვალაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, 7- ყვალაზე მნიშვნელოვანი). მას შემდეგ, რაც მონაწილეები ინდივიდუალურად შეაფასებენ თვისებებს ქულებით, გააერთიანეთ ისინი 4-5 კაციან ჯგუფებში. ჯგუფის დავალებაა - ყველაფერი კარგად განიხილონ, მოილაპარაკონ გუნდის შიგნით და აირჩიონ ანკეტიდან მათი აზრით სამი ყველაზე მნიშვნელოვანი და სამი ყველაზე უმნიშვნელო ქცევა. თხოვეთ მათ, ჯგუფში მსჯელობა დაიწყონ მნიშვნელოვანი თვისებების არჩევით.

III ეტაპი. ანკეტირების შედეგები

წამყვანი ეკითხება თითოეულ ჯგუფს:

- შეძელით თუ ვერა მოლაპარაკება, საერთო აზრამდე მისვლა? თუ ვერა, განსხვავებული აზრიც უნდა გადაიტანოთ ფლიპჩარტზე;
- რომელი თვისებები აირჩიეთ ყველაზე მნიშვნელოვნად? (წამყვანი ფლიპჩარტზე აფიქსირებს თვისების ნომრებს);
- რომელი თვისებები აირჩიეთ ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად? (წამყვანი ფლიპჩარტზე აფიქსირებს თვისების ნომრებს).

თვისებების ჩამოწერის შემდეგ წამყვანი თხოვს ჯგუფებს, ახსნან თავიანთი არჩევანი. თუ დრო შეზღუდულია, შეიძლება მხოლოდ იმ თვისებების განხილვით შემოფარგვლა, რომლებმაც უფრო მეტი წინააღმდეგობა გამოიწვია.

წყარო

1.მოქალაქის ქცევის ანკეტა «Действия гражданина». URL: https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSflOa1X2uP0GVTqLploKHljuLn-rPEdbQHXHhqsJiCLld066g/viewform (თარიღი: 10.10.2017).

დანართი

„სამოქალაქო კომპეტენციების“ ანკეტა

თქვენი აზრით, მოქალაქის რომელი მახასიათებლებია ყველაზე მნიშვნელოვანი? გთხოვთ, ინდივიდუალურად შეაფასოთ თითოეული 7 ქულიანი სკალის სისტემით (1- ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, 7 - ყველაზე მნიშვნელოვანი).

1. არჩევნებში მონაწილეობა
2. მოხალისეთა ორგანიზაციებში მონაწილეობა.
3. პილიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.
4. საქონლის არჩევა პოლიტიკური, ეკოლოგიური და მორალური მიზეზებით.
5. გააჩნდეს დამოუკიდებელი აზრი.
6. ცდილობდეს, გაიგოს სხვა ადამიანების მოსაზრებები.
7. ხელისუფლების ორგანოების მოქმედებების თვალყურის დევნება.
8. იყოს მსაჯული მოწვევის შემთხვევაში.
9. ყოველთვის დაემორჩილოს კანონებს.
10. შეატყობინეთ დანაშაულის შესახებ, რომლის მოწმეც გახდით.
11. არ აარიდოს თავი გადასახადებს.

12. იყოს მზად, საჭიროების შემთხვევაში იმსახუროს ჯარში.
13. საკუთარ ქვეყანაში იმ ხალხის დახმარება, ვინც თქვენზე უარესად ცხოვრობს.
14. იმ ხალხის დახმარება, ვინც თქვენზე უარესად ცხოვრობს.

მეცადინეობა 2. მრავალფეროვნება ჩემში, ჩემს გარემოცვასა და საზოგადოებაში, რომელშიც ვცხოვრობ.

მუშაობა იდენტურობაზე, მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე ყოველდღიურ ცხოვრებაში ურთიერთზემოქმედებისას.

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეები იგებენ, რა არის განსხვავებულობა, მრავალფეროვნება და წინა განსჯა;
2) იმის გაგება, რამდენად განსხვავებულნი არიან ადამიანები და რამდენად ბევრი იდენტობა არსებობს;
3) მოძებნიან საერთო თვისებებს სხვებთან, მიუხედავად განსხვავებულობისა;
4) გაიგებენ საკუთარი პოტენციალის შესახებ;
5) შეიგრძნონ, როგორია - იცავდე საკუთარს, რაიმე ძალიან პირადულს ან არ იცავდე, როგორ იქცევიან სხვები ამასთან დაკავშირებით და როგორია - დაიცვა საკუთარი იდენტობა;
6) იგებენ, როგორია იყო ჯგუფის წევრი, რომელთაგან თითოეული შეიძლება ითავსებდეს მრავალ იდენტობას;
7) მიაქცევენ ყურადღებას არათანაბარ შესაძლებლობებს საზოგადოებაში;
8) გაიგებენ გარკვეული სოციალური ან კულტურული ჯგუფის მიკუთვნების შესაძლო ინდივიდუალურ შედეგებს;
9) პრაქტიკულად გამოიყენებენ ემპათიის უნარ-ჩვევას ერთმანეთის მიმართ;
10) გაფანტავენ საკუთარ შეხედულებას ყოველდღიურობაში ხელისუფლების უთანასწორობის შესახებ
11) საკუთაარ თავზე გამოცდიან ძალაუფლების და უსუსურობის განცდებს და იმუშავებენ მათზე;
12) გაარკვევენ სიტუაციას ხელისუფლებასთან ჯგუფში და საზოგადოებაში, იპოვიან ხელისუფლებასთან ურთიერთობის საკუთარ ემოციურ მიდგომას და სამოქმედო სტრატეგიას.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- ლიმონი (ან სხვა ხილი / საგნები) მონაწილეთა რიცხვის ნახევრის რაოდენობით;

- ფლიპჩარტი, მარკერები ან სხვა საპრეზენტაციო მასალა;
- ქაღალდის ფურცლები (A4) და კალამი თითოეული მონაწილისთვის;
- თითოეული მონაწილისთვის 2-3 სუფთა ბარათი ან 2-3 ქაღალდის ფურცელი;
- სვარჯიშოს შესასრულებლად საკმარისი ზომის სასწავლო აუდიტორია;
- სკამი თითოეული მონაწილისთვის

საჭირო დრო: 5-6 საათი

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/წამყვანს

იმისათვის, რომ გავიგოთ შესაძლებლობების მრავალფეროვნება, საჭიროა გაირკვეს, რას ნიშნავს სინამდვილეში მრავალფეროვნება. როგორ უკავშირდება საკუთარ პიროვნებას? ახდენს თუ არა გავლენას იმაზე, როგორ აღვიქვმთ საკუთრ თავს და საკუთარ გარემოცვას? მრავალფეროვანი წარმოდგენების და მოსაზრებების გაგების საფუძველია კრიტიკული განხილვა.

ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ მრავალფეროვნება და შევიგრძნოთ მისი ზემოქმედება. სავარჯიშოები დალაგებულია ისეთი თანმიმდევრობით, რომ მონაწილეები ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდნენ ძირითად თემამდე. ამიტომ, რეკომენდებულია მეცადინეობის დროს ჩატარდეს სავარჯიშოები მოცემული თანმიმდევრობით და შეძლებისდაგვარად სრულად. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სავარჯოშოები ჩატარდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაც, ამიტომ რეფლექსიის ნაბიჯები მოცემულია უშუალოდ ყოველი სავარჯიშოს შემდეგ. სხვა სავარჯიშოები შეგიძლიათ იხილოთ წყაროებში [1; 2; 3].

ყოველი სავარჯიშოს დაწყების წინ წამყვანმა უნდა გააანალიზოს საკუთარი იდენტობის მრავალფეროვნება და გაერკვეს მასში - ეს გამოადგება როგორც სავარჯიშოს ჩატარებისას მაგალითების მოყვანის დროს, ისე სავარჯოშოს რეფლექსიისას. სასარგებლოა, ასევე, მრავალფეროვანი ჯგუფების გამოკვლევა, რათა შეძლონ სავარჯოშოს დროს შეამჩნიოს დეტალები და გაასწორონ ნიუანსები.

ტერმინები

იდენტობა - სოციალური კატეგორია, რომელსაც ადამიანი მიაკუთვნებს საკუთარ თავს;

ძალაუფლება - პრივილეგია, რომლითაც ადამიანი სარგებლობს საკუთარი იდენტობის (იდენტობების) მიკუთვნებით განსაზღვრულ ჯგუფთან ან საზოგადოებასთან.

მეცადინეობის მსვლელობა

***სავარჯიშო 1.* ლიმონი**

ნაბიჯი 1. წამყვანი დაფაზე წერს „ლიმონი....“ და სთხოვს მონაწილეებს, გააგრძელონ წინადადება. ყველაფერი, რაც ითქმება, იწერება იმავე ფლიპჩარტზე, მაგ: „ყვითელი“, „მჟავე“, „ჯანმრთელობა“, „ოვალური“ და ა.შ.

ნაბიჯი 2. წამყვანი დებს მონაწილეების წინ ყუთებს(მაგ:ჯამი ან ყუთი) ლიმონით სავსეს და სთხოვს, წყვილებმა აიღონ თითო ლიმონი და გულდასმით დაათვალიერონ.

ნაბიჯი 3. მონაწილეთა წყვილები ათვალიერებენ საკუთარ ლიმონს და 1-2 წუთის შემდეგ, წამყვანის ნიშანზე დებენ უკან იმავე ყუთში.

ნაბიჯი 4. წამყვანი ურევს ყველა ლიმონს ერთმანეთში და სთხოვს ყველა წყვილს, მოძებნოს და აიღოს „თავისი“ ლიმონი.

რეფლექსია. ყველა საუბრობს, როგორ მოახერხეს „საკუთარი“ ლიმონის პოვნა. წამყვანი ეხმარება განხილვაში შეკითხვებით:

- რას ნიშნავს ის, რომ შესაძლებელი გახდა ხელახლა გეპოვნათ „საკუთარი“ ლიმონი დასაწყისში გამოყენებულ „ლიმონთან“ მიმართებაში? (მაგ: „ზოგიერთი ლიმონი“ / ზოგჯერ ლიმონი არის....“)
- რა პარალელები შეიძლება გავავლოთ ამ სავარჯიშოსა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის?

სავარჯიშო 2. იდენტობის მოლეკულა

მომზადება: ყველა მონაწილისთვის უკეთ გასაგებად რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯების ვიზუალიზაცია, მაგალითად, ფლიპჩარტზე. ქვემოთ მოცემული სქემა (იხ. დანართი) შეიძლება წინასწარ ამობეჭდოთ და გამოიყენოთ როგორც შაბლონი. თუმცა, როგორც გამოცდილება აჩვენებს, იდენტობის მოლეკულები უფრო მეტად ინდივიდუალური და მრავალფეროვანია, როცა მას თვითონ მონაწილეები ქმნიან. თუ როგორ ხდება ეს, აღწერილია შემდეგ ნაბიჯებში:

ნაბიჯი 1: ინდივიდუალურად, ერთმანეთთან ურთიერთობის გარეშე, მონაწილეები (A4) ფურცლის შუაში ხატავენ წრეს და წერენ მასში საკუთარ სახელს;

ნაბიჯი 2: ცენტრში დახატული წრის ირგვლივ, რომელშიც სახელი წერია, ასევე ინდივიდუალურად და უხმოდ მონაწილეები ხატავენ კიდევ 5-7 წრეს, მიიღება ერთგვარი მოლეკულა. ამ წრეებში მონაწილეები წერენ თავიანთ ყველაზე მთავარ იდენტობებს ანუ სოციალურ კატეგორიებს, რომლებსაც მიაკუთვნებენ საკუთარ თავს მოცემულ მომენტში და მოცემულ ადგილზე. წამყვანი ფლიპჩარტზე ხატავს ასეთივე მოლეკულას საკუთარ მაგალითზე და აძლევს მონაწილეებს დაახლოებით 5 წუთს დავალების ინდივიდუალურად შესასრულებლად. დავალების უფრო ადვილად

შესასრულებლად გამოიყენება ფორმულირება: „მე - ....“. რადგან საქმე ეხება იდენტობებს, რომლების მნიშვნელოვანია მონაწილეებისთვის აქ და ახლა, შეიძლება სახელით არ დასახელდეს რომელიმე ან რამდენიმე იდენტობა, რომელთა განხილვაც არ უნდათ სხვებთან და აღნიშნონ ეს იდენტობა რომელიმე ნეიტრალური ნიშნით (მაგ: «X», «Y»). წამყვანმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი მაგალითი თავის ვიზუალიზაციაშიც.

ნაბიჯი 2ა: წამყვანი ურიგებს ყველა მონაწილეს 2-3 ცარიელ ბარათს ან ქაღალდის ფურცელს. მონაწილეები ამოიწერენ საკუთარი მოლეკულებიდან 2-3 ყველაზე მნიშვნელოვან იდენტობას ბარათებზე, ცალ-ცალკე და პირით ქვემოთ უბრუნებენ წამყვანს. ეს ნაბიჯი საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ შემდეგ ჩატარდება სავარჯოშო 3 „ავდგეთ .... “;

ნაბიჯი 3: მონაწილეები ერთიანდებიან 3 კაციან ჯგუფებში და განიხილავენ მათთვის ამ მოცემული დროისა და ადგილისთვის ყველაზე მნიშვნელოვან იდენტობებს. მონაწილეებისთვის რეკომენდებული შეკითხვები:

- რას ნიშნავს თქვენთვის ეს იდენტობები?
- როგორ გრძნობთ თავს ამ იდენტობებით?
- რა აზრი და შეკითხვები გიჩნდებათ, როდესაც იგებთ სხვების იდენტობებს?
- თუ არის საერთო იდენტობები თქვენს ჯგუფში?
- თუ იყო რაიმე ისეთი, რამაც გაგაკვირვათ, ან განსაკუთრებულად დაგაინტერესათ?

უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნება გაერთიანდნენ ის მონაწილეები, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ერთმანეთს.

ნაბიჯი 4: მონაწილეები იკრიბებიან ხელახლა დიდ ჯგუფში და ინდივიდუალურად, სხვებთან განხილვის გარეშე, ხატავენ თავიანთ ფურცლებზე კიდევ 13 წრეს და ამ სახით ზრდიან საკუთარ მოლეკულას. ალტერნატივის სახით შეიძლება ეს ახალი წრეები გამოიხატოს საწყისი მოლეკულის ირგვლივ ყვავილის ფურცლების სახით. თითოეული წრე (ყვავილის ფურცელი) იქნება იმ ერთი სოციალური კატეგორიის სიმბოლო, რომლის მიკუთვნებულობაზე გავლენის მოხდენაც ხშირად შეუძლებელია, - ესენია:

- რელიგია;
- მოქალაქეობა;
- განათლება;
- ფიზიკური ან ფსიქიკური შეზღუდულობა;
- კანის ფერი;
- წარმომავლობა (ქალაქი/სოფელი);
- უცხო ენების ცოდნა;
- ასაკობრივი ჯგუფი;

- სქესი;
- მშობლიური ენა;
- სექსუალური ორიენტაცია;
- ოჯახური მდგომარეობა;
- სოციალური სტატუსი.

წამყვანი თანმიმდევრობით ასახელებს კატეგორიებს, მონაწილეები კი საპასუხოდ წერენ საკუთარ იდენტობებს თავიანთ შესაბამის წრეში (ყვავილის ფურცელში). ამ შემთხვევაში ასევე რეკომენდებულია, დაიწეროს კატეგორიები ისე, რომ ყველა ხედავდეს (მაგ: ფლიპჩარტზე) და ზოგიერთი მათგანისთვის დასახელდეს მაგალითები. არაა რეკომენდებული ყველა კატეგორიის ერთბაშად ჩვენება, რადგან ეს შეიძლება რთული ეჩვენოთ.

რადგანაც აქ საუბარია ისეთ იდენტობებზეც, რომლებიც მნიშვნელოვანია მონაწილეებისთვის და ახლა არ სურთ სხვებთან საუბარი, მათ აღნიშნეს ნეიტრალური ნიშნებით («X», «Y»), იდენტობები «ყვავილის ფურცლებზე“ შეიძლება დაემთხვეს მოლეკულის შიდა ნაწილის იდენტობებს. ამის მიუხედავად, რეკომენდებულია მათი ჩაწერა.

ნაბიჯი 5: მონაწილეები ქმნიან ახალ 3 კაციან ჯგუფებს და მსჯელობენ დამატებულ იდენტობებზე:

- რას ნიშნავს თქვენთვის ეს იდენტობა?
- როგორ გრძნობთ თავს ამ იდენტობით?
- რა აზრი და შეკითხვები გიჩნდებათ, როდესაც იგებთ სხვების იდენტობებს?
- თუ არის საერთო იდენტობები თქვენს ჯგუფში?
- თუ იყო რაიმე ისეთი, რამაც გაგაკვირვათ ან განსაკუთრებულად დაგაინტერესათ?

ნაბიჯი 6: ისევ დიდ ჯგუფში, ინდივიდუალურად, ერთმანეთთან ურთიერთობის გარეშე, აღნიშნავენ განსხვავებული ფერებით, ან სიმბოლოებით ყოველ იდენტობას, ან მის სიმბოლოს. ის იდენტობები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში აძლევთ პროვილეგიას ე.ი უპირატესობას, აღინიშნება მაგალითად, ნიშნით „+“ ან მწვანე ფერით, ხოლო რომლებიც ზღუდავენ ე.ი აყენებენ არახელსაყრელ მდგომარეობაში, მაგალითად, ნიშნით „-“ ან წითელი ფერით. შემდეგ მათ შეუძლიათ მოსინჯონ და გააერთიანონ ერთნაირად მონიშნული, ან გაფერადებული მოლეკულები. ალტერნატივის სახით, შესაძლებელია ამა თუ იმ ნიშნით მონიშნული სოციალური კატეგორიების დათვლა. ეს ყველაფერი საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ, რომელი სოციალური კატეგორიის კუთვნილებად გრძნობენ მოსწავლეები თავს, რომელი ანიჭებთ პრივილეგიებს, ან პირიქით, აყენებს არახელსაყრელ პირობებში.

ნაბიჯი 7: მონაწილეები ქმნიან ახალ 3 კაციან ჯგუფებს და მსჯელობენ საკუთარი იდენტობების მნიშვნელობაზე მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. რეკომენდებული კითხვები მონაწილეებისთვის:

- როგორ გრძნობთ თავს ამ იდენტობით?
- რა აზრი და შეკითხვები გიჩნდებათ, როდესაც იგებთ სხვების იდენტობებს?
- რამდენად ფრთხილები უნდა ვიყოთ პრივილეგიებთან მიმართებაში?
- რას ნიშნავს საზოგადოებაში მეტად ან ნაკლებად პრივილეგირებულად ყოფნა?

იმის გამო, რომ განსახილველი საკითხები შეიძლება იყოს ძალიან პირადული, რეკომენდებულია ჯგუფებში მათი გაერთიანება ვინც მეგობრობენ, ან ნაცნობები მაინც არიან.

რეფლექსია: თუ არ გეგმავთ ჩაატაროთ 3 სავარჯიშო „ავდგეთ ... “, რომელიც ამ სავარჯიშოშ შემდეგაა აღწერილი, რეკომენდებულია რეფლექსიის ახლა ჩატარება. სხვა შემთხვევაში მაშინვე გადადით 3 სავარჯიშოზე.

სავარჯიშო 3 „ ავდგეთ ... “

მომზადება. ბარათები, რომლებზეც მე-2 სავარჯიშოში „იდენტობის მოლეკულა“ მონაწილეებმა დაწერეს საკუთარი იდენტობები (თითო იდენტობა თითო ბარათზე), აირევა ერთმანეთში და სათითაოდ დაიწყობა იატაკზე სპირალის მსგავსად. ამათან, მსგავსი იდენტობები შეიკრიბება ერთად და დაეწყობა ერთმანეთზე. ერთნაირად ჩაითვლება მხოლოდ სრულიად მსგავსი იდენტობები. ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, ვაჟი ან გოგო არის განსხვავებული იდენტობები, ისევე, როგორც „გოგონა? და „საყვარელი გოგონა თუ ქალიშვილი“ ან „და“ და „დაიკო“. სპირალის ირგვლივ სკამებისგან კეთდება შეკრული წრე, რომლებზეც სხედან მონაწილეები. ყველა სკამი უნდა იყოს დაკავებული და მათზე უნდა ისხდნენ მხოლოდ ის მონაწილეები, ვისი იდენტობებიც აწყვია იატაკზე, ანუ ვინც მიიღო მონაწილეობა წინა მე-2 სავარჯიშოში „იდენტობის მოლეკულა“. წამყვანის ასისტენტები, სტუმრები ან სხვა ვინმე არ უნდა იჯდეს წრეში და არ უნდა იღებდეს მონაწილეობას სავარჯიშოში. მათ შეუძლიათ დააკვირდნენ და ჩაერთონ რეფლექსიაში.

ნაბიჯი 1. წამყვანი აცნობს წრეში მსხდარ მონაწილეებს მოვლენების შემდეგ მსვლელობას (საჭიროების შემთხვევაში მოყავს შესაბამისი მაგალითები)

1. წამყვანი კითხულობს, მოძრაობს სპირალის გასწვრივ და ერთმანეთის მიყოლებით კითხულობს იდენტობებს;
2. იდენტობის დასახელების შემდეგ მონაწილეები დგებიან იმის მიხედვით, მიაკუთვნებენ თუ არა თავს სოციალურ კატეგორიას. თუ მონაწილე წამოდგება ცოტა ხნით, ან ოდნავ წამოდგება სკამიდან - ნაწილობრივ მიაკუთვნებს თავს ამ კატეგორიას, ხოლო თუ დგას დიდხანს და სკამიდან მთლიანად ადგა - სრულად

მიაკუთვნებს თავს ამ კატეგორიას. (თუ ჯგუფში ვინმეს უჭირს ხშირად წამოდგომა, საჭიროა სხვა ისეთი ალტერნატიული მოძრაობის გამოყენება, რომლის შესრულებაც ყველას შეუძლია, მაგ. ხელის აწევა).

3. სავარჯიშოს მსვლელობისას მონაწილეები უნდა დააკვირდნენ ერთმანეთს;
4. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებმა სავარჯიშო სეასრულონ უხმოდ: არ ისაუბრონ, არ იცინონ, არ გააკეთონ კომენტარები მომხდარზე;
5. წამყვანი კითხულობს ახალ იდენტობას მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა მონაწილე დაუბრუნდება ადგილს (ან დაუშვებს ხელს).

მას შემდეგ, რაც წამყვანი უპასუხებს მონაწილეთა ყველა ღია შეკითხვას, იწყება სავარჯიშო.

ნაბიჯი 2: წამყვანი კითხულობს იდენტობებს, აკვირდება მონაწილეებს და თუ საჭიროა, აკეთებს შენიშვნას მონაწილეთა ქცევის შესახებ. ამასთანავე, რეკომენდებულია ასისტენტის დახმარების გამოყენება.

რეფლექსია: სავარჯიშოების „იდენტობის მოლეკულის“ და „ავდგეთ....“ შეფასების დროს დაგეხმარებათ შეკითხვები, რომლებიც სავარჯიშოების მსვლელობის მიხედვით შეიძლება ადაპტირდეს სიტუაციის შესამაბისად:

- როგორ გრძნობდით თავს?
- თუ იყო ადვილი თქვენთვის იდენტობის ან სოციალურ კატეგორიასთან მიკუთვნების ჩაწერა? რატომ კი და რატომ არა?
- როგორი ურთიერთობა გქონდათ სხვა მონაწილეებთან? რაზე ფიქრობდით? როგორ გრძნობდით თავს?
- როგორ წარმოიდგენდით გარკვეულ იდენტობას სავარჯიშოში? შესაძლოა, ვინმე მარტო მდგარიყო ფეხზე დანარჩენ მჯდომარე მონაწილეებს შორის ან პირიქით, მჯდარიყო მაშინ, როდესაც სხვები ფეხზე იდგნენ?
- როგორ რეაგირებდით, როდესაც ვინმე თქვენთვის მოულოდნელად წამოდგებოდა რომელიმე იდენტობაზე?
- როგორ ხდება ეს რეალურ ცხოვრებაში, როდესაც „დგახარ“ ან „ზიხარ“ მარტო?
- როგორ იქცევიან სხვები? რა ემოციები ჩნდება?

ჯგუფის ზომისა და ადაპტაციის შესაძლო ვარიანტების მიხედვით ამ სავარჯიშოსთვის საჭიროა 1-2 საათი, რომ მშვიდად ჩატარდეს და შემდეგ გულდასმით მოხდეს რეფლექსიაც, ყველა ინტერესის და რთული ასპექტის გათვალისწინებით. ბოლოს რეკომენდებულია (პატარა) შესვენების გაკეთება, ან როგორც მინიმუმი, ატმოსფეროს განტვირთვა მაინც.

სავარჯიშო 4. პოტენციალის აქტიური გაზრდა

ნაბიჯი 1: მონაწილეები ინდივიდუალურად ფიქრობენ ხალხის იმ ჯგუფებზე, რომლებისგანაც თვითონ განსხვავდებიან, ან რომლებსაც, მათი აზრით, აქვთ მეტი პრივილეგია და შესაძლებლობები. ამასთანავე, მონაწილეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გრძნობებს (მაგალითად, იმედგაცრუება ან სიბრაზე), რომელსაც ისინი გრძნობენ ამ ჯგუფებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ მონაწილეები ფიქრობენ მიზეზებზე, რატომაც თვლიან, რომ აქვთ ნაკლები პრივილეგიები, ან შესაძლებლობები და რატომ არ მიაჩნიათ თავი ამ ჯგუფის წევრად.

ნაბიჯი 2: მონაწილეები ქმნიან 3-4 კაციან მცირე ჯგუფებს და ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს. თითოეული წარმოადგენს შესაბამის სიტუაციას, ჯგუფს და მასთან დაკავშირებულ გრძნობას, მცირე ჯგუფის დანარჩენი წევრები კი მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, ინდივიდუალურად ან ჯგუფში, რომ შემცირდეს ნეგატიური გრძნობა და შეიქმნას ალტერნატიული შესაძლებლობები.

ნაბიჯი 3: სავარჯიშოს ბოლოს იკრიბებიან დიდ ჯგუფში და იწერენ (მაგ. ფლიპჩარტზე) იმ მოქმედებებს, რაც შეამცირებს ნეგატიურ გრძნობებს და შექმნის ალტერნატიულ შესაძლებლობებს. საწყისი ჯგუფის და სიტუაციის მიუხედავად, იქმნება ინდივიდუალური თუ ჯგუფური ქმედებების ერთობლივი შესაძლებლობების და იმ სიტუაციების პოტენციალის გაზრდის კატალოგი, სადაც ხალხი მოკლებულია შესაძლებლობებს.

სავარჯიშო 5. ძალაუფლების ურთიერთობები

ნაბიჯი 1: მონაწილეები იკრიბებიან მცირე ჯგუფებში და 10-15 წუთის განმავლობაში მსჯელობენ იმის შესახებ, თუ მონაწილეების რომელ თვისებებს და სიტუაციებს შეუძლიათ მიიყვანონ ისინი არათანაბარ ძალაუფლებამდე.

ნაბიჯი 2: მინი ჯგუფები საერთო განხილვისთვის წარმოადგენენ მათივე ნააზრევს მათთვის მისაღები ფორმატით, მაგ. ფლიპჩარტზე.

რეფლექსია: კითხვები მონაწილეებისთვის, რომლებიც სასარგებლოა სავარჯიშოს შედეგების გააზრებისთვის:

- დაასახელეთ ის თვისება, რაც გახასიათებთ თქვენ თვითონ ან სხვებს?
- დაასახლეთ სიტუაცია, რომელშიც თავს წარმოიდგენდით ძლიერად ან სუსტად?
- დაასახელეთ სიტუაცია, რომელიც მნიშვნელოვანი იყო თქვენი მცირე ჯგუფისთვის?
- რით განსხვავდებოდა და რა საერთო ჰქონდათ სიტუაციებს?
- თუ არის სხვა სიტუაციები ან სტრუქტურები, რომლებიც გავს განხილულებს?

ნაკლებად გამოხატულმა ან გაუცნობიერებელმა ძალაუფლების ურთიერთობებმა შესაძლოა ჩაშალოს, ან გაართულოს სასწავლო პროცესი, მაგალითად, როდესაც ვინმე,

მიუხედავად იმისა, რომ თავს გრძნობს გაუბედავად, ვერ ბედავს დასვას მისთვის საჭირო შეკითხვა. დომინანტი პიროვნებები ხშირად ვერ აცნობიერებენ, რა ძალაუფლებას ფლობენ. მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლები ზოგჯერ თავს უფრო სუსტად აღიქვამენ.

სავარჯიშო 6. ძალაუფლების და უძლურების საქანელა

მომზადება. რეკომენდებულია, წინასწარ ჩატარდეს თეატრის მსახიობების რამდენიმე სავარჯიშო. დასაწყისში მონაწილეები უნდა გახურდნენ, მოიხსნან სხეულის დაძაბულობა. ამის გარდა, მათ უნდა მიახდინონ კონცენტრირება და უნდა მოდუნდნენ, მაგალითად, გაცნობიერებული სუნთქვის საშუალებით. ასეთი მომზადების მერე შემდეგი ნაბიჯები უფრო ადვილი და უფრო ეფექტიანია. წამყვანი ხსნის შემდეგ ნაბიჯებს და თან მოყავს მაგალითები, რის შემდეგაც მონაწილეები ქმნიან 3 კაციან ჯგუფებს. (სავარჯიშო შეიძლება ჩატარდეს უფრო დიდ, 4-7 კაციან ჯგუფებშიც, ხოლო პატარა ჯგუფის შემთხვევაში - მთელ ჯგუფთან ერთად).

ნაბიჯი 1: ორი მონაწილე (У1 და У2) ერთმანეთს ართმევს ხელს და ასე შეშდებიან ე.ი არ ინძრევიან, ქმნიან ქანდაკებას;

ნაბიჯი 2: მონაწილე У1 ტოვებს, ქანდაკებას, ხოლო У2 რჩება უძრავად;

ნაბიჯი 3: მესამე მონაწილე (У3) აძლევს გაშეშებული У2 მონაწილის პოზიციას ახალ აზრს და თვითონ ავსებს ქანდაკებას ახალი პოზიციის დაკავებით ?9არა იგივე, რაც ქონდა У1-ს). ამასთანავე, არ შეიძლება У2 მდგომარეობის შეცვლა. У3-ც გაშეშდება.

ნაბიჯი 4: რაღაც დროის განმავლობაში ქანდაკება რჩება უმოძრაოდ, რომ ყველამ შეძლოს მისი ნახვა. ამის შემდეგ У2 ტოვებს ქანდაკებას, У2 რჩება გაუნძრევლად.

ნაბიჯი 5: ახლა უკვე У1 აძლევს გაუნძრევლად დარჩენილი У3-ის სხეულს ახალ აზრს და ავსებს მას თავისი ახალი პოზიციით.

ნაბიჯი 6: დაახლოებით 10 წუთის შემდეგ მთავრდება პირველი წრე. საჭიროების შემთხვევაში მცირე ჯგუფებს შეუძლიათ ერთმანეთში შერევა, რის შემდეგაც იწყება ახალი წრე ახალ სამკაციან ჯგუფებში ორი მონაწილის ხელის ჩამორთმევით და გაშეშებით. იგივე პრინციპით ახალი მონაწილეები ქმნიან ახალ ქანდაკებებს, ოღონდ ახლა ისინი იღებენ ისეთ მდგომარეობებს, რომლითაც აჩვენებენ საკუთარ უფრო მეტ ძალაუფლებას უმოძრაო მონაწილესთან მიმართებაში. ის ისე ცვლის ქანდაკებას, რომ დაარღვიოს უმოძრაო მონაწილის ძალაუფლება. ქანდაკება ისევ გარკვეული დროით არის უმოძრაო, რომ სხვებმა დაინახონ. ამის შემდეგ ქანდაკებას ტოვებს მონაწილე, რომელიც განასახიერებდა სუსტ პერსონაჟს. შემდეგი მონაწილე, თავის მხრივ, არჩევს უმოძრაო მონაწილის ძალაუფლებას.

ნაბიჯი 7: მეორე წრეს პერიოდულად აჩერებს წამყვანის ტაში, რომლის დროსაც ქანდაკებები შეშდებიან. მონაწილე, ვისი ჯერიცაა რომ დაასრულოს ქანდაკება, ცდილობს, დააფიქსიროს ისეთი მდგომარეობა, რომ დაარღვიოს უმოძრაო მონაწილის ძალაუფლება, მაგრამ თვითონ არ გახდეს უფრო ძლიერი ე.ი იპოვოს ისეთი გზა, რომლითაც შეძლებს ჩაკეტილი წრის გარღვევას. ამის შემდეგ მონაწილეები აგრძელებენ ისე, როგორც წერია 6 ნაბიჯში.

რეფლექსია: მიღებული გამოცდილების რეფლექსია ტარდება მთლიან ჯგუფში. ამ დროს შესაძლებელია მონაწილეებთან შემდეგი შეკითხვების გამოყენება:

- როგორ გრძნობდით თავს თქვენს როლებში?
- ძალაუფლების რომელი ფორმები მოსინჯეთ?
- რომელი მათგანი იყო თქვენთვის ნაცნობი?
- რა გამოგდიოდათ ადვილად და რა - ძნელად?
- რა გზით შეიძლება ძალაუფლების დარღვევა?
- რა როლებს ასახიერებდით?
- ამასთან დაკავშირებით, რა ასოციაციები გიჩნდებათ ყოველდღიურ ცხოვრებასთან?
- თქვენი აზრით, რით იყო ან შეიძლება იყოს სასარგებლო ეს სავარჯიშო. შესაძლოა, ყურადღება მიაქციოთ წინა სავარჯიშოსაც.

წყარო

1. Динаміка різноманіття : Як реалізувати потенціал різноманіття під час тренінгу : Посібник для фасилітаторів у сфері освіти активної громадськості. Берлін : Спілка MitOst E. v., 2014. URL: http://mitost.org/editions/p_d_r.html (თარიღი: 10.10.2017)

2. Bildungsziel : Bürger : Methodenhandbuch für multinationale Seminare. Berlin : MitOst-Editionen 7, 2004. URL: http://mitost.org/editions/bildungsziel/buerger_screen_2004/bildungsziel_buerger_screen_2004.pdf (თარიღი: 10.10.2017).

3. Handbook for Facilitators of the Georgian Country Program Diversity School. Berlin: MitOst e. V., 2013.

დანართი

იდენტობის მოლეკულა



მეცადინეობა 3. სტერეოტიპები და დისკრიმინაცია

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეებმა გააცნობიერონ, რა არის სტერეოტიპის არსი და რა გავლენა აქვს მას დისკრიმინაციის პროცესზე;
2) გააანალიზონ, რა გავლენას ახდენს სტერეოტიპები და წინა განსჯები ყოველდღიურ ცხოვრებაზე;
3) ემპათიის (თანაგანცდის) უნარის გამომუშავება და ეფექტური სტრატეგიების განსაზღვრა სტერეოტიპების ნეგატიური გავლენის დასაძლევად;
4) მონაწილეების მიერ სტერეოტიპების ალოგიკურობის გააზრება

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- დაფა, ფლიპჩარტი და ა.შ;
- პროექტორი;
- ლეპტოპი;
- ვიდეოფილმები [1; 2; 3] (ვიდეო ფაილები ან ინტერნეტის ქსელი);
- რეკვიზიტები სავარჯიშოსთვის „დეტექტივობანა“

საჭირო დრო: ორი 45 წუთიანი მეცადინეობა, სულ 90 წუთი

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/ტრენერს

თუ მონაწილეთა ასაკი 12 წელზე ნაკლებია, შესაძლებელია დაგჭირდეთ 10-15 წუთით მეტი დრო.

ტერმინები

დისკრიმინაცია (ლათ. Discriminatio - განსხვავება) ნებისმიერი, რაციონალურ დასაბუთებას მოკლებული, ცალკეული პირების, ან ჯგუფების უფლებების შეზღუდვის, ან მათდამი უარყოფითი დამოკიდებულების ფორმა, რომელიც ფიზიკურ და ბიოლოგიურ ნიშნებზე აგებულ უფლებათა და უფლებამოსილებათა დიფერენციაციაში გამოიხატება. (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3703 თარიღი: 10.10.2017წ)

სტერეოტიპი (ძვ. ბერძნ. στερεός და τύπος) - ტერმინი სტერეოტიპი სტამბიდან წამოვიდა. ის მძიმე საბეჭდ ფორმას, გალვანურ კლიშეს აღნიშნავს, რომელიც ერთხელ ჩამოყალიბების შემდეგ ძნელად იცვლება. ასეთივე, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობა აქვს მას სოციალურ ფსიქოლოგიაშიც. ზოგიერთ შემთხვევაში ერთხელ შექმნილი წარმოდგენა ადამიანთა ჯგუფის/კატეგორიის შესახებ ვრცელდება მის ყველა წევრზე,

მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა იგი კონკრეტულ პიროვნებას. (Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4662 თარიღი: 10.10.2017წ)

მეცადინეობის მსვლელობა

ნაწილი 1

I ეტაპი. გამოწვევა (პროვოცირება)

მონაწილეებს ვუხსნით სამუშაო თემას და მიზანს. ვთხოვთ, გონებრივი იერიშის მეთოდით განმარტონ ტერმინი „დისკრიმინაცია“. პასუხები იწერება დაფის ერთ მხარეს. დაფის მეორე მხარეს დაიწერება სავარაუდო განმარტებები ტერმინზე „სტერეოტიპი“. შემდეგ ვთხოვთ, გაიხსენონ, დისკრიმინაციის რა შემთხვევები ახსოვთ ისტორიიდან ან მასმედიის ინფორმაციით.

ვთხოვთ დაფიქრდნენ, რა არის, მათი აზრით, დისკრიმინაციის მიზეზი. მონაწილეთა პასუხებს ვაფიქსირებთ დაფაზე. თუ მათ პასუხებში არ გამოიკვეთება, ვუსვამთ მიმართულ შეკითხვებს (ნავოდიაშიე ვოპროსი) რომელიმე მხარის პრივილეგირებულის, უპირატესობის განცდის არსებობის შესახებ:

- ხომ არ აქვს რომელიმე მხარეს განცდა, რომ თვითონ არის უპირატესი/უკეთესი?
- ხომ არ თვლის რომელიმე მხარე, რომ მეორემ მას უნდა დაუთმოს, რადგან ის რაღაცით მასზე ნაკლებია, უარესია?
- თუ გახსენდებათ ასეთი შემთხვევა კაცობრიობის ისტორიიდან? (თუ თვითონ არ გაახსენდებათ, შევახსენოთ ფაშიზმი, ანტისემიტიზმი, აპარტეიდი)
- რამდენად შესაძლებელია, თქვენზე მოახდინოს გავლენა სხვების აზრებმა და თქვენ გახდეთ „მოძალადე“?

II ეტაპი. ცოდნის კონსტრუირება

მონაწილეებს ვეუბნებით, რომ გავაცნობთ და ვაჩვენებთ ცნობილ სასწავლო ექსპერიმენტს, რომელიც თავის მესამე კლასელ მოსწავლეებთან ჩაატარა პედაგოგმა ჯეინ ელიოტმა. მოკლედ ვუხსნით ექსპერიმენტის წინა პირობას.

ჯეინ ელიოტი - ამერიკელი სკოლის მასწავლებელი, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც ფაშიზმთან ანტისემიტიზმთან და ლგბტ უფლებების დამცველთა აქტივისტი. მან შეიმუშავა ცნობილი სავარჯიშო „ციფერთვალები/ყავისფერთვალები“, რომელიც პირველად ჩაატარა მე-3 კლასის მოსწავლეებთან 1968 წლის 5 აპრილს, მარტინ ლუთერკინგის მკვლელობის მეორე დღეს. სვარჯიშოს მიზანი იყო, რომ შეეგრძნოთ მის მოსწავლეებს უმცირესობაში ყოფნის განცდა. ეს სავარჯიშო და შემდეგ მის შესახებ

პოლემიკა ასახულია დოკუმენტურ ფილმებში «Eye of the Storm» (1970) და «A Class Divided» (1985). ელიოტის შრომამ საფუძველი ჩაუყარა მის კარიერას და „მრავალფეროვნების სწავლებას“ და აღინიშნა უამრავი ჯილდოთი, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაციის ჯილდოთი „განსაკუთრებული მიღწევებისთვის განათლების სფეროში“.

(საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა დამატებით გამოიყენოთ ექსპერიმენტის წერილობითი შინაარსი, თუმცა მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა ნახონ ეს ექსპერიმენტი!)

მონაწილეებს ვთხოვოთ, ამ დოკუმენტური კადრების ყურების პროცესში, იფიქრონ დისკრიმინაციასა და სტერეოტიპებს შორის შესაძლო კავშირზე და ვაჩვენებთ ექსპერიმენტს.

ფილმის ნახვის შემდეგ თხოვეთ მონაწილეებს, გამოთქვან თავიანთი აზრი საკითხებზე:

- როგორ ფიქრობთ, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ მოსწავლეებს ექსპერიმენტამდე?
- იცოდნენ თუ არა მოსწავლეებმა, რომ ეს იყო ექსპერიმენტი?
- თქვენი აზრით, შეიცვალა თუ არა მათი ქცევა? რა შეიცვალა?
- რატომ დარჩა სათვალე მეორე დღეს ერთ მოსწავლეს?
- რამდენად იქონია გავლენა ექსპერიმენტმა გაკვეთილზე მათ სასწავლო შედეგზე?
- რატომ გამოიწვია ექსპერიმენტმა ეს ცვლილებები მოსწავლეებში?
- რა მოხდება, მსგავსი ექსპერიმენტი ერთ კლასში კი არა, უფრო ფართო მასშტაბით რომ ჩატარდეს?
- ეს ექსპერიმენტი მესამე კლასელებთან ჩატარდა. თქვენი აზრით, თუ იქნება იგივე შედეგები უფროსებთანაც? (მსგავსი ექსპერიმენტები მსგავსი შედეგებით არის ჩატარებული უფროსებთანაც. დაინტერესებულებს შეგიძლიათ შეთავაზოთ ნახონ ცნობილი ფსიქოლოგის ფილიპ ზიმბარდოს გახმაურებული ექსპერიმენტის მიხედვით გადაღებული ფილმი „ექსპრიმენტი“[2], ან ფილმი „ექსპრიმენტი 2: ტალღა“[3],
- რა კავშირშია ეს ფილმი და ექსპერიმენტი ჩვენი მეცადინეობის მიზანთან და დისკრიმინაციასთან?

მონაწილეებს გააცანით ძალადობის პირამიდა (ნახ.1)



ნახატი 1. ძალადობის პირამიდა

პირველი საფეხური: ზიზღთან მიახლოებული აქტები - იარლიყები, ხუმრობები, ჭორები, გრძნობების განხილვა თანამოაზრეებთან ერთად, უარყოფითი ინფორმაციის მიღება, დადებითი ინფორმაციის იგნორირება, გულგრილობის დემონსტრირება.

მეორე საფეხური: წინა განსჯისა და შეუწყნარებლობის აქტები - განტევების ვაცის ძებნა/მისი გამოყოფა, დაცინვა, სოციალური იზოლაცია, დეჰუმანიზაცია.

მესამე საფეხური: დისკრიმინაციის აქტები - სექსუალური შევიწროვება, დისკრიმინაცია სამუშაოზე მიღებისას, საზოგადოებისგან მოკვეთა , დისკრიმინაცია ოჯახში, დისკრიმინაცია განათლების სფეროში.

მნიშვნელოვანია, რომ დისკრიმინაციის შემდეგი საფეხური არის ძალადობა და შემდეგ უკვე გენოციდი.

III ეტაპი. რეფლექსია

კითხეთ მონაწილეებს, რა დასკვნები გამოიტანეს ჩვენი დღევანდელი მეცადინეობიდან?

დასკვნები სასურველია დაიწეროს ფლიფჩარტზე ან დაფაზე, რომ გამოვიყენოთ შემდეგ მეცადინეობაზე. თუ მონაწილეებს გამორჩათ, თქვენ შეახსენეთ წინა განსჯის და

იარლიყების როლი დისკრიმანაციის პროცესში და შესაბამისი ფაქტები კაცობრიობის ისტორიიდან (ფაშიზმი, ანტისემიტიზმი, გენდერული უთანასწორობა, რასიზმი და ა.შ)

ნაწილი 2

I ეტაპი. გამოწვევა (პროვოცირება)

მონაწილეებს ვახსენებთ მეცადინეობის მიზნებს, რომელიც გავაცანით წინა შეხვედრაზე და ვთხოვთ, გაიხსენონ, რას ნიშნავს „სტერეოტიპი“ და „დისკრიმინაცია“. ასევე, ვთხოვთ, გაიხსენონ, რა დასკვნები გაკეთდა მეცადინეობის შეჯამებისას. ეს დასკვნები შესაძლოა გვქონდეს თვალსაჩინოდ გამოკრული, თუ კი წინა მეცადინეობის შემდეგ იმდენი დრო გავიდა, რომ შესაძლოა კარგად არ ახსოვდეთ.

II ეტაპი. ცოდნის კონსტრუირება

მონაწილეებს ვყოფთ 4-6 კაციან ჯგუფებად ჩვენთვის სასურველი ნებისმიერი მეთოდით (გათვლით, ფერადი ბარათებით ან სხვ). გასათვალისწინებელია, რომ უმჯობესია 4 კაციანი ჯგუფი, თუმცა მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით, შესაძლოა ამით მეტი დრო დაგვეხარჯოს სავარჯიშოს შესასრულებლად.

მას შემდეგ, რაც ჯგუფებმა დაიკავეს ცალ-ცალკე ადგილები ოთახში, ვუხსნით, რომ დღევანდელი სავარჯიშოს სახელია „დეტექტივობანა“ და შესაბამისად, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს დეტექტივების დამოუკიდებელ გუნდს. ისინი ერთგვარად ერთმანეთის კონკურენტებიც კი არიან, ამიტომ მუშობენ დამოუკიდებლად. დეტექტივების ამოცანაა, მოძებნონ პიროვნება მისი ნივთების მიხედვით და ამ ნივთების მიხედვით დაადგინონ ძებნილის რაც შეიძლება მეტი მახასიათებელი: სქესი, ასაკი, პროფესია, გარეგნობა, ინტერესები, ოჯახური თუ ფინანსური მდგომარეობა და ა.შ. შეუძლიათ ეს ნივთები აიღონ ხელში, საგულდაგულოდ დაათვალიერონ, ოღონდ შემდეგ ისევ უნდა დააბრუნონ, რადგან სხვა ჯგუფებმაც შეძლონ მათი დათვალიერება. გუნდებმა ნივთების მიხედვით უნდა იმსჯელონ არგუმენტებით და ამის შესაბამისად გააკეთონ დასკვნები ძებნილის მახასიათებლების შესახებ. თითოეულ ჯგუფს სამუშაოდ ეძლევა ერთი და იგივე დრო 20 ან 25 წთ. სასურველია, მას შემდეგ, რაც ექნებათ მონაცემები ძებნილის მახასიათებლების შესახებ, სადემონსტრაციოდ დახატონ მისი სავარაუდო პორტრეტიც.

დარწმუნდით, რომ მონაწილეებისთვის ინსტრუქცია გასაგებია და ამის შემდეგ ოთახის ცენტრში დააწყეთ „ძებნილის“ ნივთები. ნივთები აუცილებლად მოამზადეთ წინასწარ. ნივთები სასურველია იყოს ერთი და იგივე ადამიანის და სასაურველია, მონაწილეები მას იცნობდნენ. შესაძლოა ეს იყოს თვითონ პედაგოგის ნივთებიც. მათი რაოდენობა

საშუალოდ 5-7. მთავარია, იყოს ისეთი ნივთები, რაც შესაძლოა ადამიანს შემთხვევით თან ჰქონდეს და მათზე არ იყოს პატრონის შესახებ არანაირი მინიშნება, მაგ: შესაძლოა ეს იყო გასაღებების აცმა, კანფეტი, საღეჭი რეზინი, პატარა დანა-სუვენირი, ბრელოკი ან სულაც პატარა ნათურა (შესაძლოა ვინმემ ნიმუშისთვის თან წამოიღოს გადამწვარი ნათურა, რომ ისეთივე იყიდოს).

მუშაობის დროს მიდით ჯგუფებში და წაახალისეთ ისინი, რომ თითოეული ნივთის მიხედვით გააკეთონ დასკვნა მათი პატრონის შესახებ.

მსჯელობის და ნახატის დასრულების შემდეგ ჯგუფები სათითაოდ აკეთებენ პრეზენტაციას და წარმოადგენენ თავიანთ არგუმენტებსაც, როგორ გააკეთეს ესა თუ ის დასკვნა ნივთების მიხედვით.

პრეზენტაციების პარალელურად, სასურველია დაფაზე ან ფლიპჩარტზე გააკეთოთ შეჯამებები დასკვნების მიხედვით, მაგ: შესაძლო პროფესიები, ასაკი და ა.შ.

მოაწყეთ პორტრეტების თვალსაჩინო გამოფენაც.

ინსტრუქციის დაცვის შემთხვევაში აუცილებლად აღმოჩნდება, რომ „დეტექტივებმა“ გააკეთეს მკვეთრად განსხვავებული დასკვნები, მაგ, ზოგი ამტკიცებს, რომ ესაა ქალი, ზოგი კი - კაცი, ზოგი ამტკიცებს რომ მას აქვს დიაბეტი (ხშირად კანფეტის გამო აკეთებენ ამ დასკვნას) ან რომ მას ჰყავს მცირეწლოვანი შვილი ან უყვარს ბავშვები (ისევ კანფეტის გამო).

პრეზენტაციებს შესაძლოა თან ახლდეს ემოციური ან სახუმარო რეპლიკები. მიეცით მონაწილეებს ემოციების გამოხატვის საშუალება და შემდეგ დაუსვით შეკითხვები:

- როგორ გრძნობდით თავს დავალების შესრულების პროცესში?
- ხომ არ ქონდათ ჯგუფში რაიმე განსხვავებული დასკვნა, რომელიც საბოლოოდ არ დაფიქსირდა პრეზენტაციაში. ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ დაფაზე შემაჯამებელ დასკვნებში;
- რამდენად ადვილი/რთული იყო ნივთების მიხედვით მახასიათებლების მოძებნა?
- რამდენად მსგავსი შედეგები დადეს დეტექტივებმა?
- რამდენად შესაძლებელია, ამ დასკვნების მიხედვით ადამიანის ამოცნობა?
- რომელი ჯგუფის დასკვნებია ლოგიკური და მართალი?

ამის შემდეგ მონაწილეებს განუცხადეთ, რომ შეგიძლიათ გააცნოთ ეს ადამიანი და უთხარით, ვისია ეს ნივთები. მიეცით მონაწილეებს ემოციების გამოხატვის საშუალება და შემდეგ გადადით რეფლექსიაზე.

III ეტაპი. რეფლექსია

მონაწილეებს დაუსვით შეკითხვები:

- რატომ მოხდა, რომ ერთი და იგივე ნივთების მიხედვით გაკეთდა განსხვავებული დასკვნები?
- რა კავშირშია ეს სავარჯიშო სტერეოტიპებთან?
- რა სახის სტერეოტიპები არსებობს? (მიეხმარეთ მათ, შეძლონ სტერეოტიპების რანჟირება, მაგ: პროფესიასთან ან ეთნიკურობასთან დაკავშირებული, (პოლიტიკოსი - მატყუარა, ბალტიისპირელი - ნელი), გენდერული (ქალი - ცუდი მძღოლი), გარეგნობის (სათვალიანი - ჭკვიანი), ასაკობრივი (მოხუცები - კონსერვატორები);
- რატომ იქონია თქვენზე გავლენა სტერეოტიპებმა?
- რამდენად ახდენს გავლენას სტერეოტიპები ყოველდღიურ ცხოვრებაზე?
- რამდენად შესაძლოა, ადამიანი საკუთარი სურვილის გარეშე აღმოჩნდეს დისკრიმინაციის პირამიდის პირველ საფეხურზე? (შეახსენეთ წინა მაცადინეობაზე განხილული ძალადობის პირამიდა);
- რა შეიძლება იყოს ეფექტური სტატეგიები სტერეოტიპების ნეგატიური გავლენის დასაძლევად?

დასკვნები დააფიქსირეთ დაფაზე. წაახალისეთ მონაწილეები, შემოგთავაზონ კონკრეტული რეკომენდაციები, მაგ: სანამ ვინმეზე აზრი და დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდება, დავფიქრდეთ, ხომ არ ვართ სტერეოტიპების გავლენის ქვეშ;

- წინა და დღევანდელი მეცადინეობიდან გამომდინარე, რამდენად გაიზარდა თქვენი მგრძნობელობა განხილული საკითხების მიმართ?

მონაწილეებთან ერთად გაიხსენეთ ორივე სავარჯიშოს მიზნები და შეაჯამეთ, რამდენად მიაღწიეთ მათ.

წყარო

1. ჯეინ ელიოტის ექსპერიმენტი „ცისფერთვალები ყავისფერთვალების წინააღმდეგ“ Youtube: URL:https://www.youtube.com/watch?v=-IG0_lCuegE (თარიღი: 30.11.2017)
2. „ექსპერიმენტი» (ფილმი) Youtube : [ვებგვერდი]. URL: https://www.youtube.com/watch?v=ce8VSHilXMQ (თარიღი:: 10.10.2017).
3. „ექსპერიმენტი 2. ტალღა“(ფილმი) // Hdrezka : [ვებგვერდი]. URL: http://hdrezka.ag/films/foreign/2822-eksperiment-2-volna.html (თარიღი:: 10.10.2017).

დანართი

ჯეინ ელიოტის ექსპერიმენტის „ცისფერთვალები ყავისფერთვალების წინააღმდეგ“ შინაარსი

1 დღე. ცისფერთვალებიანები

გაკვეთილის დასაწყისში ელიოტმა სთხოვა შავკანიანებისა და ინდიელების აღწერა. "სულელი", "ზანგი", "ჩამორჩენილი" - დააყარეს მოსწავლეებმა რასისტული სტერეოტიპები. დარწმუნებული, რომ ტოლერანტობის ჩვეულებრივი გაკვეთილები არ იძლევა შედეგს, მან შესთავაზა თამაში. ბავშვები დათანხმდნენ.

ელიოტმა ბავშვებს უთხრა, რომ ცისფერთვალებიანები უკეთესი, უფრო ჭკვიანი, უფრო პატიოსნები არიან, ვიდრე ყავისფერთვალებიანები. პირველები მან გადასვა წინა მერხებზე, ხოლო მეორენი - უკანა. ცისფერთვალებიანებმა მიიღეს დამატებით 5 წუთი შესვენებისთვის, ლანჩის ორმაგი პორცია, მოედნით სარგებლობის უფლება და მასწავლებლის შექება. ყავისფერთვალებიანებს აკრძალული ჰქონდათ ლურჯთვალებიანებთან თამაში და სასმელი წყლის შადრევნის გამოყენება. ისინი, როგორც კეთროვანები, სვამდნენ ჭიქიდან და შესვენების დროს იდგნენ მოედნის განაპირას. გარდა ამისა, ყველა ყავისფერთვალას გაუკეთეს ფერადი საყელოები.

რამდენიმე საათის შემდეგ, კლასი გადაიქცა არსებული საზოგადოების მინიატურულ მოდელად. ლურჯთვალები დასცინოდნენ ყავისფერთვალებს, ეჩურჩულებოდნენ მათზე მასწავლებელს, ეჩხუბებოდნენ სკოლის მოედანზე. ყავისფერთვალები გახდნენ მორიდებული და გაუბედავები.

ყავისფერთვალას შთაბეჭდილებებიდან: "ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი დღე", "როცა ასე გეპყრობიან, ყველაფრის გაკეთების სურვილი გიქრება ", "ქალბატონმა ელიოტმა განაწყო ჩვენი საუკეთესო მეგობრები ჩვენს წინააღმდეგ".

მე-2 დღე. ყავისფერთვალებიანები

ელიოტმა განაცხადა, რომ იგი შეცდა და რომ ყავისფერთვალები არიან უკეთესნი, ვიდრე ლურჯთვალები. მან ყავისფერთვალებს დაავალა გაეკეთებინათ საყელოები ლურჯთვალებისთვის და მათაც სიხარულით გააკეთეს ეს. ჯგუფების ქცევა იყო სარკისებურად მსგავსი.

ლურჯთვალებიანების მოგონებებიდან: "მე ვიყავი,როგორც მოკლე საბამზე დაბმული ძაღლი", "მე თითქოს ციხეში ჩამსვეს", "მე არასოდეს მიგრძვნის თავი ასე სძაგლად".

ელიოტმა აღნიშნა მოსწავლეთა დამოკიდებულების კავშირი მათ სასწავლო შედეგთან. მესამე კლასის მოსწავლეები ასრულებდნენ დავალებას დროში. შედეგები:

- ლურჯთვალებიანები: პირველი დღე — 3 წუთი, მეორე დღე — 4 წუთი და 18 წამი;

- ყავისფერთვალებიანები: პირველი დღე — 5 წუთი, 30 წამი;მეორე დღე — 2 წუთი, 30 წამი;.

ამგვარად, მასწავლებლის კლასისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ზრდის მოსწავლეთა შედეგებს.

სასწავლო დღის დასასრულს ელიოტმა ნება დართო მოეხსნათ საყელოები და ერთად განიხილეს, რაც მოხდა. მოსწავლეებმა საკუთარ თავზე განიცადეს დისკრიმინაციის უსამართლობა და დესტრუქციულობა. ისინი მზად იყვნენ მიეღოთ სხვა რასისა და კულტურის წარმომადგენლები.

მეცადინეობა 4. როგორ ვისწავლოთ ტოლერანტობა

გადაწყვეტილების მიღების გზები, თავისუფლებასთან დაკავშირებული შეკითხვების შესაძლებლობები და სირთულეები (ბეცავტა)

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეები აცნობიერებენ საკუთარი მოთხოვნილებების განხილვის აუცილებლობას დავალების შესრულების წინ;
2) იღებენ თავიანთი პირველადი მოთხოვნილებების (მაგალითად, როდესაც ვინმეს სხვისი იდეა უფრო მოეწონება) შეცვლის გამოცდილებას;
3) იგებენ, რომ საკამათო სიტუაციები საწინააღმდეგო მოთხოვნილებებით დემოკრატიული გზებით შეიძლება გადაწყდეს სხვადასხვაგვარად (საწყისი პირობების კრეატიული ცვლილებები, კომპრომისი, გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობის მიერ);
4) რეალურ და წარმოსახვით კომპრომისს შორის განსხვავებაზე დაფიქრება;
5) იგებენ, რომ ზოგჯერ რეალური კომპრომისი ჰქმნის უფრო მეტი თავისუფლების შეგრძნებას;
6) იგებენ, რომ ადამიანები განსხვავებულად ღიქვამენ ერთსა და იმავე სიტუაციას;
7) იაზრებენ, რომ საწყისი პირობების კრიტიკულად გადახედვა შესაძლებელია, ზოგჯერ კი - აუცილებელი;
8) იაზრებენ, რომ მნიშვნელოვანია დეტალებზე ორიენტირება შედეგებზე ორიენტირების ნაცვლად;
9) იაზრებენ გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების შესაძლებლობებს;
10) კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების მაგალითზე მოსინჯავენ გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების 4 ნაბიჯიან მოდელს.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა

- გრძელი თოკი (მაგალითად, შესაფუთი თოკის ხვეულა);
- მაკრატლები;
- ქაღალდის ფურცლები ჩანიშვნებისთვის ყველა მონაწილისთვის (ალტერნატივის სახით - მომზადებული, სასურველია მონაწილეების მიერ დამოუკიდებლად გაფორმებული სასწავლო ბლოკნოტი);
- კალმები ყველა მონაწილისთვის;
- კომპლექტი შუქნიშნის ფერებიანი სამი ბარათით (წითელი, ყვითელი, მწვანე) ან „ღიმილაკების“ გამოსახულებით (☺, 😐, ☹);
- ფლიპჩარტის ქაღალდი და მარკერები ან სხვა მასალა პრეზენტაციებისთვის;
- მეცადინეობის მონაწილის სმახსოვრო (იხ. დანართი);
- გოგრა, საზამთრო, ფორთოხალი და სხვა, ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანის გამოსახულება.

საჭირო დრო: დაახლოებით 3 საათი

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/წამყვანს

ბეცავტას მეთოდი, (Betzavta ივრითიდან თარგმნილი ნიშნავს „ერთად“), შეიქმნა 1988 წელს იერუსალიმში დემოკრატიისა და მშვიდობის ინსტიტუტში დემოკრატიის, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებისათვის, ხოლო 1990-იან წლებში ადაპტირებულია მიუნხენის ლუდვიგისა და მაქსიმილიანის სახელობის გამოყენებითი პოლიტიკური კვლევების ცენტრის მიერ ბერტელსმანის ფონდის მხარდაჭერით გერმანიაში საგანმანათლებლო სამუშაოებისთვის. მეთოდი ეფუძნება ისეთ მოსაზრებებს, როგორიცაა თავისუფლება და თანაბარი უფლებები, რომლებიც განიხილება როგორც საზოგადოების მიზნებისთვის მისღები პოლიტიკური და სოციალური მიზნები. თავისებურება ძირითად დებულებაშია, რომ კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია ძალიან კრეატიული მეთოდებით, როდესაც პროცესში ჩართულები აღიარებენ, რომ ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება თავისუფალ განვითარებაზე. ბეცავტა ჰქმნის ნიადაგს ჯგუფური პროცესების ინტენსიური რეფლექსიისთვის, რაც უზრუნველყოფს პირად და ემოციურ დონეზე გასვლას.

ქვემოთ მოცემულია ორი სავარჯიშო, რომლებშიც წარმოდგენილია მეცადინეობის შესავალი და მუშაობის პირველი ნაბიჯები. სავარჯიშოები აღწერილია ნაბიჯ-ნაბიჯ, მნიშვნელოვანი შენიშვნებით. სავარჯიშო 2 რეკომენდირებულია ჩატარდეს ბოლოს, მეცადინეობის შედეგების შესაფასებლად, რომ განმტკიცდეს მასალა. ის შეიძლება ჩატარდეს მეცადინეობის დასაწყისშიც - თემისთვის მომზადებისა და შესავალის სახით. სავარჯიშოები შესაძლოა შესრულდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც ,უშუალოდ თითოეული სავარჯიშოს შემდეგ. სხვა სავარჯიშობი შეგიძლიათ იხილოთ მითითებულ

წყაროებში [1; 2; 4; 5]. მაღალი ემოციური დონის გამო არ არის რეკომენდირებული ერთ მეცადინეობაზე სამზე მეტი ასეთი სავარჯიშოს ჩატარება, რათა მონაწილეები არ გადაიტვირთონ და უზრუნველვყოთ მასალის გააზრებული გადამუშავება. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის დამოკიდებულია სამიზნე ჯგუფის გამოცდილებაზე და წამყვანმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს.

გარდა ამისა, მონაწილეებში სასწავლო პროცესის ღრმა ეფექტის მიღწევაზე პოზიტიურად მოქმედებს ის, რომ მეცადინეობის წამყვანები არიან ტოლერანტები, ქცევაში ხელმძღვანელობენ დემოკრატიული ფასეულობებით და ადამიანის უფლებებით, ასევე აღიარებენ, რომ ყველას აქვს თავისუფალი განვითარების თანაბარი უფლება. მოსამზადებლად რეკომენდირებულია შეძლებისდაგვარად მიიღოთ მონაწილეობა მსგავს სავარჯიშოებში. სხვა შემთხვევაში, სავარჯიშოების ჩატარებისას, იქნება საკმაოდ ბევრი თვითრეფლექსია, გახსნილობა და კრიტიკული თვითშეფასება.

სავაჯიშოების მომზადებისა და ჩატარებისას მნიშვნელოვანია თავი აარიდოთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „თამაში“, „თეატრი“, „ექსპერიმენტი“, „სიმულაცია“ და ა.შ. საუბარია რეალურ გამოცდილებაზე და მოცემულ სიტუაციაში ქცევაზე - წამყვანმა უნდა აარჩიოს შესაფერისი სიტყვები და ყურადღება მიაქციოს საკუთარ გამოთქმებს. ასევე, საჭიროა, რომ ზუსტად და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოს სიტუაცია და დავალება მონაწილეებისთვის, რათა თავი აარიდოს ზედმეტ განმარტებებს. როგორც გამოცდილება აჩვენებს, ერთი და იმავე ფორმულირების მიუხედავად, სიტუაციას შესაძლოა ჰქონდეს სრულიად განსხვავებული განვითარება.

რეკომენდებულია, სავარჯიშო ჩაატაროს ორმა, რაც შესაძლებლობას მიცემთ , რომ გადაინაწილონ მოვალეობები და გაიადვილონ დაკვირვების პროცესი. გულდასმით მომზადება და შეთანხმება მათ დაეხმარება გაუგებრობის თავიდან აცილებაში. რეფლექსია უნდა ჩატარდეს წრეში ისე, რომ ყველას ჰქონდეს აზრის გამოთქმის და ერთმანეთის მოსმენის თანაბარი შესაძლებლობები.

მეცადინეობის მსვლელობა

სავარჯიშო 1. თოკი (თავისუფლება)

შესავალი: პრინციპები: მეცადინეობის დასაწყისში, განსაკუთრებით თითოეული სავარჯოშოს წინ, ყველა მონაწილისთვის აუცილებელია ღიად, სრულად და დაწვრილებით შემდეგი პრინციპების ახსნა:

- მონაწილეობა - ნებაყოფლობითია;
- ჩვენ არ ვასრულებთ როლებს - ყველა რჩება იმად, ვინც არის;
- არ არის არაფერი სწორი და არასწორი;
- ყურადღების ცენტრშია გამოცდილება და არა ქცევის შეფასება;

- საუბარია არა კონკრეტული ადამიანების ხასიათზე, არამედ მოცემულ სიტუაციაში ქცევასა და ქცევით მოდელებზე, რომლებსაც ახორციელებს ადამიანი ამ პროცესში;
- ჩვენ ვართ თანასწორუფლებიანები, ჩვენი მოთხოვნილებები თანაბრად მნიშვნელოვანია.

რეკომენდებულია, ჩამოიწეროს ეს პრინციპები და გავაკრათ ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე (მაგ. ფლიპჩარტზე, დაფაზე ან პროექტორის საშუალებით გაუშვათ კედელზე). პრინციპების პრეზენტაციის შემდეგ საჭიროა მონაწილეებს დავუსვათ შეკითხვები, თუ როგორ გაიგეს ყოველივე და მათთან ერთად გავცეთ ამ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები. ამის შემდეგ იმ მონაწილეებს, ვისაც არ უნდა სავარჯიშოში მონაწილეობის მიღება, ღიად ვაძლევთ ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში ისინი უნდა გამოეთიშონ პროცესს და დაკავდნენ რაიმე სხვა საქმიანობით მათ შეუძლიათ იყვნენ დამკვირებლები, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ უნდა მიიღონ მონაწილეობა რეფლექსიაში და მხედველობაში ჰქონდეთ, რომ თავს ვერ აარიდებენ სავარჯიშოდან გამოცდილების მიღებას და შესაძლოა, მასთან დაკავშირებულ ემოციებსაც.

ნაბიჯი 1. წამყვანი ყველა მონაწილეს ურიგებს ქაღალდის ფურცელს ჩანიშვნებისთვის და კალამს;

ნაბიჯი 2. მონაწილეებს თხოვენ, ფურცელზე დაერონ პასუხი შეკითხვაზე (მათ ამისთვის აქვთ 4 წუთი):

- რას გააკეთებდით, ახლა რომ ათწუთიანი შესვენება გქონდეთ?

ნაბიჯი 3. ამის შემდეგ მონაწილეებს თხოვენ, შეინახონ ფურცლები ჯიბეში ,ან გადადონ გვერდით ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სავარჯიშოს მსვლელობას.

ნაბიჯი 4. თითოეულ მონაწილეს თხოვენ, მოიჭრან თოკის ხვეულიდან ნებისმიერი ზომის თოკი და მისი ერთი ბოლო მიიბან სხეულზე;

ნაბიჯი 5. ამის შემდეგ მონაწილეებს თხოვენ, რომ გაერთიანდნენ 4-5 კაციან ჯგუფებში და გადაებან თოკებით ერთმანეთს. მცირე ჯგუფებში (არა უმეტეს 10-15 კაცისა) შეუძლია ყველა მონაწილეს, გადაებას ერთმანეთს;

ნაბიჯი 6. წამყვანი აცხადებს შესვენებას და თხოვს ყველა მონაწილეს, 10 წუთის შემდეგ დაუბრუნდეს მითითებულ ადგილს;

ნაბიჯი 7. წამყვანები ეთიშებიან პროცესს და ყურადღებით აკვირდებიან, საჭიროების შემთხვევაში აკეთებენ კომენტარებს ნეგატიური შინაარსის გარეშე. გამოცხადებული პრინციპები მოქმედებს მათთვისაც. ამიტომ მათ არ უნდა შეასრულონ როლები და უნდა დარჩნენ იმად, ვინც არიან . მათ შეუძლიათ გამოეხმაურონ შეკითხვებს და კომენტარებს, მაგრამ რეკომენდაციაა, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამოეთიშონ პროცესს, რათა

რაც შეიძლება ნაკლები გავლენა მოახდინონ მასზე. რეკომენდებულია, ჩაინიშნონ უჩვეულო ქცევის შემთხვევები მოქმედი პირების სახელების მითითებით, ზუსტად დააფიქსირონ სიტუაცია და დააკვირდნენ მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობის რეაქციას. 10 წუთის შემდეგ წამყვანი აცხადებს, რომ შესვენება დასრულდა და თხოვს ყველას შეიკრიბოს ერთად. მონაწილეებს შეიძლება დაჭირდეთ ცოტა დრო, რომ სული მოითქვან რეფლექსიის დაწყებამდე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ატმოსფერო იყო დაძაბული.

რეფლექსია. შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ თითოეული მონაწილე იღებს ბარათებს შუქნიშნის სამი ფერით (წითელი, ყვითელი, მწვანე) და მათ თხოვენ, თავიანთ წინ დაიდონ იმ ფერის ბარათი, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება მათ განწყობილებას ამ მომენტისთვის (ამასთან, წითელი აღნიშნავს, მაგალითად, ცუდ განწყობილებას, ყვთელი - ნეიტრალურს, მწვანე - კარგს). საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მონაწილეებს მიეცეთ შესაძლებლობა, მოკლე კომენტარი გააკეთონ არჩეული ბარათის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ბარათებთან დაბრუნება მოგვიანებით, რეფლექსიის დროს.

შემდეგ მონაწილეებს თხოვენ, ინდივიდუალურად უპასუხონ შეკითხვებს და საკუთარი აზრები დაწერონ ქაღალდის ფურცლებზე:

1. ვინ იყო თქვენს ჯგუფში ყველაზე თავისუფალი?
2. რამდენი პროცენტით დაკმაყოფილდა თქვენი მოთხოვნილებები?
3. თუ წახვედით კომპრომისზე? ეს რეალური კომპრომისი იყო თუ წარმოსახვითი?
4. თუ თქვენ შეიხსენით თოკი, რატომ გააკეთეთ ეს?
5. თუ თქვენ არ შეიხსენით თოკი, რატომ არ გააკეთეთ ეს?
6. რატომ არ მოითხოვეთ შესვენების გახანგრძლივება? შეკითხვების სია შეიძლება შეავსოთ ან შეცვალოთ ჯგუფისა და სიტუაციის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეკითხვების ადაპტირება. შესაძლებლობის მიხედვით, უმჯობესია, პასუხები დაწეროთ და განათავსოთ ისე, რომ ყველა ხედავდეს.

ამის შემდეგ რიგრიგობით განიხილება ყველა შეკითხვა. შემდეგი საუბარი მონაწილეებიდან წამოსულ თემებსა და გამონათქვამებზე (იხ. ქვემოთ „განვითარების შესაძლო ვარიანტები“)

რეფლექსიის ბოლოს რეკომენდებულიაჰკითხოთ ყველა მონაწილეს:

- როგორ თვლით, რამდენად დემოკრატიულად იქცეოდით ერთმანეთთან ურთიერთობისას შესვენების დროს?

მოვლენების განვითარების შესაძლო ვარიანტები

ვარიანტი 1. მონაწილეები ცდილობენ, თოკის მოსხნის გარეშე შეასრულონ თითოეულის სურვილი. ასეთ შემთხვევაში რეფლექსიის დროს ჯობია დასვათ შემდეგი შეკითხვები:

- სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს პირადი თავისუფლების შეზღუდვამ?

შეიძლება ისე მოხდეს, რომ მონაწილეებმა დაინახონ პოზიტივი იმაში, რომ ჰქონდათ დროის ერთად გატარების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში ჯობია ჰკითხოთ:

- თუ იყო ვინმეს თავისუფლება იმდენად შეზღუდული, რომ პირად მოთხოვნილებებს აღარ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა და შეუძლებელი იყო მათი დაკმაყოფილება?

თუ ვინმესთან იყო ასეთი შემთხვევა, ჯობია ჰკითხოთ:

- ვინ თქვა, რომ შესვენების დროს უნდა დარჩენილიყავით გადაბმულები?

მოვლენების ასე განვითარებისას რეფლექსიის ცენტრალური ასპექტი შეიძლება გახდეს პირადი და სხვების თავისუფლების გაგება.

ვარიანტი 2. მონაწილეები მალე გამოეხსნებიან ერთმანეთს და შესვენებას ატარებენ ისე, როგორც თვითონ უნდათ. ასეთ შემთხვევაში ძალიან საინტერესო იქნება გაარკვიოთ მათი ქცევის მიზეზები:

- ასე იმიტომ მოიქეცით, რომ განსხვავებული ინტერესები გქონდათ თუ უბრალოდ, არ გქონდათ მოტივაცია, რომ ერთად დარჩენილიყავით?
- თუ იყო ისეთი მოთხოვნილებები, რომლების დაკმაყოფილებაც მხოლოდ დამოუკიდებლად შეიძლება?
- რა უპირატესობას და ნაკლს ხედავთ იმაში, რომ ჯგუფის წევრები გამოეხსენით ერთმანეთს?
- თუ არსებობს ამ სიტუაციის ალტერნატიული განვითარების შესაძლებლობები?

ასევე, შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს პასუხები შეკითხვაზე:

- რა კონფლიქტმა მიგიყვანათ თოკების შემოხსნამდე?

ვარიანტი 3. ზოგიერთი მონაწილე იხსნის თოკს, ზოგი რჩება გადაბმული. არსებობს შესვენების დროს ქცევის განსხვავებული შესაძლებლობები. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა განსაკუთრებით კარგად დამუშავდეს განსხვავებული მოთხოვნილებების, როგორც განსხვავებული ქცევის მიზეზების თემა. ამისთვის საჭიროა ერთმანეთს დავუპირისპიროთ გამოცდილება, სხვადასხვა მონაწილის განსხვავებული აზრები და შთაბეჭდილებები, რომლებიც დარჩნენ გადაბმულები ან გამოეხსნენ დანარჩენებს:

- რამდენად კმაყოფილი იყავით საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით?

- რამდენად იყავით მზად, წასულიყავით კომპრომისზე და მსხვერპლად გაგეღოთ საკუთარი მოთხოვნილებები?
- რამდენად სასარგებლო იყო კომპრომისი?

რეფლექსიის სხვა თემა შეიძლება იყოს წინასწარი ვარაუდები და/ან წარმოსახვითი შეზღუდვები:

- ვინ თქვა, რომ შესვენების დროს მონაწილეები უნდა დარჩენილიყვენენ გადაბმულები?
- ვის ჰქონდა მეტი თავისუფლება: მათ, ვისაც ყველაზე მოკლე თოკი ქონჰდათ, თუ ვისაც ყველაზე გრძელი თოკი?

ნათელი ხდება, რომ თითოეულისთვის შეიძლება თავისუფლებას ჰქონდეს განსხვავებული მნიშვნელობა. ეს გამსაკუთრებით ყურადსაღებია, როდესაც ჯგუფს ჰქონდა ერთობლივი დავალება, ან საკამათო შეკითვები, ან ვერ შეძლეს კონფლიქტის გადაჭრა. ამასთან დაკავშირებული შეკითხვები რეფლექსიისთვის:

- რას ნიშნავს თითოეული თქვენგანისთვის თავისუფლება?

სავარჯიშო 2. გადაწყვეტილების მიღება დემოკრატიულად

შესავალი: საწყისი სიტუაცია: ძალიან ხშრად ადამიანები, ჩვეულების მიხედვით, მოითხოვენ სწრაფ და მათი აზრით, მაქსიმალურად სამართლიან გადაწყვეტილებას და ვერ ამჩნევენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ზოგიერთი მონაწილის მოთხოვნილებები საერთოდ არაა გათვალისწინებული.

წამყვანი ეკითხება მონაწილეებს:

- გამოცდილება გაქვთ გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღებაში?

ეს შეკითხვა შეიძლება დავუკავშიროთ მთლიან ცხოვრებილეულ გამოცდილებას, ან უფრო კონკრეტულად, ამ მიმდინარე მეცადინეობას,ან უშუალოდ წინა სავარჯიშოებს. ინდივიდუალური პასუხები, დიდი ალბათობით, შეიძლება შეჯამდეს შემდეგ პუნქტებში (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1

ქცევის დემოკრატიული სახე ტიპურ სიტუაციებში

№	საწყისი სიტუაცია	ქცევის დემოკრატიული სახე
1	ხშირად გადაწყვეტილება მიიღება დაუსაბუთებელ მონაცემებზე დაყრდნობით.	იმის აღიარება, რომ ყველას გააჩნია თავისუფალი განვითარების თანაბარი უფლება, არის მთავარი პრინციპი, რომელიც იძლევა როგორც პიროვნების, ისე

		საზოგადოების განვითარების შესაძლებლობას.
2	ქცევის დემოკრატიულ სახეში გულისხმობენ კომპრომისზე წასვლის მზაობას და გადაწყვეტილების მიღებას უმრავლესობით.	გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღებისას მნიშვნელოვანია არ ამხოლოდ შედეგი, არამედ თვითონ პროცესიც.
3	პრობლემის გადაჭრა ხშირად მიმართულია შედეგზე და არა მოთხოვნილებებზე	დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად მოქცევა - გულისხმობს გადაწყვეტილების ძებნას, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მონაწილეთა მოთხოვნილებებს

მომზადება: წამყვანი დებს გოგრას (ალტერნატივად შეიძლება გამოიყენოთ ნესვი, ფორთოხალი და ა.შ. ან თუნდაც ერთ-ერთის გამოსახულება) ჯგუფის წინ და გამოყოფს ამ სავარჯიშოსთვის ნებისმიერ სამ მონაწილეს, რომლებმაც, ლეგენდის მიხედვით, იპოვეს ეს გოგრა. იწყება საუბარი მთელ ჯგუფთან გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების 4 ნაბიჯის შესახებ:

- როგორ მოვიქცეთ?

ნაბიჯი 1. თუ არის კონფლიქტი? რა მოთხოვნებია? ზოგიერთი მონაწილე, როგორც წესი, გვთავაზობს გაიყოს გოგრა 3 თანაბარ ნაწილად. წამყვანი ეკითხება:

- ყველა ეთანხმებით ამ გადაწყვეტილებას?

ძალიან ხშირად ამ მომენტში იწყებენ მონაწილეები პირველად დაეჭვებას. წამყვანმა უნდა გამოავლინოს ის, მაგალითად, შემდეგი შეკითხვით:

- საიდან იცით, რა უნდა იმ სამს, ვინც გოგრა იპოვა?

აქ საჭიროა შემდეგი აზრის განმტკიცება:

➔ გოგრის შემთხვევაში შესაძლებელია, მის რომელიმე მპოვნელს უნდოდეს მხოლოდ მისი რბილობი სუპის მოსამზადებლად, მეორეს - თესლები მოსახალად , მესამეს კი - მხოლოდ ქერქი ჰელოუინისთვის. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გოგრის ისე გაყოფა, რომ კმაყოფილი იქნება მიღებული გადაწყვეტილებით.

ნაბიჯი 2. საწყისი პირობების კრეატიული ცვლილება

წამყვანი კითხულობს:

- როგორ მოვიქცეთ, თუ სამივეს უნდა რბილობი?

ასეთ შემთხვევაში მონაწილეები ხშირად გვთავაზობენ, გაიყოს გოგრის რბილობი სამ თანაბარ ნაწილად.

- არის თუ არა ეს ოპტიმალური ვარიანტი თუ ეს აზრი გაჩნდა გარკვეული წინასწარი მოსაზრებებისგან?

მოსაზრებების და მათი უარყოფის მაგალითები:

➔ ყველასთვის არის მხოლოდ ერთი გოგრა.

➔ უარყოფა: იქნებ შეიძლება კიდევ ორი გოგრის შოვნა

თუ ეს შესაძლებელია, მაშინ პრობლემა მოხსნილია. თუ არა, შესაძლებელია შემდეგი მოსაზრებები:

➔ თანხა მხოლოდ ერთი გოგრისთვისაა საკმარისი

➔ უარყოფა: შესაძლოა, არის საკმარისი თანხა კიდევ ორი გოგრის შესაძენად

თუ ეს შესაძლებელია, მაშინ პრობლემა მოხსნილია. თუ არა, შესაძლებელია შემდეგი მოსაზრებები:

➔ სამივეს გოგრა ჭირდება ერთდროულად

➔ უარყოფა: შესაძლოა, მხოლოდ ერთ მათგანს ჭირდება გოგრა სწორედ ახლა, დანარჩენებს კი - მოგვიანებით.

ეს მაგალითები აჩვენებს, როგორ ხდება „სწორი“ გადაწყვეტილებების მიღება შეცდომით, გამოუხატავი ნაადრევი მოსაზრებებიდან. ამ გზით ხშირად მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც, ერთი შეხედვით, მიღებულია დემოკრატიულად. რა თქმა უნდა, ისინი ხშირად არ აკმაყოფილებს მონაწილეებს, რადგან ეს გადაწყვეტილებები არ ითვალისწინებს მათ რეალურ მოთხოვნილებებს. ხშირად ასეთი გადაწყვეტილებები იწვევს კონფლიქტებს.

ნაბიჯი 3. კომპრომისი, როგორც პროცესის ყველა მონაწილის თანაბარი შეზღუდვა.

წამყვანი თავაზობს,(თუ ეს მოსაზრება რომელიმე მონაწილემ წამოაყენა, წამყვანი აიტაცებს მის წინადადებას), ამოვიდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ სამივეს გოგრა ჭირდება ერთდროულად. ამ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებაა:

➔ გაიყოს გოგრა სამ თანაბარ ნაწილად.

ამ სიტუაციაში ეს გადაწყვეტილება ყველას დააკმაყოფილებდა.

ნაბიჯი 4. გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობით

წამყვანი თავაზობს სიტუაციას:

- რა მოხდება,თუ სასურველი ობიექტის გაყოფა/დანაწილება შეუძლებელია, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ველოსიპედს?

ასეთ სიტუაციაში მონაწილეები ხშირად გვთავაზობენ, ისარგებლონ ველოსიპედით რიგრიგობით. ან და იმის გადასაწყვეტად, ვის უფრო მეტად ჭირდება, ეკითხებიან ველოსიპედით დაინტერესებულებს, რისთვის უნდათ ველოსიპედი.

წამყვანი ეკითხება ყველა მონაწილეს:

- თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ სიტუაცია თქვენი ცხოვრებიდან, როდესაც უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება იყო ოპტიმალური?
  - ➔ კომპრომისი და გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობით არის მხოლოდ მე-3 და მე-4 ნაბიჯი გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების გზაზე. თუმცა, მათ აქვთ აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი ორი ნაბიჯით ვერ მოხერხდა კონფლიქტის გადაჭრა.

5 *ნაბიჯი 5. მუშაობა მცირე ჯგუფებში.* მონაწილეები ქმნიან, მაგალითად, 4-5 კაციან, მცირე ჯგუფებს. ეს რიცხვი შეიძლება შეიცვალოს მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით.

ნაბიჯი 6 . სიტუაცია ცხოვრებიდან. წამყვანი სთხოვს მონაწილეებს, გაიხსენონ 2 პრობლემური სიტუაცია ცხოვრებიდან, რომელთა დარეგულირებაც მოხერხდა გადაწყვეტილების უმრავლესობით მიღების გზით. მონაწილეები იღებენ ფურცლებს და სამახსოვროებს ჯგუფებში სამუშაოდ (იხ. დანართი). მინი ჯგუფებში მონაწილეები განიხილავენ სიტუაციებს და მათთან დაკავშირებულ ნაადრევ მოსაზრებებს. ამის შემდეგ მათ სავაზობენ, იპოვონ ამ პრობლემების კრეატიული გადაწყვეტა. თუ მეცადინეობის დროს ჯგუფში აღმოცენდება საკამათო ან კონფლიქტური სიტუაცია, რეკომენდებულია მათი გამოყენება.

რეფლექსია. მონაწილეები ყოველ მინი ჯგუფში ირჩევენ 1-2 მაგალითს მთელი ჯგუფის წინაშე წარსადგენად. შემდეგი დისკუსია უნდა უკავშირდებოდეს მონაწილეთა გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების 4 ნაბიჯთან. შეკითხვები:

- რით იყო სასარგებლო კონფლიქტური სიტუაციების განხილვა?
- თუ შეძელით ისეთი მოსაზრებების წამოყენება, რომლებმაც განტვირთა კონფლიქტური სიტუაცია?
- რა შემთხვევებში უნდა დაკმაყოფილებულიყავით უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით?
- რის საფუძველზე მივიდა ჯგუფი ასეთ გადაწყვეტილებამდე?

- განიხილებოდა თუ არა ჯგუფში პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტები, თუ გადაწყვეტილების მიღება უმრავლესობით იყო ერთადერთი შესაძლებლობა ამ შემთხვევაში?
- რამდენად გამოიყენება გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების მეთოდი რეალობაში?
- რომელი შეკითხვები დარჩა ღია?

დასკვნა: ზოგჯერ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ატარებენ კეთილსინდისიერად და სრულად, გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების 4 ნაბიჯის საშუალებითაც მიდიან იგივე შედეგებამდე, როგორიც ეს იქნებოდა გადაწყვეტილების მაშინვე უმრავლესობით მიღებისას. ხშირად ეს მეთოდი უაზრო და არაეფექტური ჩანს. მისი მიზანშეწონილობის გასაგებად სასარგებლოა წარმოვიდგინოთ თავი მათ ადგილზე, ვინც კენჭის ყრისას უმცირესობაში აღმოჩნდა, (ან გავიხსენოთ მსგავსი სიტუაცია). უმრავლესობის გულწრფელი სურვილი, მოისმინოს ყველას საჭიროება (1 ნაბიჯი გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღებისას) და პატიოსანი სწრაფვა მიაგნოს ერთობლივ გადაწყვეტილებას, (მე-2 ნაბიჯი გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღებისას) მნიშვნელოვნად ზრდის უმრავლესობის მოსაზრების აღიარების დონეს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირადი მოსაზრება არ ემთხვეოდა, ან ახლაც არ ემთხვევა ამ გადაწყვეტილებას. ეს არბილებს შესაძლო კონფლიქტს საზოგადოებაში და აუმჯობესებს ყველა მონაწილის მიერ სიტუაციის და ერთმანეთის გაგებას.



*P. S.*თუ ნამდვილი გოგრა გაქვთ (ან სხვა მსგავსი რამ), მეცადინეობის ბოლოს თვალსაჩინო მაგალითის სახით შეიძლება მართლა გაყოთ ეს გოგრა და დაამუშაოთ ყველა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს (იხ. სავარჯიშო 2)

წყარო

1. ტრენერი. ჯგუფი. სემინარი: ახალგაზრდების განათლების სხვა გზა.ბერლინი : MitOst e. V. 21, 2009. URL: http://mitost.org/editions/trenergrupaseminar.html (თარიღი:10.10.2017).
2. Betzavta : [ვებგვერდი]. URL: http://www.betzavta.de/ (თარიღი: 10.10.2017).
3. Brainstorming // Wikipedia :[ვებგვერდი]. URL: https://de.wikipedia.org/wiki/Brainstorming (თარიღი: 10.10.2017).
4. Seminarkonzept „Betzavta/Miteinander“ // Akademie Führung & Kompetenz : [ვებგვერდი]. URL: http://www.cap-lmu.de/akademie/praxisprogramme/betzavta-miteinander/ (თარიღი: 10.10.2017).
5. The Adam Institute for Democracy &Peace :[ვებგვერდი]URL: http://www.adaminstitute.org.il/ (თარიღი: 10.10.2017).

დანართი

მეცადინეობის მონაწილის სამახსოვრო

ინდივიდუალური მუშაობა

გთხოვთ, გაიხსენოთ 1-2 პრობლემური სიტუაცია თქვენი ცხოვრებიდან, რომლებიც გადაიზარდა კონფლიქტში და რომელიც დარეგულირდა გადაწყვეტილების უმრავლესობის მიღების გზით. დასახმარებლად შეგიძლიათ ჩაიწეროთ საკვანძო სიტყვები. მაგალითები დაგეხმარებათ შემდგომში მინი ჯგუფებში მუშაობისას.

მინი ჯგუფებში მუშაობა

განიხილეთ თქვენს მინი ჯგუფში კონფლიქტური სიტუაციების შესაძლო მოგვარება „გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების 4 ნაბიჯის“ მოდელის საშუალებით. აირჩიეთ 1 ან 2 სიტუაცია, რომელსაც წარუდგენთ მთელ ჯგუფს.

ნაბიჯი 1. აქვს თუ არა ადგილი კონფლიქტს? ნამდვილად შეუთავსებელია კონფლიქტის მხარეების საჭიროებები? თუ კი, მაშინ...

ნაბიჯი 2. აქვს თუ არა ადგილი დაუსაბუთებელ ნაადრევ მოსაზრებებს და ნამდვილად არ არის ალტერნატიული გადაწყვეტილებები (საწყისი სიტუაციის კრეატიული შეცვლა)? თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ....

ნაბიჯი 3. პროცესის ყველა მონაწილის თანაბარი შეზღუდვა (კომპრომისი). თუ ეს შესაძლებელია, მაშინ....

ნაბიჯი 4. გადაწყვეტილებას იღებს უმრავლესობა, ამასთანავე, საჭიროა მათი რიცხვის მინიმუმამდე დაყვანა, ვისი ინტერესებიც არ იქნება გათვალისწინებული.

მეცადინეობა 5. უნდა ვითვალისწინებდეთ თუ არა მორალურ და პოლიტიკურ მოსაზრებებს ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების შეძენისას?

მეცადინეობის მიზნები:

1) იმის გაგება, რომ ზოგი ადამიანი საქონლის ან მომსახურების შეძენისას ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ მის ხარისხსა და ფასს, არამედ ითვალისწინებს მორალურ და ეთიკურ მოსაზრებებსაც; ასეთი ქცევის მაგალითების გაცნობა;
2) მცირე ჯგუფში გააწყვეტილების მიღების უნარის გავარჯიშება.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- დაბეჭდილი იმდენი ქეისი (იხ. დანართი), რამდენი მონაწილეცაა;
- ქაღალდი კენჭისყრისთვის ჯგუფების დასაყოფად.

მეცადინეობის მსვლელობა

I ეტაპი. შესავალი

თანამედროვე სამყაროში ადამიანები სულ უფრო და უფრო ხშირად აქცევენ ყურადღებას მორალურ და პოლიტიკურ არგუმენტებს, როდესაც ყიდულობენ , ან ყიდიან საქონელს , ან მომსახურებას. ალბათ მოგისმენიათ მოწოდება, შეიძინოთ მხოლოდ სამამულო წარმოების საქონელი, ან არ შეიძინოთ ამა თუ იმ ქვეყანაში სავარაუდოდ, მონური შრომით წარმოებული პროდუქცია, არ შეიძინოთ იმ კომპანიების საქონელი, რომლებიც ნამდვილ ბეწვს ან ტყავს იყენებენ, ცხოველებზე ტესტირებული კოსმეტიკა და ა.შ.

გონებრივი იერიშის შემდეგ მონაწილეებმა შეიძლება მოიყვანონ მაგალითები, როდესაც თვითონ კომპანიები აკეთებენ განაცხადს ამა თუ იმ ღირებულებაზე, რომელსაც ემხრობიან. ტრადიციულად „Coca-Cola“ არჩევნებზე აშშ-ში მხარს უჭერს რესპუბლიკურ პარტიას და მის კანდიდატებს, „Pepsi-Cola“ კი - მათ კონკურენტებს დემოკრატიული პარტიიდან. „Nike“ იღებს ვირუსულ რგოლებს, რომლებიც პროპაგანდას უწევს ფემინიზმის იდეას. უფრო ცნობილია შემთხვევები, როცა ხალხი ბოიკოტს უცხადებს ამა

თუ იმ საქონლის ან მომსახურების შეძენას. კომპანია „Hugo Boss“ კერავდა ფორმას ფაშისტური გერმანიის არმიისთვის, „Nestle“ „სვამდა“ აფრიკელ ჩვილ ბავშვებს თავის რძეზე, რის გამოც ბავშვები აღარ იღებდნენ სასარგებლო დედის რძეს. ზოგირთი საპარიკმახერო პრინციპულად არ ემსახურება ქალებს. „Евросети“-ის კრეატიულმა დირექტორმა განაცხადა, რომ გეებს „ცოცხლად შეტენიდა ღუმელში“. სამყაროში ბევრი საბაბია ბოიკოტისათვის.

II ეტაპი. ქეისებზე მუშაობა

დაყავით მონაწილეები 4-5 კაციან ჯგუფებად. ჯგუფების ნახევარს დაურიგეთ ქეისი 1, მეორე ნახევარს კი - ქეისი 2. მიეცით მათ 10 წუთი, რომ გაეცნონ ქეისს და პასუხი გასცენ მის შეკითხვებს.

10 წუთის შემდეგ თხოვეთ ჯგუფის მონაწილეებს, შეაჯამონ განხილვის შედეგები მეცადინეობის სხვა მონაწილეებისთვის. უმჯობესია, რომ ქეისის განსხვავებულ შეკითხვებზე ჯგუფის წევრებმა გააკეთონ შეჯამება. თუ სხვა ჯგუფების რომელიმე წევრს მოუნდება თავისი პოზიციის გამოხატვა ქეისის ამა თუ იმ საკითხზე, მოეცით მას ამის საშუალება.

III ეტაპი. დასკვნა

მეცადინეობის ბოლოს თხოვეთ მონაწილეებს დაფიქრდნენ, თუ არის ისეთი საკითხები ან მორალური დილემები, რომლებზეც მეცადინეობის შემდეგაც ვერ მოძებნეს გადაწყვეტილება. შეიძლება მონაწილეებს გაახსენდათ მათთვის ძალიან საკამათო შემთხვევები, რომლებიც უკავშირდება მეცადინეობის თემას. თხოვეთ მონაწილეებს, გვითხრან თითო ასეთი საკითხი ან მორალური დილემა ისე, რომ არ გასცენ პასუხი და არ განიხილონ ის.

დანართი

დასარიგებელი მასალა

ქეისი 1.

სამეცნიერო -პოპულარული ფესტივალის „Geek Picnic“-ის ორგანიზატორმა ნიკოლაი გორელიმ განაცხადა, რომ ფესტივალზე მომხსენებელია ვებგვერდის „Спутник и Погром“ შემქმნელი ეგორ პროსვირნინი. ორგანიზატორებმა განმარტეს, რომ პროსვირნინი მოიწვიეს, რათა მან ისაუბროს თავისი მედიაპროექტის წარმატების შესახებ, რადგან ეს არის „ერთადერთი დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, რომელიც არსებობს მხოლოდ ხელმოწერათა მოდელით“. გორელიმ ასევე აღნიშნა, რომ გამოცემა „накраудфандило“ იხდის თანხას არა მარტო საიტის შენახვისთვის, არამედ ნაციონალური ორგანიზაციების განვითარებისთვისაც, რასაც ის „Спутник“-ის აშკარა წარმატებად მიიჩნევს. ფესტივალის ზოგიერთი მოწვეული ლექტორი და პოტენციური

სტუმარი აღაშფოთა ამ ფაქტმა. სამეცნიერო ჟურნალისტმა ასია კაზანცევამ, რომელსაც უნდა გაეხსნა ფესტივალი, საერთოდ უარი განაცხადა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე იმ ადამიანთან ერთად, რომელიც იზიარებს ნაციონალისტურ შეხედულებებს და რომელიც აფინანსებს ნაციონალისტურ ორგანიზაციებს.

ინტერნეტის ზოგიერთი მომხმარებელი, იმის გაგებისას, რომ პროსვერნინი აღარ იქნება მომხსენებელი, აღშფოთდა მასზე ზეწოლის გამო, ორგანიზატორები კი დაადანაშაულეს „პლურალისტური მოსაზრებების“ არქონის გამო.

„Geek Picnic“ პიარ-სპეციალისტმა ევგენია გოროდნიჩევამ განაცხადა, რომ ფესტივალს არ აქვს და არც ექნება რაიმე პოლიტიკური პოზიცია. მან აღნიშნა, რომ ლექტორად აირჩევა „ხალხი, რომელმაც თავის სფეროში გარკვეულ სიმაღლეს მიაღწია“, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა.

შეკითხვები მსჯელობისთვის

1. ვისი პოზიციაა თქვენთან უფრო ახლოს - ნიკოლაი გორელოსი, ევგენია გოროდნიჩევასი თუ ასია კაზანცევასი?
2. თქვენ თუ წახვიდოდით ამ ღონისძიებაზე ასეთი სკანდალის შემდეგ? რატომ? რა არგუმენტების მოყვანა შეიძლება ამ ღონისძიებაზე წასვლისა თუ წაუსვლელობის გამო? ამ არგუმენტებიდან რომელი მიგაჩნიათ უფრო ძლიერად? რატომ?
3. თუ შეძლებდით, რომ უარი გეთქვათ ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების შეძენაზე მორალური და პოლიტიკური მოსაზრებების გამო? თუ კი, რა შემთხვევებში და რატომ? თუ არა, რატომ?

ქეისი 2

მსოფლიოში ცხოველებზე ექსპერიმენტები ოთხი მიზნით ტარდება:

- წამლების შემუშავებისა და ტესტირებისთვის;
- ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევებისთვის (მათ შორის სამხედრო, სამედიცინო, კოსმეტიკური და სხვ);
- კოსმეტიკის შემუშავებისა და ტესტირებისთვის (მათ შორის ადამიანისთვის კოსმეტიკის უვნებლობის შესამოწმებლად);
- სამეცნიერო პროცესებისთვის.

ცხოველთა უფლებების დაცვის ცენტრის Вита-ს ვებგვერდზე მითითებულია ასეთი პოზიცია: „ყველა ჩამოთვლილი სფეროდან ცხოველთა გამოყენება ექსპერიმენტულ ტესტირებებში კოსმეტიკის შემუშავებისთვის - ეს ის სფეროა, სადაც კაცობრიობა ვერაფრით შეძლებს თავის გამართლებას კვლევების აუცილებლობით ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რაადგან ცხოველები მსხვარპლად

იქცნენ მხოლოდ ადამიანური ახირებების გამო. სწორედ ამიტომ, ალტერნატივების ძებნა, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული იყო კოსმეტიკურ ტესტირებებზე, თუმცა ამჟამად შემოთავაზებულია ალტერნატიული მოდელები ყველა სხვა სფეროში კვლევებისთვის...“

2002 წელს ინგლისი გახდა მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც აკრძალა ცდები ცხოველებზე კოსმეტიკის უსაფრთხოების შესამოწმებლად.

2009 წელს ცხოველებზე კოსმეტიკური ტესტირებები აკრძალეს ევროკავშირში.

2013 წელს ევროპის საბჭომ აკრძალა იმ კოსმეტიკით ვაჭრობა, რომლებსაც ცდიდნენ ცხოველებზე.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში აგრძელებენ კოსმეტიკის გამოცდას ცხოველებზე. მთელ რიგ ქყვეყნებში კანონები პირდაპირ მოითხოვს სავალდებულო ტესტირების ჩატარებას. ზოგიერთი კოსმეტიკის სავალდებულლო ტესტირება ცხოველებზე ტარდება, მაგალითად, ჩინეთში. იმის გამო, რომ ჩინური ბაზარი დიდია, ბევრ ბრენდს უნდა იქ თავისი პროდუქციის გაყიდვა. ეს კი ნიშნავს, რომ მოვალენი არიან დთანხმდნენ ტესტირებაზე იმის მიუხედავადაც კი, რომ წარმოებისას ამას არ აკეთებენ.

კომპანია „Avon“ ამაყობს, რომ იყო კოსმეტიკის მწარმოებელი პირველი ტრანსნაციონალური კორპორაცია, რომელმაც უარი თქვა კოსმეტიკა გამოეცადა ცხოველებზე, მაგრამ ამ ხმამაღალი რეკლამიდან ორი ათეული წლის შემდეგ, იგი გახდა სკანდალის მონაწილე, იმის გამო, რომ არ იყენებდა ტესტირებას ცხოველებზე, კომპანიის საიტზე განაცხდებიდან გასაგები გახდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში „Avon“ მაინც იყენებს თავისი პროდუქციის ცხოველებზე ტესტირებას. აი ასე ახსნა სიტუაცია თვითონ კომპანიამ:

„ცხოველთა კეთილდღეობის პატივისცემა არის „Avon“-ის უსაფრთხოების ფილოსოფიის ქვაკუთხედი.... ჩვენ დღეს არ ვატარებთ ცხოველებზე ტესტირებებს. ამის ნაცვლად ჩვენ ვიყენებთ პროდუქტების ტესტირების მეთოდებს, რომლებიც არ უკავშირდება ცხოველებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ქვეყანა მოითხოვს უსაფრთხოების დამატებით შემოწმებას, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ცხოველებზე ტესტირებას. სხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობით „Avon“ მუშაობს იმაზე, რომ ხელი შეეწყოს სახელმწიფოს მიერ ტესტირების ალტერნატიული მეთოდების მიღებას, რომლებიც არ უკავშირდება ცხოველებს, მაგრამ თუ კომპრომისი ვერ მიიღწევა, ჩვენ იძულებული ვიქნებით, შევასრულოთ ადგილობრივი კანონმდებლობით მოთხოვნილი ტესტირება. ცდები ცხოველებზე - ესაა პრობლემა, რომელის წინაშეც დგას მსოფლიოს ყველა სილამაზის კომპანია“.

კომპანიის ასეთი პოზიციის საპასუხოდ ზოგიერთმა კლიენტმა მას ბოიკოტი გამოუცხადა.

შეკითხვები მსჯელობისთვის

1. ვისი პოზიციაა თქვენთვის უფრო მისაღები - „Avon-ის“ თუ „Виты-ის“?
2. მომხდარი ინცინდენტის შემდეგ თქვენ თუ გამოუცხადებდით ბოიკოტს Avon-ის“ პროდუქციას, ან სხვებს თუ მოუწოდებდით ბოიკოტისკენ? რატომ? რა არგუმენტები შეიძლება მოიყვანოთ თქვენი პოზიციის დასაცავად და საწინააღმდეგოდ? წარმოდგენილი არგუმენტებიდან რომელი მიგაჩნიათ ძლიერად? რატომ?
3. შეგიძლიათ უარი თქვათ ამა თუ იმ პროდუქციის ან მომსახურების შეძენაზე მორალური და პოლიტიკური მოსაზრებების გამო? თუ კი, რა შემთხვევებში და რატომ? თუ არა, რატომ?

მეცადინეობა 6. კომუნიკაციის უნარები პოლიტიკური დიალოგისთვის

მეცადინეობის მიზნები:

1) მონაწილეები იგებენ, რომ ის, რასაც ჩვენ ვამბობთ და გვესმის, სულაც არაა ის, რაც ზოგჯერ გვგონია (ამის გაგებაში მათ დაეხმარებთ ფრიდემან ფონ შულცი ტუნის შეტყობინების აღქმის 4 დონის მოდელი [5]);
2) სწავლობენ განასხვაონ დაკვირვების, აღწერის, ინტერპრეტაციის, შეფასების დონეები და აცნობიერებენ მათ შორის განსხვავებას;
3) საკუთარი პოზიციის არგუმენტირების უნარის განვითარება;
4) ისწავლონ მოსმენა და მოსმენილის აღქმა.
5) გააანალიზებენ სხვების არგუმენტებს და ჩამოაყალიბებენ კონტრარგუმენტებს.

საჭირო რესურსი და დამატებითი მასალა:

- ფლიპჩარტი, მარკერები ან სხვა მასალა პრეზენტაციებისთვის;
- 4 განსხვავებული ფერის ბარათი ან ქაღალდის ფურცელი (უმჯობესია A4 ზომის);
- ყველა მონაწილისთვის სუფთა ბარათები ან ფურცლები და კალმები;
- ნივთი, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებად ან საერთოდ უცნობია მონაწილეებისთვის;
- სივრცე, საკმარისი იმისთვის, რომ შესრულდეს სავარჯიშო;
- ბარათები ცნებებით ყველა მონაწილისათვის;
- ბარათები მტკიცებულებებით ყველა მონაწილისათვის.

საჭირო დრო: დაახლოებით 6 საათი

ზოგადი რეკომენდაციები მოდერატორს/წამყვანს

ქვემოთ მოცემული სავარჯიშო ემსახურება საკომუნიკაციო უნარების განვითარებას. აქტიური მოსმენა და არგუმენტირება იძლევა გამოთქმულის მრავალაზროვნების და გაგონილის გაგების შესაძლებლობას. ამისათვის აქ მოცემულია რამდენიმე სავარჯიშო, რომლებიც შეიძლება ჩატარდეს ცალ-ცალკეც, რის გამოც რეფლექსიის შესაბამისი ნაბიჯები მოცემულია უშუალოდ ყოველი სავარჯიშოს ბოლოს. უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, მაგალითად, მითითებულ წყაროებში [1; 2; 3; 4; 5].

მეცადინეობის მსვლელობა

სავარჯიშო 1. „ოთხი ყურის“ მოდელი

ნაბიჯი 1. წარმოვადგენთ „ოთხი ყურის“ მოდელს - ინფორმაციის აღქმის 4 დონეს ([5], იხ. ასევე დანართი) შესაბამისი მაგალითების მოყვანით, რომელიც აჩვენებს, რომ ერთი და იგივე გამონათქვამი შეიძლება განსხვავებულად აღიქვან - შულც ფონ ტუნის მოდელის თანახმად, შემდეგ დონეებზე:

- ფაქტი (საგნობრივი დონე = რა ინფორმაციას გვაწვდის?);
- მოწოდება (რის მიღწევას ცდილობენ ამ ინფორმაციით?);
- გულწრფელობა (რისი თქმა უნდათ საკუთარ თავზე?);
- დამოკიდებულება (რას ფიქრობენ სხვებზე ან რა დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან?).

კლასიკური მაგალითი: ქალი მართავს მანქანას, ქმარი ზის გვერდით და ამბობს: „ნახე, წინ მწვანეა“ (შეიძლება განსხვავებული ინტონაციითაც):

- ფაქტი - შუქნიშანი აჩვენებს, რომ მოძრაობა დასაშვებია;
- მოწოდება - „დაიძარი! რაღას უცდი?“;
- გულწრფელობა - „მე მეჩქარება, მინდა, რომ სწრაფად ვიაროთ“;
- დამოკიდებულება - „შენ ჩემთან შედარებით შენელებული რეაქცია გაქვს“.

მოთელვისა და ამ მაგალითის უკეთ გასაგებად შეიძლება ითამაშოთ (5-10 წუთი).

1. ორი მოხალისე ჯდება ჯგუფის წინ სკამებზე.
2. მგზავრი ამბობს ფრაზას მაგალითიდან: ‘წინ მწვანე ანთია“.
3. მძღოლი რეაგირებს იმის მიხედვით, თუ როგორ გაიგო მან ეს ფრაზა.
4. პუბლიკას (დანარჩენ მონაწილეებს) ეკითხებიან, რომელ დონეზეა „ოთხი ყურის“ მოდელი? მათი აზრით, თუ გაიგო მძღოლმა საწყისი ნათქვამი და რატომ?

5. ამის შემდეგ მოხალისეები (ან რომელიმე მათგანი) შეიცვლება სხვა მონაწილეებით. სიტუაციას გაითამაშებენ კიდევ რამდენიმეჯერ, მაგალითად, საწყისი გამონათქვამის ინტონაციის ან სხეულის პოზის ან კიდევ რაიმე სხვის შეცვლით, რომ თვალსაჩინო გახდეს განსხვავება.

ალტერნატივის სახით მონაწილემ შეიძლება მოიყვანოს საკუთარი მაგალითი, ადაპტირებული, მონაწილეთა რეალობისთვის.

ნაბიჯი 2. ოთხი განსხვავებული ფერის ბარათზე (უმჯობესია A4 ფორმატის) წერენ 4 დონეს შულც ფონ ტუნის მოდელის მიხედვით. თითო დონე -თითო ფურცელზე, გარკვევით, დიდი ასოებით (იხილეთ დანართი). ეს ბარათები შეიძლება გამოიყენოთ ნათქვამის ვიზუალიზაციისთვის, ასევე შესავალ წარმოდგენაში (ნაბიჯი 1). ეს ბარათები უნდა დამაგრდეს ოთხკუთხედი ოთახის ოთხ მოპირისპირე კედელზე, თვალის დონეზე (ან ცოტათი მაღლა). მიიღება ერთგვარი კომპასი.

ნაბიჯი 3. წამყვანი თხოვს ყველა მონაწილეს, ადგნენ. თუ ოთახში არის, მაგალითად, სკამები, უმჯობესია გვერდით გაწიოთ, რომ ხელი არ შეგიშალოთ და თავისუფლად შეიძლებოდეს გადაადგილება ოთხივე ბარათს შორის. ამის შემდეგ მონაწილეებს თხოვენ, მივიდნენ ბარათებთან იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამენ ნათქვამს: როგორც ფაქტს საგნობრივ დონეზე, როგორც მოწოდებას, გულწრფელობას თუ როგორც დამოკიდებულებას. რა თქმა უნდა, შეიძლება გაჩერება განსხვავებულ დონეებს შორისაც.

ნაბიჯი 4. ქვემოთ მოყვანილი გამონათქვამები იკითხება სათითაოდ (შეძელებისდაგვარად, წამყვანის მიერ). განსხვავებულ შემთხვევებში შეიძლება განსხვავებული ინტონაციის, ჟესტიკულაციის ან სხვ. გამოყენება. ყოველი გამონათქვამის შემდეგ მონაწილეები იკავებენ შესაბამის ადგილს, ოთხ კედელზე დამაგრებულ ოთხ ბარათზე ორიენტაციით. ეს უნდა გააკეთონ უხმოდ, კომენტარებისა და დამატებითი განმარტებების გარეშე. მაგრამ ნუ იქნებით ძალიან მკაცრი, რადგან სხვების ხმოვანი რეაქციები შეიძლება დაეხმაროთ მონაწილეებს გაიგონ, როგორ აღიქვეს ნათქვამი სხვებმა.

შესაძლო გამონათქვამები:

- დრო არ გვაქვს.
- თქვენ უნდა აირჩიოთ.
- მე დავიღალე.
- მეტი აქტიურობა გჭირდებათ!
- ამის კრიტიკა უაზრობაა.
- ეს ძალიან არაკონკრეტულია.
- მე წინააღმდეგი ვარ.
- ეს უნდა მოაშოროთ აქედან.

- მე მომწონს ახლანდელი ხელმძღვანელობა.
- არის კი ალტერნეტივა?
- თვითონ უნდა გამეკეთებინა.
- არის შეკითხვები?
- კიდევ ვის აქვს შეკითხვა?
- ახლა შეგიძლიათ დასვათ თქვენი შეკითხვები.
- ახლა თქვენი შეკითხვების დროა.

შეგიძლიათ ეს გამონათქვამები სურვილის მიხედვით გაამრავალფეროვნოთ, შეცვალოთ ან შეავსოთ.რეკომენდებულია მისი ადაპტირება მეცადინეობის კონტექსტის შესაბამისად, რომ უფრო მეტად სახალისო გახადოთ.

თითოეული გამონათქვამის შემდეგ სჭიროა მონაწილეებს მისცეთ ცოტა დრო, რომ დაიკავონ თავიანთი ადგილი და ნახონ, სად დგანან სხვა მონაწილეები.

რეფლექსია. საჭიროების მიხედვით შეგიძლიათ მისცეთ დრო მონაწილეებს ან რამდენიმეს მაინც, რომ განმარტონ თავიანთი პოზიცია, ან უბრალოდ, გაუზიარონ სხვებს აზრები ყოველი გამონათქვამის შემდეგ. ეს დაეხმარება მათაც და სხვა მონაწილეებსაც, რომ უკეთ გაიგონ აღქმის განსხავებული დონეები.

თუ მონაწილეები სავარჯოშოს დასრულებამდე ვერ მიხვდებიან, აუცილებელია აღნიშნოთ, რომ მონაწილეები ერთი და იგივე გამონათქვამებს აღიქვამდნენ აშკარად განსხვავებულად. რეფლექსიის დროს დამხმარე შეკითხვები:

- როგორ გრძნობდით თავს?
- რაზე მიანიშნებს ეს?
- სად შეიძლება გამოგადგეთ ეს რეალურ ცხოვრებაში და რას ნიშნავს ეს ჩვენი კომუნიკაციისთვის?

სავარჯიშო 2. უცნობი ნივთი

ნაბიჯი 1. წამყვანი დებს ნივთს ჯგუფის წინ ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი დანახვა. (უმჯობესია, ეს იყოს მონაწილეებისთვის საერთოდ უცნობი ან ნაკლებ ნაცნობი ნივთი). შეიძლება ასევე, გეჭიროთ ხელში და აწიოთ მაღლა ან გადააწოდოთ ერთმანეთს წრეზე, რომ ყველამ შეძლოს მისი დათვალიერება.

ნაბიჯი 2. მონაწილეებს თხოვენ დაწერონ ბარათზე ან ქაღალდის ფურცელზე პასუხები (თითო პასუხი თითო ბარათზე) შეკითხვაზე:

- რას ხედავთ?

ნაბიჯი 3. მონაწილეები ინდივიდუალურად წერენ პასუხებს ცალ-ცალკე ბარათებზე. თითოეულს შეუძლია, დაწეროს რამდენი პასუხიც უნდა და აიღოს ამისთვის იმდენი ბარათი, რამდენიც დაჭირდება.

ნაბიჯი 4. წამყვანი აგროვებს ბარათებს და სათითაოდ აჩვენებს ჯგუფს. ამისთვის ჯობია, გამოართვას ბარათი მონაწილეს და დაიჭიროს ისე, რომ ყველა ხედავდეს მასზე დაწერილ პასუხს. თითოეულ პასუხზე მონაწილეებმა ერთად უნდა გადაწყვიტონ, ეს არის აღწერა, ინტერპრეტაცია თუ შეფასება. წამყვანი მოდერირებას უწევს პროცესს. ბარათები დალაგდება კატეგორიების მიხედვით, მაგ. მაგრდება კედლებზე სამ სვეტში შესაბამისი წარწერის ქვეშ. თუ ღრმად არ შეიჭრებით დისკუსიაში, ეს სავარჯიშო, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, შეიძლება გაგრძელდეს 20-30 წუთი. სიღრმისეული დისკუსია, რა თქმა უნდა, გაზრდის სავარჯოშოს პროცესს.

რეფლექსია. წამყვანის შეკითხვები მონაწილეებს

- როდესაც ნახავთ პასუხების განაწილებას სამ კატეგორიაში: აღწერა, ინტერპრეტაცია და შეფასება - რა დასკვნამდე მიდიხართ, შეკითხვის გათვალისწინებით სავარჯიშოს დასაწყისში, რომელიც ასე ჟღერდა.....?

აქ, აზრი აქვს, არ გაიმეოროთ საწყისი შეკითხვა და ჩამოაყალიბოთ ეს წინადადება დასრულების გარეშე, რათა გაიგოთ, რა შეკითხვა დაიმახსოვრეს მონაწილეებმა. ამ სავარჯიშოში ჯობია ეს საწყისი შეკითხვა არ დაწეროთ და არ დატოვოთ გამოსჩენ ადგილზე, თუმცა შეგიძლიათ ის რამდენჯერმე უცვლელად გაიმეოროთ.

ხშირად პასუხების რაოდენობა კატეგორიებში „ინტერპრეტაცია“ ან „შეფასება“ აღემატება პასუხების რაოდენობას კატეგორიაში „აღწერა“. ამ ფაქტის განსახილველად რეკომენდებულია, შეეკითხოთ მონაწილეებს:

- რა პასუხს გულისხმობდა საწყისი შეკითხვა? (ხომ არ გვთავაზობდა საწყისი შეკითხვა მხოლოდ დაკვირვებას?) რას გვიჩვენებს შედეგები?
- სად შეიძლება გამოგადგეთ ეს რეალურ ცხოვრებაში და რას ნიშნავს ეს ჩვენი კომუნიკაციისთვის?

სავარჯიშო 3.ოქსფორდის დებატები

მომზადება. დებატებისთვის მოსამზადებლად 1 და 2 სავარჯიშოს გარდა რეკომენდებულია ქვემოთ მოცემული ბლოკების ჩატარებაც. ისინი ჩეიძლება ჩატარდეს როგორც ცალკე ტრენინგი სხვა თემატურ კონტექსტში. ბლოკები დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით და ამიტომ უნდა ჩატარდეს მითითებული თანმიმდევრობით.

ბლოკი 1. ცნების განსაზღვრა

მონაწილეები იღებენ თითო ბარათს ცნებების ბარათების ნაკრებიდან, არ უყურებენ და დებენ თავიანთ წინ ამობრუნებულად, პირით ქვემოთ. მონაწილე იღებს თავის ბარათს, კითხულობს მასზე დაწერილ ცნებას და მაგალითად, სანამ ადგება სკამიდან, აქვს დრო მოიფიქროს, როგორ შეიძლება ჩამოაყალიბოს ეს ცნება. 1 წუთის განმავლობაში უხსნის სხვებს თავის ცნებას. ამის შემდეგ სხვა იღებს ბარათს და იგივენაირად, სანამ სკამიდან

ადგება, ფიქრობს, რა შეიძლება თქვას ამის შესახებ. ფეხზე მდგარი 1 წუთის განმავლობაში უხსნის დანარჩენებს და ა.შ. მონაწილეებმა არ უნდა აიღონ თავიანთი ბარათები, სანამ მათი რიგი არ მოვა.

ცნებებად შეიძლება გამოიყენოთ ნებისმიერი, რაც დაკავშირებულია მონაწილეების ინტერესებთან. რეკომენდებულია აირჩეს ისეთი ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია მეცადინეობის თემასთან, მაგ. არჩევნებთან დაკავშირებული: „ხმა“, „დელეგატი“, „დეპუტატი“, „კანდიდატი ქალი“, კოალიცია“, „ადგილი საარჩევნო სიაში“, „მანდატი“, „დამკვირვებელი“, „ოპოზიცია“, „პარლამენტი“, „პარტია“, „პლაკატი“, „ხმების დათვლა“, „მთავრობა“, „პროგნოზი“, „პროგრამა“, „წინასწარი შედეგები“, „ადგილების განაწილება“, „შედეგები“, „მასმედია“, „ურნა“, „არჩევნებში მონაწილეობა“, „ფრაქცია“ და ა.შ.

ბლოკი 2. არგუმენტირება

მტკიცებულებების ბარათების ნაკრებიდან მონაწილეები იღებენ თითოს და აქვთ 5 წუთი, რომ მოიფიქრონ შესაბამისი არგუმენტები/ არგუმენტების ჯაჭვი თავიანთი მტკიცებულებისთვის. ამის შემდეგ ისინი სათითაოდ გამოდიან ჯგუფის წინ და 2 წუთის განმავლობაში ცდილობენ, წარადგინონ მაქსიმალურად დამარწმუნებელი არგუმენტები საკუთარი მტკიცებულების გასამყარებლად.

მტკიცებულების სახითაც შეილება ნებისმიერის გამოყენება, რაც უკავშირდება მონაწილეების ინტერესებს. ამ შემთხვევაშიც რეკომენდებულია მტკიცებულებების არჩევა იმ სფეროდან, რომელიც დაკავშირებულია მეცადინეობის თემასთან. მეცადინეობის ატმოსფეროს გამოსაცოცხლებლად, შეიძლება მონაწილეებმა წინასწარ დაწერონ ბარათებზე აბსურდული მტკიცებულებები და ისინიც შეერიოს წამყვანის მიერ მომზადებულ ნაკრებში.

ბლოკი 3. პერიფრაზირება

მონაწილეები იკრიბებიან სამ კაციან ჯგუფებში. 2 წუთის განმავლობაში მონაწილე არგუმენტებით ამტკიცება თავის პოზიციას რომელიმე საკითხზე. მეორე მონაწილე ყურადღებით უსმენს, აკეთებს მოსმენილი არგუმენტების პერიფრაზირებას, იწყებს სიტყვებით: „თუ მე სწორად გაგიგე, ... „ და ცდილობს უარყოს მოცემული მტკიცებულება. მესამე აკვირდება და აფასებს პერიფრაზირების ხარისხს და კონტრარგუმენტების ლოგიკას. ამის შემდეგ მონაწილეები ცვლიან როლებს და სურვილის მიხედვით ირჩევენ ახალ საკითხს.

შეკითხვად შეიძლება ნებისმიერის გამოყენება, რაც უკავშირდება მონაწილეების ინტერესებს. აქაც რეკომენდებულია მტკიცებულებები შეირჩეს მეცადინეობის თემასთან კავშირში, მაგ:

- უნდა იყოს თუ არა არჩევნები ფარული?

- არჩევნების წინ უნდა გაამჟღავნონ თუ არა კანდიდატებმა თავიანთი შემოსავალი?
- უნდა რეგულირდებოდეს თუ არა მასმედიაში წინა საარჩევნო რეკლამა?
- საჭიროა თუ არა ბარიერი, მაგ. 5 % პარტიის პარლამენტში მოსახვედრად?

ბლოკი 4. შინაარსი

დებატებისათვის მოსამზადებლად რეკომენდებულია შესაბამის ონლაინ თუ ოფლაინ წყაროებში საჭირო ინფორმაციის მოძიება. საჭირო ინფორმაციის მოძებნის გზა ყოველთვის დამოკიდებულია ინტერესთა სფეროსა და შესაძლებლობებზე. „არჩევნების“ თემისთვის მოსამზადებლად რეკომენდებულია, მაგალითად, იმ კანდიდატების ან პარტიების პროგრამების გაანალიზება, რომლებიც მონაწილობენ არჩევნებში. იხ. ასევე მეცადინეობა „ვაანალიზებთ კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებს“) ამავე სახელმძღვანელოში.

ბლოკი 5. მეთოდი

დებატებისათვის მეთოდური მომზადებისთვის შეიძლება მეცადინეობის „საარჩევნო უფლების პრინციპები“ გამოყენება ამავე სახელმძღვანელოდან, კერძოდ კი I ეტაპის - „ვდებატობთ კანონპროექტის შესახებ“, რომელიც იძლევა საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ რა არის დებატები.

დებატები

ნაბიჯი 1. მონაწილეები ქმნიან 4 კაციან ჯგუფებს.

ნაბიჯი 2. ყველა მცირე ჯგუფის მონაწილეები მეცადინეობიდან ან დებატებისთვის მზადებიდან ირჩევენ ერთ თემას, რომელზეც უნდათ დებატების გამართვა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ამ თემის ირგვლივ შესაძლებელი იყოს შესაბამისი მტკიცებულების, როგორც დამოუკიდებელი თეზისის ფორმულირება.

„არჩევნების“ თემაზე დებატებისთვის მოსამზადებლად შეიძლება კანდიდატების/პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებიდან ციტატების გამოყენება, მაგალითად:

- განათლება უნდა იყოს უფასო;
- სახელმწიფო ძალიან ხშირად ერევა ეკონომიკურ პროცესებში;
- აუცილებელია დეკრეტული შვებულების თანხის გაზრდა;
- მსოფლიო იქნება უფრო უსაფრთხო, თუ ჩვენ მჭიდროდ ვითანამშრომლებთ საერთაშორისო დონეზე, ნაცვლად ჩვენი საგარეო კავშირების შესუსტებისა;
- ჯანდაცვის სისტემა სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს, როგორც მოქალაქეთა სოციალური დაცვის ნაწილი;
- სოციალური - ეს ისაა, რაც ქმნის სამუშაო ადგილებს.

ნაბიჯი 3. მინი ჯგუფების მიერ არჩეული თემებიდან შეირჩევა 2-3, რომლებზეც ჩატარდება დებატები (თემების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, რა დროის დათმობას აპირებთ დებატებისთვის, რამდენი დრო გაქვთ და რამდენი მონაწილეა). თითოეულ თემაზე ერთს აქვს მტკიცებითი პოზიცია, მეორეს - უარყოფითი. ამგვარად, ყველა გუნდი გადანაწილდება პოზიციაზე.

„არჩევნების" თემის არჩევისას რეკომენდებულია, რომ მცირე ჯგუფებმა იმუშაონ შეძლებისდაგვარად, მათი პოლიტიკური მოსაზრების მოწინააღმდეგე კანდიდატის/პარტიის პროგრამებსა და შესაბამის პოზიციებზე. მცირე ჯგუფის წევრები იქცევიან და მოყავთ არგემენტები სწორედ იმ კანდიდატის/პარტიის პოზიციიდან, ვის მხარესაც ისინი გამოდიან დებატებში.

ნაბიჯი 4. 20 წუთის განმავლობაში მცირე ჯგუფები ამზადებენ არგუმენტებს დებატების თემისთვის და შესაბამისად, მცირე ჯგუფის ყველა წევრს აქვს ერთმანეთთან ურთიერთობა.

ნაბიჯი 5. ცხადდება პირველი დებატების თემა. ორი მცირე ჯგუფი, ერთი და იგივე თემის ორი საწინააღმდეგო პოზიციიდან იწყებენ დებატებს. ისინი სხდებიან, მაგალითად, კათედრის ორივე მხარეს. დანარჩენი მონაწილეები აკვირდებიან დებატებს როგორც პუბლიკა და სხდებიან კათედრის წინ.

ნაბიჯი 6. ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით (იხ. ცხრილი) გამოდიან მცირე ჯგუფის წევრები და წარმოადგენენ თავიანთ პოზიციას: მტკიცებითს ან უარმყოფელს.

ცხრილი 1

ორი მინი ჯგუფის წარმომადგენლების გამოსვლების თანმიმდევრობა დებატებზე

მინი ჯგუფის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ	
მტკიცებით პოზიციას	**უარმყოფელ პოზიციას**
მომხსენებელი 1 აყალიბებს თეზისს, თავის პოზიციას და მოყავს შესაბამისი არგუმენტები	მომხსენებელი 2 აკეთებს მოწინააღმდეგე გუნდის მომხსენებელი 1 პერიფრაზირებას და მოყავს კონტრარგუმენტები
მომხსენებელი 3 ასევე აკეთებს პერიფრაზირებას და ეყრდნობა 1 - 2 მომხსენებლების გამოსვლებს.	მომხსენებელი 4 ასევე აკეთებს პერიფრაზირებას და ეყრდნობა 1 -3 მომხსენებლების გამოსვლებს.
მომხსენებელი 5 ასევე აკეთებს პერიფრაზირებას და ეყრდნობა 1 -4	მომხსენებელი 6 ასევე აკეთებს პერიფრაზირებას და ეყრდნობა 1 -5

მომხსენებლების გამოსვლებს.	მომხსენებლების გამოსვლებს.
მომხსენებელი 7 ასევე აკეთებს პერიფრაზირებას და ეყრდნობა 1 -6 მომხსენებლების გამოსვლებს.	მომხსენებელი 8 ასევე აკეთებს პერიფრაზირებას და ეყრდნობა 1 -7 მომხსენებლების გამოსვლებს.

ყველა მომხსენებელს აქვს 2 წუთი თავისი არგუმენტების წარმოსადგენად. წამყვანი თვალს ადევნებს გამომსვლელების თანმიმდევრობის და დროის დაცვას და აწყვეტინებს, თუ მან დაარღვია რეგლამენტი. ამავდროულად, ატმოსფეროს გათვალისწინებით, არ უნდა იყოს ძალიან სიმკაცრე , მაგ. მივანიშნოთ, როდესაც მოხსენების დასრულებამდე დარჩენილია მხოლოდ 30 წამი ან გავაკეთოთ ისე, რომ ყველა ხედავდეს დროის ათვლას (ქვიშის საათი, სამზარეულოს ზარიანი საათი და სხვ). მონაწილეთა გამოცდილების და რაოდენობის მიხედვით შეიძლება ვცვალოთ მომხსენებელთა რეგლამენტი. მაგრამ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს დრო არ უნდა იყოს 5 წუთზე მეტი.

ნაბიჯი 7. დამკვირვებელი მონაწილეები ყურადღებით ისმენენ და დებატების ბოლოს თანხმდებიან, რომელი არგუმენტების ჯაჭვი იყო უფრო დამაჯერებელი. ეს შეიძლება ადვილად გაკეთდეს, მაგალითად, თუ წამყვანი იკითხავს, ვინ თვლის, რომ მტკიცებითი გუნდი იყო უფრო დამაჯერებელი და ვინ თვლის - უარმყოფელი? დამკვირვებლები წევენ ხელს შეკითხვის შესაბამისად. ასევე, აფიქსირებენ თავის პასუხს კითხვაზეც: ვინ ვერ მიიღო გადაწყვეტილება ანუ თავი შეიკავა. საინტერესოა, ასევე, დებატების დაწყების წინ გამოვკითხოთ პუბლიკა ხელის აწევით, ვინ როგორ ემხრობა სადებატო დებულებას.

რეფლექსია. წამყვანის მიერ დასმული ამ შეკითხვების საშუალებით შეიძლება შეფასდეს, რა გამოცდილება მიიღეს დებატებში მონაწილეობით:

- როგორ გრძნობდით თავს დებატების დროს და რატომ?
- რა ისწავლეთ?
- სად შეიძლება გამოიყენოთ მიღებული გამოცდილება?

„არჩევნების“ თემის მაგალითზე:

- რამდენად დაგეხმარათ დებატები გარკვეულიყავით კანდიდატის/პარტიის პროგრამის ფაქტებსა და არგუმენტებში?
- თუ იცით დებატების შემდეგ, ვის მიცემდით ხმას?
- თუ კი, რამდენად დარწმუნებული ხართ თქვენს არჩევანში?
- თუ შეგეცვალათ აზრი დებატების დროს?

წყარო

1. ტრენერი. ჯგუფი. სემინარი: ახალგაზრდების განათლების სხვა გზა. ბერლინი:: MitOst e. V. 21, 2009. URL: http://mitost.org/editions/trenergrupaseminar.html (თარიღი: 10.10.2017).
2. Gewaltfreie Kommunikation // Wikipedia : [сайт]. URL: https://de.wikipedia.org/wiki/Gewaltfreie_Kommunikation(თარიღი: 10.10.2017).
3. Nonviolent Communication (NVC) in Action : [ფილმი]. Part 1 // Youtube : [сайт]. URL: https://www.youtube.com/watch?v=8ltr_JUkXiA(თარიღი:10.10.2017).
4. Parenting with Nonviolent Communication (NVC) :[ფილმი]// Youtube : [сайт]. URL: https://www.youtube.com/watch?v=IQO7h9MNCqI(თარიღი:10.10.2017).
5. Vier-Seiten-Modell // Wikipedia : [ვებგვერდი]URL: https://de.wikipedia.org/wiki/Vier-Seiten-Modell (თარიღი:10.10.2017).

დანართი

ფრიდემან შულც ფონი: ინფორმაციის აღქმის 4 დონე



სასწავლო გამოცემა

მეტი შეგვიძლია!

ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება

მეთოდური სახელმძღვანელო

რედაქტორები: მარიკა დალაქიშვილი

ინგა ბექაური